სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

აღმოსავლეთი

ისტორია

კულტურა და ცივილიზაცია

ლიტერატურა

რელიგია

პოლიტიკა

ივლისი, 2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სარედაქციო ოკოლეგია:

მათე ქარდავა

გიორგი ახალკაციშვილი

ანა ჩაჩიბაია

ანა შალუტაშვილი

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, თსუ, V კორპუსი.

ტელ:591 94 32 19; 599 87 24 31

ელ. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com

სარჩევი

ისტორია

შუამდინარეთის საზოგადოება ძვ.წ. III ათასწლეულში. ეკა ჩიტაია…….……6

ვინ მართავდა ეგვიპტეს მეორე გარდამავალ პერიოდში? ანა ბალიაშვილი, ეკა ჩიტაია, ნინო ძამნაშვილი……...……11

ნეო ბაბილონური იმპერია – ნაბუქოდონოსორ II. ლუკა ქავთარაძე….……17

ზინჯების აჯანყება არაბთა სახალიფოში. ხატია ნონიაშვილი……..22

ალამუთის ციხე და ასასინები. სოფიკო მოლაშხია. არჩილ ცარახბაია…….25

საქართველო-თურქეთის ურთიერთობები XI-XVI საუკუნეებში (ისტორიული ქრონოლოგიის ზოგადი მიმოხილვა). გიორგი ახალკაციშვილი, მარიტა ხარშილაძე……..33

ბაღდადის ალყა. ნოდარ გათაშვილი……..……46

ლეპანტოს ბრძოლა (1571 წ.). საბა ტაკიძე……..51

კრეოლთა იდენტობის ფორმირების პრობლემა მავრიკის კუნძულზე. სოფი გუჯარაიძე.....57

ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში. ნინო ინდუაშვილი……..62

სადამ ჰუსეინის დიქტატურა ერაყში. ანი ჩარიგოგდიშვილი, მარიკა ირემაძე.....67

კულტურა და ცივილიზაცია

შაჰის მეჩეთი. ანა ბალიაშვილი, თეა ცუხიშვილი, ნინო ძამნაშვილი.....71

ჰამშენების წარმომავლობის საკითხისათვის. ნიკოლოზ ოვსიანიკოვი.....76

კიმ კი-დუკი და მისი ავტობიოგრაფიული შემოქმედება. კაზეიშვილი მეგი.....81

მეჩეთის არქიტექტურის ევოლუცია. სოფიკო ბაშელეიშვილი.....86

რელიგია

შინტო - ღმერთების გზა. ნიკოლოზ მაკალათია, ჯეიმარ ბოლქვაძე.....92

აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი ქართველი ბერებისათვის. თამთა ცერცვაძე.....98

ლიტერატურა

ჩიტი აღმოსავლეთიდან. თაკო ბერობე.....103

თურქული ლიტერატურა აბდულ-ჰამიდ II-ის მმართველობისას: ზულუმის რეჟიმი და "Servet-i Fünün" ანა ციყელაშვილი, ანა შალუტაშვილი.....105

აბუ ნუვასი და ღვინო არაბულ პოეზიაში. თიკო გოგოხია, მარიკა ირემაძე, ანი ჩარიგოგდიშვილი.....109

პოლიტიკა

თურქული ფემინიზმი. ვიკა ჯაჯანიძე.....115


ისტორია

შუამდინარეთის საზოგადოება ძვ.წ. III ათასწლეულში

სანამ უშუალოდ ვისაუბრებთ ძვ.წ. III ათასწლეულის შუამდინარეთის საზოგადოებაზე, მიმოვიხილავთ, თუ რომელი პერიოდიდან იწყება შუამდინარეთის ათვისება და რამდენ პერიოდად შეიძლება დაიყოს შუამდინარეთის ისტორია.

ადამიანების მიერ სამხრეთ შუამდინარეთის ათვისება ძვ.წ. მეექვსე ათასწლეულში დაიწყო. ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულიდან შუამდინარეთის მოსახლეობა ერთიანდება და ევფრატის(ბურანუნი) ნაპირზე ირიგაციულ სისტემას ქმნის. საირიგაციო სისტემის შექმნამ გამოიწვია მოსავლის ზრდა და პროდუქციის დაგროვების შესაძლებლობა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა შრომის დიფერენციაცია და მოგვიანებით კლასების ჩამოყალიბება. დაიწყო ასევე დასახლებების ზრდა და ქალაქების ჩამოყალიბება. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში დიდ დასახლებებს, სადაც ტაძრებიც იყო, გალავნები შემოავლეს - ასე წარმოიშვა პირველი ქალაქები. ტაძარი ასრულებდა არა მხოლოდ რელიგიური კულტის თაყვანისცემის ფუნქციას, არამედ აქ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი და ინახებოდა მოსავლის მარაგი. დაახლოებით ძვ.წ. 3000 - ძვ.წ. 2900 წლებში ტაძრების მეურნეობა იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა უფრო რთული აღრიცხვის სისტემის შემუშავება, რამაც დამწერლობის გაჩენა განაპირობა. მეცნიერების უმრავლესობაც მიიჩნევს, რომ სწორედ სამეურნეო ხასიათის სირთულემ და განვითარებამ გამოიწვია დამწერლობის შექმნა. რთული სამეურნეო ხასიათი თავის მხრივ მეტყველებს განვითარებულ და დაწინაურებულ ცხოვრებაზე. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისისათვის არსებობდა დიდი შუმერული ქალაქები: ერიდუ, ნიფური, ქიში, ლაგაში, ურუქი, ური, უმა.

შუამდინარეთის ისტორია შეიძლება გავყოთ ორ მთავარ პერიოდად იმის მიხედვით, თუ რა სახის წყაროები გვაქვს ხელთ საზოგადოების სურათის შესასწავლად.(ეს პრინციპი საერთოა) ეპოქას, როცა ჩნდება წერილობითი წყაროები, ჩვენ პირობითად ვუწოდებთ ისტორიულ ხანას, ხოლო მასზე უადრეს პერიოდს - არქაულს. სწორედ დამწერლობაა ის ზღვარი, რომელიც ჰყოფს წინარე ისტორიას(პრეისტორიას) ისტორიისაგან. სწორედ შუამდინარეთში და ეგვიპტეში ჩნდება პირველი დამწერლობები და მეოთხე-მესამე ათასწლეულის ისტორია, ძირითადად ამ ორი ცივილიზაციის ისტორიაა. არქაული ეპოქის აღსადგენად ჩვენ განკარგულებაშია მხოლოდ არქეოლოგიური მასალა და სწორედ მასზე დაკვირვებით შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ, პოლიტიკურ, სამეურნეო თუ სხვ. სახის ურთიერთობებზე.

ის არქეოლოგიური კულტურები, რომლებიც უკეთაა შესწავლილი და გვაძლევენ საშუალებას თვალი გავადევნოთ შუამდინარეთის პრეისტორიას, განეკუთვნება ძვ.წ. ძირითადად მეოთხე ათასწლეულს და ძვ.წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისს.

ეს არქეოლოგიური კულტურებია:

1. **ელ-უბაიდი(სამხრეთ-დასავლეთ შუამდინარეთი) განეკუთვნება დაახლოებით ძვ.წ. 3800-3500 წწ.**
2. **ურუქ-ვარქა(დღევანდელი ვარქა. მდ. ევფრატზე. სამხრეთ-დასავლეთ შუამდინარეთი) 3500-3000 წწ.**
3. **ჯემდეთ-ნასრი(დღევანდელი ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთით მდ.ევფრატზე) 3000-2800 წწ. ძვ.წ.**

ურუქის მეოთხე არქეოლოგიურ ფენაში აღმოჩნდა ლურსმული დამწერლობის უადრესი სახის ე.წ. პიკტოგრაფიული(ხატოვანი) დამწერლობით შესრულებული სამეურნეო ხასიათის ტექსტების 500-მდე თიხის ფირფიტა. მსგავსი ფორმის 300-მდე ფირფიტა აღმოჩნდა აგრეთვე ჯემდეთ-ნასრში. ამ არქეოლოგიური კულტურებით ჩანს, რომ ცხოვრება თანდათან ყოველთვის წინ მიიწევდა.

ძვ.წ. III ათასწლეულის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მთელ რიგ მხარეებზე წარმოდგენას გვიქმნის წერილობით წყაროები. ათასობით თიხის ფირფიტაზე, რომლებიც დაგვიტოვეს შუმერებმა, ფიქსირებულია მათი ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის მრავალი მომენტი. მათ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენგან ოთხი ათასი წლით დაშორებული საზოგადოების შინაგანი სტრუქტურა.



შუმერული ფირფიტა. დათარიღებული ძვ.წ. 1400 წლით.

როგორც ვიცით შუამდინარეთის ნიადაგი ადვილად დასამუშავებელი და ნაყოფიერი იყო. სწორედ ამიტომც პრიმიტიული თოხით, ნიჩბით და უაღრესად მარტივი კონსტრუქციის მქონე კავითაც შეიძლებოდა სამიწათმოქმედო სამუშაოების ფართო

მასშტაბით წარმოება. არც თუ ისე დიდი შრომის დახარჯვით შეიძლებოდა მაღალი მოსავლის მიღება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობაში დაიწყეს გამწევ ძალად ხარის გამოყენება. ამიტომაც შუამდინარეთი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში "ტექნიკის" განვითარების მხრივ ერთ-ერთ ჩამორჩენილ რაიონად რჩებოდა. უდიდესი საირიგაციო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებული იყო მოსახლეობის საქმიანობის ცალკეულ პროცესებთან, გახდა განმაპირობებელი ფაქტორი იმ მოვლენებისა, რომლებიც შუამდინარეთის სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში ხდებოდა. იმისათვის, რომ შუამდინარეთის ჭაობიანი ადგილები მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ყოფილიყო საჭირო ხდებოდა სამელიორაციო სამუშაოების წარმოება. საჭირო იყო ასევე: დასაშრობი არხების გაყვანა, დაჭაობების საწინააღმდეგო ჯებირების აშენება. იმისათვის, რომ ტიგროსისა და ევფრატის წყალდიდობისგან მაქსიმალურად დაეცვათ თავი, აუცილებელი იყო უზარმაზარი ჯებირები და წყალსაცავები. ეს საქმიანობები ათასჯერ აღემატებოდა ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა მცირე ჯგუფების შესაძლებლობას. ტექნიკის განვითარების დაბალი დონის პირობებში ამ კოლოსალური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო ათასობით ადამიანის გაერთიანება. სწორედ ამან განაპირობა მოსახლეობის ისეთი რთული პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა და თითქმის უცვლელი სახით ათასწლეულების მანძილზე შენარჩუნება, როგორიცაა თემი და სახელმწიფო. სწორედ ევფრატი და ტიგროსი და მისი შენაკადები განაპირობებდა შუამდინარეთში სიცოცხლისა და არნახული მოსავლიანობის მიღწევას. იმისათვის, რომ წელიწადში 4-5-ჯერ მიეღოთ მოსავალი საჭირო იყო სამელიორაციო, საირიგაციო და სადრენაჟე სამუშაოების ჩატარება. ამგვარი სამუშაოების ჩატარებას დიდძალი მუშახელის გარდა ესაჭიროებოდა მაღვალკვალიფიციური სპეციალისტები, გამოცდილი "მენეჯერები" და იარაღიანი ხალხი, ვინც მუშახელის მორჩილებასა და ჭირნახულის მომხვდურთაგან დაცვას უზრუნველყოფდა. სწორედ ამიტომ, დიდი მდინარეების, ამ შემთხვევაში ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე ყველაზე ადრე ჩნდება სახელმწიფოებრიობის ნიშნები. შუამდინარეთში უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებულ და ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებრიობაზე ნეოლითის მიწურულს შეიძლება საუბარი. ამ ძირითად სამუშაოებს თავისუფალი მუშახელი ასრულებდა, თუმცა არ იყო უცხო მონათა შრომის გამოყენებაც.

მონების წყარო იყო:

1. **ომი - სამხედრო ტყვეები ხდებოდნენ მონები.**
2. **მონას ყიდვის გზით იძენდნენ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ვაჭართა მეშვეობით.**
3. **ე.წ. სავალო კაბალა, ე.ი. დავალიანების შემდეგ ერთი პიროვნების გადაქცევა მეორის მონად. თუმცა ეს ფართოდ არ გავრცელებულა შუამდინარეთში.**

მონებს ვხვდებით სახელმწიფო მეურნეობებშიც, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით. მათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ მათ არა მხოლოდ არ შეეძლოთ თავისუფალი მუშახელის გამოდევნა და წარმოების ძირითად დარგებში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, როგორც ეს ხდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოების - საბერძნეთისა და რომის - საზოგადოებაში, არამედ ის ვერც მოახერხებდა რაიმე გავლენას წარმოების ხასიათზე. სწორედ ამიტომ, არ შეგვიძლია ძვ.წ. III ათასწლეულის შუამდინარეთის საზოგადოება მივიჩნიოთ მონათმფლობელურ საზოგადოებად: სინამდვილეში ესაა ადრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობების თანაარსებობა, თემისა და დესპოტური ხელისუფლების არსებობა მეფის სახით და სხვ.

ძველაღმოსავლური და კონკრეტულად შუამდინარეთის თემი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საირიგაციო სამუშაოებთან, რადგან თემი იყო გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანთა კოლექტიური ორგანიზაციის ფორმა, რომლის მთავარ ფუნქციას შეადგენდა საირიგაციო სისტემის გამართვა და მასზე ზედამხედველობა. მმართველობის პოლიტიკური ორგანოები იყო: სათემო სახალხო კრება და უხუცესთა საბჭო, რომელიც ძირითადად სასამართლო საქმეებს აწარმოებდა. ამ ორგანოების გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევდნენ: თემის ზედამხედველს, მიწათმწყობს და სხვ. აღამსრულებელი

ძვ.წ. III ათასწლეულის ტერიტორიული თემი საკმაოდ წინაა წასული პირველყოფილ გვაროვნულ თემთან შედარებით, რომლისთისაც დამახასიათებელია კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური წარმოება და კოლექტიური მოხმარება. ამ დროის თემი და მეთემე მნიშვნელოვნად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ისარგებლო სათემო მიწის ნაკვეთითა და წყლით ნიშნავს იყო მოცემული თემის წევრი. ამიტომ, თუ მეთემე რაღაც მიზეზით გავიდოდა თემიდან კარგავდა ყველა უფლებას. მეთემე ვალდებული იყო შეესრულებინა კოლექტიური სამუშაო საირიგაციო სამუშაოებზე, გადაეხადა გადასახადები, ასევე მიეღო მონაწილეობა ლაშქრობაში და სხვა სახის საზოგადაოებრივ სამუშაობზე, რომელიც წარმოებდა თემის ან სახელმწიფოს მითითებით. მეთემეები იწოდებოდნენ შესაბამისი თემის შვილებად. თავისუფალი მეთემის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო გურუში(სიტყ.“კაცი”, “ძლიერი”). ეს ყველაფერი თემის შიგნით იწვევდა დაჩქაებული ქონებრივი დიფერენციაციის პროცესს.

თუ გვინდა, რომ აღნიშნული ეპოქის დროინდელი შუამდნირეთის საზოგადოების სრული სურათი დავინახოთ უნდა ვახსენოთ ტაძარი და სატაძრო მეურნეობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ცალკეულ თემს ყავდა თავისი მფარველი ღვთაება, რომლის სახელზე აგებული ტაძარი წარმოადგენდა თემის ცენტრს. ასევე თითოეულ ქალაქში ცენტრალური უბნის მფარველი ღვთაება ითვლებოდა მთელი ქალაქის მფარველ ღვათაებად, ხოლო მისი ტაძარი ქალაქის

ცენტრალურ ტაძრად. ტაძრის საკულტო საქმიანობის განმგებელი იყო უფროსი ქურუმი (სანგა). ის ხელმძღვანელობდა სატაზრო მეურნეობას. ტაძრის მიწებს ამუშავებდნენ ტაძარზე დამოკიდებული მეთმეები და ტაძრის მუდმივი მუშა პერსონალი. ამ სამეურნეო საქმიანობას უძღვებოდა სპეციალური თანამდებობის პირი ნუბანდა. მას ევალებოდა ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშების შედგენა. ასეთ ანგარიშებში ჩვეულებრივ მითითებულია სამუშაოს ხასიათი, დასაქმებული მუშახელის რაოდენობა თითოეულის სახელისა და პროფესიის ან სპეციალური მდგომარეობის ჩვენებით. იგივე პრინციპი არსებობდა სახელმწიფო მეურნეობისთვისაც, რომელიც თავდაპირველად სატაძრო მეურნეობისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. მხოლოდ მოგვიანებით, ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში, კერძოდ კი აქადისა და ურის მესამე დინასტიების ძლიერი მეფეების დროს მოხდა სატაძრო და სახელმწიფო მეურნეობების შერწყმა ერთ მთლიან სამეურნეო ორგანიზმად. შუამდინარეთში აღმოცენებული ადრეული პოლიტიკური გაერთიანებების მთავარ ფუნქციას შეადგენდა სარწყავი სისტემის ორგანიზაცია. ძველი შუამდინარეთის მეფეები სამხედრო ოპერაციებთან ერთად სიამაყით მოგვითხრობენ მათი ხელმძღვანელობით ჩატარებული საირიგაციო სამუშაოების, კერძოდ, სარწყავი არხების გაყვანის შესახებ. ასეთი ფუნქცია იყო ამავე დროს მთავარი განმაპირობებელი მიზეზიც პოლიტიკური გაერთიანებების შესაქმნელად.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის შუამდინარეთის საზოგადოება არის ადრეკლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობების თანაარსებობა, თემისა და დესპოტური ხელისუფლების არსებობა მეფის სახით და სხვ. ამ ეპოქის დაწინაურებამ გამოიწვია სატაძრო მეურნეობის ფართოდ გავრცელება, რასაც შედეგად პირველი ქალაქების წარმოქმნა მოჰყვა. და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის სახელმწიფოებრიობის ნიშნების გაჩენა. სახელმწიფოებრიობის ნიშნების გაჩენა ერთმნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საირიგაციო სამუშაოებთან, რასაც შუამდინარეთის მეფეებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საირიგაციო სამუშაოების ზედმიწევნით შესრულება ნიშნავდა გამართული პოლიტიკური ორგანოების არსებობას.

ეკა ჩიტაია

ვინ მართავდა ეგვიპტეს მეორე გარდამავალ პერიოდში?

ძველი ეგვიპტე ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ცივილიზაციაა, უმდიდრესი და, ფაქტობრივად, უნიკალური კულტურითა თუ ისტორიით, რომელშიც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჰიქსოსთა ბატონობის პერიოდი, თუმცა ვიდრე უშუალოდ საკვანძო საკითხზე დავიწყებდეთ საუბარს, თუ რა დამოკიდებულება იყო ეგვიპტესა და ჰიქსოსებს შორის და რა ცვლილებები გამოიწვია ამ უკანასკნელთა შეჭრამ ,,ნილოსის ნობათის'' ტერიტორიაზე, მოკლედ შევეცდებით, განვიხილოთ, ვინ იყვნენ ჰიქსოსები და საიდან აღმოჩნდნენ ეგვიპტეში.

მოგეხსენებათ, ჰიქსოსები (ეგვ. ჰეკაუ-ხასუტ, ,,მთიანი ქვეყნების'' ან ,,უცხო ქვეყნის მეუფეები'') აზიელი ტომები იყვნენ, რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. 1720 წელს წინა აზიიდან შეიჭრნენ ეგვიპტეში, დამკვიდრდნენ ნილოსის დელტაში (თითქმის 140 წელი იბატონეს) და დააარსეს თავიანთი დედაქალაქი ავარისი.

აზიელი ხალხები ეგვიპტეში

საინტერესოა, რომ ბერძნული ,,ჰიქსოსები'' წარმოდგება ეგვიპტური ,,უცხოელი მმართველებიდან''. მანეთონი, პტოლემაიოსის კარზე მოღვაწე ქურუმი და ისტორიკოსი,

მათ ,,მწყემსების მეფეებს'' უწოდებს. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში იყო მცდელობა, რომ ჰიქსოსები ებრაელთა ეგვიპტურ თავგადასავალთან დაეკავშირებინათ.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტე ის ქვეყანაა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში გარე სამყაროსაგან თითქმის იზოლირებულად ვითარდებოდა. ფარაონები სჯერდებოდნენ ლაშქრობებს უდაბნოებში არსებული ოაზისებისა და ნილოსის აღმა მდებარე ნუბიის (დღევანდელი ეთიოპია) წინააღმდეგ. ნუბია იყო ოქროსა და სპილოს ძვლის, აგრეთვე, ტყვეების ძირითადი წყარო. ეგვიპტის მკაცრ ბუნებრივ საზღვრებს წარმოადგენდა:

1. აღმოსავლეთითა და დასავლეთით - უდაბნო;

2. სამხრეთით - ნილოსის ჭორომები;

3. ჩრდილოეთით - ხმელთაშუა ზღვა.

ძვ.წ. XVII საუკუნეში ეგვიპტე დაიპყრეს აზიიდან მოსულმა გაურკვეველი წარმომავლების ტომებმა - ჰიქსოსებმა. მათი უპირატესობის ძირითადი საფუძველი სამხედრო აღჭურვილობაში მდგომარეობდა. დიდი, შორს მსროლელი მშვილდის, ჯაჭვის პერანგებისა და საბრძოლო, ცხენშებმული ეტლების მეშვეობით მათ იოლად დაამარცხეს ეგვიპტე და დაეპატრონნენ მის ჩრდილოეთ ნაწილს - მდ. ნილოსის დელტას.



ჰიქსოსები

ჰიქსოსები პრაქტიკულად არიან პირველი უცხოელი დამპყრობლები ეგვიპტეში - ქვეყანაში, რომელიც აქამდე თვითონ იყო შეჩვეული სხვა ხალხებზე ბატონობას და უმნიშვნელოვანეს კულტურულ კერას წარმოადგენდა. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინეს ჰიქსოსებმა ეგვიპტის ცხოვრებაზე. ამის საფუძველს ქმნის თუნდაც ის მცირე ცნობებიც კი, რომლებიც დღესდღეობით მოგვეპოვება.

უფრო გვიანი პერიოდის ეგვიპტელების ცნობით, ჰიქსოსების ბატონობის ხანა საკმაოდ რთული და საშინელი მონაკვეთია ეგვიპტისათვის, ვინაიდან ჰიქსოსები დაუდევრად ექცეოდნენ ეგვიპტური კულტურის მონაპოვარს. რაც შეეხება მანეთონს, იგი ამბობს, რომ ჰიქსოსებმა მიწასთან გაასწორეს ტაძრები და სასტიკად ეპყრობოდნენ ადგილობრივებს. ასევე, ის დიდებულები, რომლებიც ადრე ეგვიპტის კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებას უძღვებოდნენ, ახლა საკუთარ მონებად აქციეს. ჰიქსოსების მიმართ ასეთი დამოკიდებულება სავსებით შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო იმ მიზეზით, რომ ამაყ ეგვიპტელებს, რასაკვირველია, არ სიამოვნებდათ საკუთარი, უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა, ოდესღაც უცხოელი ბარბაროსების მიერ რომ იმართებოდა.

ჰიქსოსები ეგვიპტეში

საინტერესოა, რატომ ვერ ხერხდება ჰიქსოსების ზუსტი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევა და რატომაა ეს პერიოდი ისტორიული რეკონსტრუქციისათვის რთული? უნდა ითქვას, რომ წყაროების სიმცირესთან ერთად, ეს გარკვეულწილად განაპირობა იმან, რომ ჰიქსოსმა მეფეებმა მიიღეს ეგვიპტის ფარაონის ტიტულატურა და ისინი ეგვიპტურ სახელებსაც კი ირქმევდნენ. ამის გათვალისწინებით, ჰიქსოსები არ შეიძლება, რომ

ყოფილიყვნენ ეგვიპტური კულტურის გამანადგურებელნი. ის მცირე ცნობებიც კი, რომლებიც დღეს ჩვენს განკარგულებაშია, ჰიქსოსების პერიოდის შესახებ, გვამცნობს, რომ ეს უკანასკნელნი არათუ არ ,,ასწორებდნენ მიწასთან'' ეგვიპტურ ტაძრებს, არამედ თვითონაც აგებდნენ, თანაც - ეგვიპტური ტრადიციებისა და კანონების დაცვით. ახალი სამეფოს დროინდელ ცნობებს იმის შესახებ, რომ ჰიქსოსები უდიერად ეპყრობოდნენ ეგვიპტის ღმერთებს და ცხოვრობდნენ ,,რას გარეშე'', თავისთავად უარყოფს ის ფაქტი, რომ ჰიქსოსებმა თავიანთი მთავარი ღვთაება ეგვიპტურ სეტხთან გააიგივეს (სწორედ ამიტომ არ ვიცით ჰიქსოსური ღვთაების სახელი) და, ასევე, ეთაყვანებოდნენ სხვა ეგვიპტურ ღმერთებსაც. ჰიქსოსი მეფეები სწრაფად ,,გაეგვიპტელდნენ'' და ფარაონის ტიტულებიც მიიღეს. ის, რომ მათ მიიღეს ეგვიპტური ენა, დამწერლობა, ხოლო მათმა მეფეებმა - ეგვიპტური ფარაონის ტიტულატურა და ეგვიპტური სახელები, მეტყველებს შემდეგზე: ჰიქსოსებს სურდათ, დამსგავსებოდნენ ძველ ეგვიპტელებს - ამ უმდიდრესი და უნიკალური კულტურის მქონე ხალხს. საინტერესოა, რომ ჰიქსოსებმა გაამარტივეს ეგვიპტური დამწერლობა და შექმნეს დემოტური. ასევე, მათ ეგვიპტელების სირიუსის კალენდარი შეცვალეს უფრო ზუსტი კალენდრით, რომელსაც დღესაც ვიყენებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ კულტურული ასიმილაცია ართულებს არქეოლოგიურ კლასიფიკაციას ეგვიპტესა და ჰიქსოსებს შორის. ამ დროის ნებისმიერი მასალა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ჰიქსოსებმა თავდაპირველად მოახერხეს ეგვიპტელების დამორჩილება, შემდეგში სწორედ ეგვიპტელების მიერ, ჰიქსოსების კულტურული ასიმილაციის შედეგად მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ეგვიპტელთა ცხოვრებაში. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ჰიქსოსებს საკმაოდ დიდი უპირატესობა გააჩნდათ სამხედრო სფეროში. სწორედ მათ მიერ მოტანილი სამხედრო აღჭურვილობა, განსაკუთრებით კი საბრძოლო ეტლი - ძველი დროის ტანკი, გამოადგათ ეგვიპტელებს წარმატებული შორეული დაპყრობითი ლაშქრობების მოწყობაში. ცხენშებმული ეტლი გახდა არა მარტო სწრაფი გადაადგილების, არამედ - საბრძოლო საშუალებაც. მან შესაძლებელი გახადა მძიმედ შეიარაღებული ნაწილების სწრაფი გადასროლა შორ მანძილზე, ასევე, დიდი დამრტყმელი ძალა მიანიჭა შედარებით მცირე რაზმებს და უფრო ბრძოლისუნარიანი გახადა ისინი. ამასთანავე, არ არის შემთხვევითი,

რომ სწორედ ამ პერიოდიდან ანუ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან, იწყება ძველ ახლო აღმოსავლეთში შორეული დაპყრობებისა და მათ საფუძველზე დიდი, იმპერიული ტიპის სახელმწიფოების ზეობის პერიოდი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიქსოსებს არ შეუცვლიათ ეგვიპტის სახელმწიფოს მართვის პრინციპი, ამასთან, ბევრი ნომის უფროსის თანამდებობა კვლავ ძველეგვიპტელ ნომარქთა ხელში იყო. თანდათან, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა ეგვიპტის ისტორიაში, მომძლავრდნენ თებეს ნომარქები. აპოპის მეფობის დასაწყისისთვის, როგორც ჩანს, ისინი აღარ ექვემდებარებოდნენ ჰიქსოსებს, ვინაიდან თავიანთ თავს ,,მეფეებს'' ეძახდნენ. მართალია, ამ ,,მეფეების'' ძალაუფლება მხოლოდ თებესა და მის რაიონზე ვრცელდებოდა, მაგრამ როგორც ტორინოს ქრონიკა, ასევე, მანეთონი მათ ასახელებს, როგორც XVII დინასტიას. საინტერესოა, რომ აპოპის მეფობის ბოლოს თებელმა ნომარქმა სეკენენრამ დაამარცხა აპოპის არმია, თვით აპოპი ტყვედ ჩაიგდო და საბოლოოდ განდევნა ჰიქსოსები თებეს რაიონიდან. ამ ამბებს მოგვითხრობს ამონის კარნაკის ტაძარში ნაპოვნი სტელა, რომლის ტექსტი შედგენილია სეკენენრას ვაჟისა და მემკვიდრის, კა-მესუს ბრძანებით. ამ გამარჯვების შემდეგ, ჰიქსოსთა XV დინასტიაში მოიხსენიება კიდევ ორი ფარაონი, რომელთა შესახებაც ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი, ძირითადად, თებელებთან ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი, ვინაიდან ეგვიპტის ტერიტორია, რომელიც მათ ექვემდებარებოდა, ნელ-ნელა მცირდებოდა. თებეს მმართველები სათავეში ჩაუდგნენ ჰიქსოსების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს (ძვ.წ. 1650-1580 წწ.). ძვ.წ. 1567 წელს თებელმა ნომარქმა იახმესმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აიღო ჰიქსოსების დედაქალაქი ავარისი და საბოლოოდ განდევნა ისინი ქვეყნიდან. სწორედ იახმესის გამეფებით იწყება ეგვიპტის ისტორიის შემდგომი ე.წ. ახალი სამეფოს პერიოდი.

თანამედროვე მეცნიერთა აზრით, ჰიქსოსებს გარკვეული წვლილი მიუძღვით ,,ნილოსის ნობათის'' წინაშე. მათ, ფაქტობრივად, შეარყიეს ეგვიპტელთა რწმენა ქვეყნის უცხოელების მიერ დაპყრობის შეუძლებლობაში. მათი დახმარებით ეგვიპტე კულტურულად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთ აზიის ქვეყნებს, ვინაიდან ჰიქსოსები აღმოჩნდა ის ხიდი, რომელმაც გზა გაუკაფა ეგვიპტისაკენ ამ არეალის

კულტურის საუკეთესო მონაპოვრებს, რომლებიც, ასიმილირებული და ტრანსფორმირებული ეგვიპტურ ნიადაგზე, გარკვეულწილად სტიმულის მიმცემი იყო ეგვიპტური კულტურის შემდგომი განვითარებისთვის.

რომ შევაჯამოთ, ეგვიპტის ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჰიქსოსთა ბატონობა, რომელთა მოსვლით პრაქტიკულად იწყება უცხო ხალხების, ,,მწყემსების მეფეების'' ბატონობა ეგვიპტეში, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო ეგვიპტის კარჩაკეტილიბის გამო. ჰიქსოსთა თითქმის 140-წლიანმა ბატონობამ კი არ ,,დაჩაგრა'' უძველესი კულტურა, არამედ დააწინაურა სხვა ხალხებთან შედარებით. კულტურული ასიმილაციის დახმარებით, ეგვიპტელთა ხელში გადავიდა ის უდიდესი სამხედრო აღჭურვილობა, რითაც თავდაპირველად თავად დამარცხდნენ.

ამდენად, მიუწვდომელ, იდუმალ ჰიქსოსთა შემოსევის შედეგად გაიზარდა კონტაქტები დასავლეთ აზიის ქვეყნებთან. სწორედ ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში ეგვიპტელები ფეხს იკიდებენ აზიაში, იმორჩილებენ სირია-პალესტინის დიდ ნაწილს. ამ რეგიონზე კონტროლისათვის ისინი ებრძვიან აზიის წამყვან სახელმწიფოებს - ხურიტებისა და ხეთების სამეფოს. ყველაზე შორს ეგვიპტის ძალაუფლება თუტმოს მესამემ განავრცო ძვ.წ. XV საუკუნის პირველ ნახევარში.

ანი ბალიაშვილი, ეკა ჩიტაია, ნინო ძამნაშვილი

ნეო ბაბილონური იმპერია – ნაბუქოდონოსორ II

დღევანდელ სტატიის განხილვის თემას წარმოადგენს ბაბილონის ახალი სამეფოს ძლიერების ხანა, ანუ მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობის ეპოქა. ჩვენ კარგად გვახსოვს უძველესი ბაბილონის სამეფო, თავისი დიდებული ისტორიით, კულტურითა და გამორჩეული ცივილიზაციით, რომელსაც აღსასრული ეწია. თუმცაღა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დამპყრობლის ხელში აღმოჩენილი ბაბილონის მოსახლეობა მაინც არ ეპუებოდა მტრებს. ის დროის მონაკვეთი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ასურეთის სამეფოს მმართველობისგან დაღწევის პერიოდი: როდესაც ბაბილონი ახალი დინასტიით სათავეში იბრუნებს ძლიერებას რეგიონში. და, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფომ ერთი საუკუნეც ვერ იარსება, მან მოახერხა, აღედგინა ისტორიული ბაბილონის დიდებულება ასეთ მცირე დროში.

ვიდრე უშუალოდ მეფე ნაბუქოდონოსორზე ვიმსჯელებთ, განვიხილოთ ბაბილონის სამეფოს ძლიერების პრეისტორია. ძვ.წ VIII-VII საუკუნეებში ასურეთია ხოლო აღმოსავლეთში ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ძვ.წ-ის VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, მან დაიპყრო: არამ-დამასკო, ისრაელ-იუდეია, ურარტუ, ბაბილონი და ეგვიპტე. მას მერე, რაც ბაბილონი ასურეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ქვეყნის შიგნით შეიმჩნეოდა აჯანყებათა მრავალი სერია. ძვ.წ-ის VIII საუკუნის ბოლო ათეულ წლებში ყველაზე დასამახსოვრებელი აჯანყება უკავშირდება ერთ-ერთი ქალდეური სამთავროს მმართველ მარდუქაფალიდინს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანყი წარუმატებელი გამოდგა, ბაბილონს გარკვეულწილად თვითმმართველობის ქონის უფლება მიეცა. აღსანიშნავია, რომ ბაბილონის გავლენიანი არისტოკრატია არ ეგუებოდა ასურეთის სამეფო კარის პოლიტიკას, რამაც ბაბილონელთა ხელახალი აჯანყება გამოიწვია. ასურეთის ახალმა მეფე სინაქერიბმა ბაბილონის მოკავშირე სახელმწიფო ელამი დაამარცხა და მიწასთან გაასწორა ბაბილონი. სინაქერიბი თავის წარწერებში აღნიშნავს, რომ ქალაქი ბაბილონის შენობა-ნაგებობები მდინარე ფურათუში, ანუ ევფრატში ჩაძირა. ასურეთის შემდგომი მეფე ასურბანიფალი გახდა, ხოლო მისი მამის ანდერძის თანახმად, ბაბილონში მისი უმცროსი ძმა შამაშუქმუქინი გამეფდა. ამ პერიოდიდან იწყება ბაბილონის გაძლიერება. ძმებს შორის უთანხმოება ძალაუფლებისთვის ბრძოლის გამო დაიწყო – საქმე ბაბილონის განადგურებამდეც მიდგა, თუმცა, მისდა საბედნიეროდ, ასე არ დასრულდა. ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ ასურეთის სამეფოს ძლიერებას ბზარი გაუჩნდა. მეფის ცენტრალიზებული აპარატი მოიშალა. გარდა იმისა, რომ ასურეთის სამეფო ორ ნაწილად, საკუთრივ, ასურად და ნინევიად მის ორ ვაჟს შორის გაიყო, გავლენიანი დიდებულები და ქურუმები მეფის ხელისუფლებას არაფრად აგდებდნენ. მეფის სტატუსის დაქვეითებამ, რასაკვირველია,

ჯარის ბრძოლისუნარიანობაზეც უარყოფითად იმოქმედა და დაპყრობილი ხალხების უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა. ასურეთის ასეთმა დასუსტებამ კვლავ მისცა იმედი მეზობელ სახელმწიფოებს, გაეძლიერებინათ საკუთარი სამფლობელოები და მეტიც, გამხდარიყვნენ რეგიონის ჰეგემონი სამეფოები. ამ მიმართულებით დაწინაურდა ბაბილონი და მიდია. ძვ.წ-ის 626 წელს ბაბილონს ახალი – ქალდეველთა დინასტიით სათავეში ჩაუდგა ასურბანიფალის აწ უკვე ყოფილი მხედართმთავარი და ვასალი ნაბოფალასარი. მის ვაჟის, ნაბუქოდონოსორისა, და მიდიის მეფე კიაქსარის ქალიშვილის, ამეტისის პოლიტიკური ქორწინებით, მან დააკავშირა ბაბილონი და მიდია. ამ ორმა სამეფომ ნაბუქოდონოსორის მეთაურობით, უკვე 605 წელს, ქარხემიშთან, მუსრი გაავლო უკანასკნელ ასურელ სამხედროებს, რითიც საბოლოოდ გაანადგურა ასურეთის მილიტარისტული სამეფო.

ძვ.წ-ის 604 წელს გარდაიცვალა მეფე ნაბოფალასარი. სირიაში მყოფი მისი ვაჟი სასწრაფოდ გაეშურა ბაბილონისაკენ, რათა იქ მას ტახტის შემცილებელი არ გამოსჩენოდა. ბაბილონის მეათე, ქალდეური დინასტიის მეორე მეფე ნაბუქოდონოსორ მეორე გახდა. ის

ჭკვიანი სტრატეგოსი გამოდგა: მისი მიზანი იყო, ექცია ბაბილონის სამეფო ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად ახლო აღმოსავლეთში. ვიდრე მიდიასთან დინასტური კავშირი არსებობდა, ბაბილონს მისგან არაფერი ემუქრებოდა, ამიტომ მეფემ გეზი დასავლეთისკენ აიღო: ის ხშირად აწყობდა ლაშქრობებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში. მისი მმართველობის დასაწყისში იუდეის მეფე იოაკიმმა შეწყვიტა ბაბილონისთვის ხარკის გადახდა, რამაც აიძულა ნაბუქოდონოსორი, იერუსალიმისთვის ალყა შემოერტყმია. მალევე ქალაქი აღებულ იქნა – ნაბუქოდონოსორმა იოაკიმი, მისი სამეფო ოჯახი და სამი ათასზე მეტი გავლენიანი იუდეველი ბაბილონში გადაასახლა. ხოლო იუდეის სამეფო ტახტზე მისი ძე, იესონია დასვა. თუმცა მალევე იესონიაც იწყებს ანტიბაბილონურ პოლიტიკას. ნაბუქოდონოსორი კვლავ ილაშქრებს იუდეის წინააღმდეგ და წარმატებასაც აღწევს: ახალი მეფე ოჯახითა და ათასობით იუდეველით ბაბილონში გადასახლდა. ბაბილონელებმა გაძარცვეს ებრაელთა წმინდა სალოცავი – სოლომონის ტაძარი და დიდი ნადავლით გაბრუნდნენ უკან. იუდეის სამეფომ ისევ წარუმატებლობა იგემა. აღსანიშნავია, რომ ნაბუქოდონოსორი სრულებით არ ანადგურებს იუდეის სამეფოს. შესაძლოა, ეს ეგვიპტის ფაქტორთაცაა გამოწვეული – ეს სამეფო სიძლიერით მესამეა ახლო აღმოსავლეთში და ნაბუქოდონოსორი შესაძლოა შიშობდა, რომ ეგვიპტისგან შეტევით წაქეზებულიყო მიდიის ძლიერი სამეფო და ბაბილონის იმპერიას საფრთხე შექმნოდა, რადგან შეტევა განხორციელდებოდა სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარეებიდან. ამიტომ ნაბუქოდონოსორმა ერთგულების ფიცი დაადებინა ახალ მეფეს – სედეკიას, იესონიას ბიძას, რომ არ განუდგებოდა ბაბილონს, თუმცა სედეკიაც არ ასრულებს დანაპირებს. იუდეა, ფინიკია და ეგვიპტე თანხმდებიან საერთო ანტიბაბილონურ მოქმედებებზე – ბაბილონის მეფე იძულებული გახდა, კვლავ გაელაშქრა ურჩი სამეფოების წინააღმდეგ. ძვ.წ-ის 587 წელს ნაბუქოდონოსორი კვლავ გამოჩნდა იერუსალიმის კედლებთან. ეგვიპტის ჯარმა უშედეგო ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია და იერუსალიმი ბედის ანაბარა დატოვა. ნაბუქოდონოსორმა მიიღო იმის გამოცილება, რომ ებრაელები არ შეეგუებოდნენ მის მმართველობას, ამიტომ იუდეველთა უკანასკნელი დასაყრდენი – იერუსალიმი მიწასთან გაასწორა, გაძარცვა, გადაწვა და „ტრადიციულად“ გადაასახლა ებრაელი ხალხი (დიდი რაოდენობით გადაასახლეს ხელოსნებიც, რომლებმაც ქალაქ ბაბილონს თავიანთი ხელიც დაატყეს). ძვ.წ-ის 597-586 წლების მანძილზე იუდეადან ბაბილონში ებრაელი მოსახლეობის 20%-იანი დეპორტაცია მოხდა (ძირითადად, ციხე-სიმაგრეებიდან და იერუსალიმიდან – მათ შორის ბევრნი იქნებოდნენ სამხედროებიც, რომლებიც გარკვეულ ძალას წარმოადგენდნენ), რაც ისტორიაში „ბაბილონური ტყვეობის“ სახელით არის შესული. პატრიოტმა ებრაელებმა ეგვიპტეს შეაფარეს თავი. მეფე სედეკია კი დააბრმავეს – იუდეის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. გადასახლებულთა მიწები უმიწაწყლოებს გადასცეს – შესაძლოა ამით ნაბუქოდონოსორმა მათ თვალში სახელი მოიხვეჭა, რომ დარჩენილ

მოსახლეობას კვლავ არ დაეწყო ანტიბაბილონური მოქმედებები, არამედ აღექვა ბაბილონის მეფე, როგორც მოწყალე და გულუხვი მმართველი.

სირიის დაპყრობის შემდეგ ნაბუქოდონოსორმა ფინიკიის დამორჩილებაც განიზრახა – მას ხომ ვაჭრობის სამოთხეც შეიძლება ვუწოდოთ: იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში ფინიკია ცნობილი იყო ხილის მოყვანით, ღვინის დაყენებით, კედარით – რომელიც გემთმშენებლობისთვის საუკეთესო მასალა იყო – ეს ყოველივე ბაბილონის ეკონომიკისა და სამხედრო სფეროს განვითარების საუკეთესო შესაძლებლობა იყო. ამიტომ ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო იუდეასთან ახლოს მყოფი ედომის სამეფო (რომელმაც ბუფერის როლი მოირგო ეგვიპტესა და ბაბილონს შორის) და ქალაქ-სახელმწიფო სიდონი. ხოლო ქალაქ ტვიროსის ალყა, რომელიც 13 წელი გრძელდებოდა, ქალაქის ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, უშედეგო აღმოჩნდა ბაბილონელი მეფისთვის. ძვ.წ-ის 574 წელს ტვიროსის მეფე ითობალმა ზავი დადო ნაბუქოდონოსორთან – ტვიროსი ბაბილონს დაექვემდებარა, თუმცა ქალაქმა საშინაო საქმეებში თვითმმართველობა შეინარჩუნა. ეგვიპტე ვეღარ ბედავდა სირიისთვის ბრძოლას, ძვ.წ-ის 585 წელს მიდიის ახლამა მეფე ასტიაგმა სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ნაბუქოდონოსორთან – მიდია კვლავ მშვიდობიან ურთიერთობაზე სჯერდებოდა, შედეგად კი, ბაბილონის სამეფო ძლიერების ზენიტში რჩებოდა.

ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობას ბაბილონის ახალი სამეფოს „ოქროს ხანაც“ კი შეგვიძლია ვუწოდოთ: ფართომასშტაბიანი დაპყრობები; სააღმშენებლო საქმიანობები; სწორი, დაბალანსებული პოლიტიკა. მეფის ძლიერება გავლენიან ქურუმთა და მსხვილ სავაჭრო-მონათმფლობელურ არისტოკრატიას ემყარებოდა. მეფე ქვეყნის პირველი პირი იყო, ანუ მხოლოდ მისი თანხმობით უნდა გადაწყვეტილიყო უმნიშვნელოვანელი საჭირბოროტო საკითხები. მეფე სააღმშენებლო საქმიანობებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა: მის დროს რესტავრირდა თითქმის ყველა ძველი ნაგებობა. იგი განსაკუთრებით ზრუნდავდა ბაბილონის და, ზოგადად, ძველი შუამდინარეთის ერთ-ერთი მთავარი ღვთაბის, მარდუქის სახელზე აგებული ტაძრის ესაგილისა და მისი კოშკის ეთემენანქის, ასევე ბარსიფისა და ნაბუს ტაძრების აღდგენა-გამშვენებაზე. მეფემ ააშენა ბაბილონის 9 კარიბჭეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი – იშთარის კარიბჭე (რომელიც დღეს გერმანიაში მდებარეობს).მეფის შორსმჭვრეტელობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან მიდიისგან შესაძლო მომავალი საფრთხის გამო ქალაქ ბაბილონს შემოარტყა გალავანი. მისი ბრძანებით აშენდა აგრეთვე სიმაგრეები მიდის სამეფოს საზღვრებთან... ამ ქალაქმა მართლაც გაამართლა თავისი სახელი – „ღვთის კარიბჭე“, რადგან იქცა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქად. მეფეს მიეწერება ასევე სემირამიდას სახელით ცნობილი დაკიდული ბაღების აღმშენებლობა, რომელიც მსოფლიოს შვიდი საოცრებთაგანია. ერთ-ერთ სტელაზე აღმოჩენილი ამბავი მოგვითხრობს ბაღების გაშენების ლეგენდას: ბაბილონს გათხოვილი მიდიის მეფის ქალიშვილი ამეტისი

მოწყენილი იყო უდაბურ, ხროკ ბაბილონში – ის მიჩვეული იყო მიდიის ბუნების სილამაზესა და სიმწვანეს, ამიტომ ნაბუქოდონოსორმა დამწუხრებული მეუღლის დარდის გასაქარწყლებლად გასცა ბრძანება, აეშენებინათ დაკიდული ბაღები, სადაც დედოფალი თავს ისე იგრძნობდა, როგორც მშობლიურ მიდიაში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის აღმოჩენილ ტერიტორიებზე დაზუსტებით ვერ მტკიცდება ამ ბაღების არსებობა. თვით სახელ სემირამიდას ქვეშ იგულისხმება ძვ.წ-ის XI საუკუნის ბოლოს ასურეთში მოღვაწე დედოფალი შამურამატი, რომელსაც ამ ბაღებს აგება მიაწერა ზოგიერთმა ანტიკურმა ავტორმა.

მეფე ნაბუქოდონოსორი 43-წლიანი მმართველობის შემდეგ, ღრმა სიბერეში. ძვ.წ-ის 562 წელს გარდაიცვალა. მის შემდეგ ტახტი სულ რამდენიმე მონარქმა დაიკავა, რომელთა მმართველობა არანაყოფიერი აღმოჩნდა: მათ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ: ზოგს სურდა ნაბუქოდონოსორის პოლიტიკა გაეგრძელებინა, ზოგს კი არა, შესაბამისად, ქვეყანა სტაბულურად ვეღარ ვითარდებოდა. სამეფოს ტერიტორიის ზრდა უკანასკნელ მეფე ნაბონიდს (ის ასურული ქალაქიდან – ხარანიდან იყო და არ წარმოსდგებოდა ქალდეველთა დინასტიიდან) უკავშირდება, რომელმაც მცირე დროით არაბეთის ტერიტორიებიც დაიპყრო, თუმცა ქურუმების განდგომამ, ქვეყნის მერყევმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ და რეგიონში ახალი პოლიტიკური ერთეულის – აქემენიანთა სპარსეთის დაწინაურებამ ბაბილონის ჰეგემონიას ბოლო მოუღო. ძვ.წ-ის 539 წელს აქემენიანთა მმართველმა კიროს მეორემ აიღო ბაბილონი – ახალი სამეფო დაეცა...

ლუკა ქავთარაძე

ზინჯების აჯანყება არაბთა სახალიფოში

სანამ უშუალოდ ზინჯების აჯანყების შესახებ ვისაუბრებ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავ არაბთა სახალიფოს და ამ აჯანყების პერიოდში მმართველ აბასიანთა სახალიფოს.

აბასიანთა სახალიფო, როგორც ცნობილია გახლდათ არაფთა სახალიფოს ფეოდალური სახელმწიფო 750-1258 წლებში. შესაბამისად განაგებდნენ და მართავდნენ აბასიანების დინასტიის ხალიფები. არსებული სახალიფო მას შემდეგ შეიქმნა, რაც აბუ მუსლიმმა აანყების შედეგად, ბოლო მოუღო ომაიანების დინასტიას. ცნობილია, რომ აბასიანთა სახალიფოს გაცილებით ნაკლები ტერიტორია ეკავა, ვიდრე ომაიანთა სახალიფოს . მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული კი მას სხვადასხვა ტრეიტორია ჩამოსცილდა. აბასიანთა სახალიფოს შემდაგენლობაში გაცილებით დიდხანს დარჩნენ ერაყი, ირანი, არაბეთის ნახევარკუნძული, მცირე აზიის ნაწილი და ამიერკავკასია. ასევე ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკურმა ცენტრმა სირიიდან ერაყში გადაინაცვლა. თანდათან აბასიანთა სახალიფოს გაძლიერება შეინიშნებოდა, სამეუნეო-კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არაბთა მიერ დაპყრობილმა ხალხებმა(სპარსელებმა, სირიელებმა, ტაჯიკებმა). ამ დროს გაძლიერდა სახალიფოს მფლობელობაში მყოფი ქვეყნების მოსახლეობის ექპლუატაცია და სხვ.

აბასიანთა სახალიფო 850 წელს

მაგრამ თანდათანობით, გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, ამავდროულად, გახშირდა სახალხო ანტიფეოდალური აჯანყებები: მუკანას აჯანყება შუა აზიაში, ბაბექის აჯანყება აზერბაიჯანში და სხვ. აბასიანთა სახალიფო კი საგრძნობლად დაასუსტა შავკანიანი მონების - ზინჯების აჯანყებამ, რომელიც 869-889 წლებში მიმდინარეობდა.

869 წელს ერაყში დაიწყო ზინჯების დიდი აჯანყება, რომელიც ერთი შეხედვით შიიტური იყო, მაგრამ უფრო მეტად ხარიჯიტობისკენ იხრებოდა. ცნობილია, რომ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალა იბნ მუჰამმადი (sáჰიბ აზ-ზინჯ), რომელიც თავს ხალიფა ალის შთამომავლად და იმამად აცხადებდა. იმის გამო, რომ ზინჯებს თანაუგრძნობდნენ ქალაქებისა და სოფლების უღარიბესი ფენები, ხოლოსახალიფოს ჯარებს უჭირდათ მოქმედება ჭაობიან სამხრეთ ერაყში და ხუზისთანში,ცნობილია, რომ აჯანყებულებმა თავდაპირველად წარმატებას მიაღწიეს. მათ ხელში აღმოჩნდა ქალაქები აჰვაზი და აბადანი, ხოლო 871 წელს აიღეს და გაძარცვეს ბასრა, სადაც არაბული წყაროების თანახმად, ამ დროს 300 ათასი მცხოვრები დაიღუპა.

ცნობილია და წყაროები გვამცნობს შემდეგ ინფორმაციას, რომ 875 წ. ზინჯებს გამოუჩნდათ ძლიერი მოკავშირე მეამბოხე სპარსელი სარდლის ას-საფარის სახით, მაგრამ 876 წელს სუსთან მომხდარ შეტაკებაში სახალიფოს ჯარმა მოკავშირეები დაამარცხა.სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ზინჯების მეგობრული ურთიერთობა ას-

საფართან დაირღვა და აშკარად მტრულიც გახდ მიუხედავად ამისა, 879 წ.ზინჯებმა აიღეს ვასიტი, რაც მათი უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა.

უკვე მომდევნო წელს აბასიანთა ჯარმა, რომელსაც სარდლობდა აბუ-ლ-'აბასი (მომავალი ხალიფა ალ-მუ'თადიდი, 892-902) დაამარცხა ზინჯები და ვასიტიდან განდევნა. იმავე წელს სახალიფოს ჯარი ხალიფას ძმის ალ-მუვაფაკის მეთაურობით და დიდი სამდინარო ფლოტის თანხლებით დაიძრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მიუხედავად უდიდესი თავგანწირული წინააღმდეგობისა, ზინჯები სასტიკად დამარცხდნენ 883 წ და მათი დედაქალაქიც ალ-მუხთარა(ქუფის სამხრეთდასავლეთით) დაეცა. ცნობილია, რომ ალი იბნ მუჰამმადი მოკლეს. ალ-მუვაფაკი კი ტრიუმფით ბაღდადში დაბრუნდა და შემდეგი ტიტული მიიღო "ან-ნასირ ლი-დინ ალლაჰ " (,,ალლაჰის სარწმუნოებისთვის გამარჯვებული") .

ამრიგად ცნობილია, ზინჯების აჯანყების მიზეზებიც: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ დაკარგეს ქალაქებისა და სოფლების უღარიბესი ფენების მხარდაჭერა. ასევე ცნობილია, რომ ალი იბნ მუჰამადმა თავი გამოაცხადა ხალიფად და საკუთარ სახელწიფოში შეინარჩუნა როგორც მონობა, ისე ექსპლუატაციის ყველა ფორმა. ყოფილი მონების ზედაფენა ახლა მსხვილ მიწათმფლობელად და მონათმფლობელად იქცა.

მიუხედავად რიგი პროცესებისა, აჯანყებამ დადებითი როლი შეასრულა სახალიფოს ისტორიაში, ვინაიდან ხელი შეუწყო მონობის ინსტიტუტის შესუსტებას, რაც ისლამური საზოგადოების ევოლუციის მაჩვენებელი იყო, მაგრამ, უფრო გვიან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მომთაბარეთა მოძალებამ და რიგმა სხვა ფაქტორებმა ხანგრძლივად შეაჩერეს აღნიშნული პროცესი.

ხატია ნონიაშვილი

ალამუთის ციხე და ასასინები



Figure 3: The model of the network of Isma'ili castles in the Alamut region suggested by Hamidih Chubak
Credit: Chubak, "Alamut- Part II," 120.

ალამუთის რეგიონი არის ჩაკეტილი მთიანი რელიეფი, აღმოსავლეთითა და დასავლეთით ესაზღვრება ელბურსის მთიანეთი, ჩრდილოეთით მთების გასწვრივ კასპიის ზღვის სანაპირო, სამხრეთ-დასავლეთით - ყაზვინის ვაკე, სამხრეთ-აღმოსავლეთით - თალიკანის რეგიონი. გარშემოსაზღვრული მთების საშუალო სიმაღლე დაახლოებით 3600 მეტრია.

ალამუთის ციხე მდებარეობდა კასპიის ზღვის სამხრეთით,ირანის მთიანეთში,ქალაქ ყაზვინის ჩრდილო-დასავლეთით. ალამუთის ციხე წარმოადგენდა შიიტური ისლამის განშტოების ,ისმაილიტების სექტის ,,მეომარი ნიზარიტების" ცენტრს,რომლებსაც აზიაში ,,ჰაშიშიუნებს" უწოდებდნენ ,საიდანაც მომდინარეობს მათი ევროპული სახელწოდება -ასასინები.

ისმაილიტების სექტა პირველადVIII საუკუნეში გაჩნდა და თანდათან მოიკიდა ფეხი ეგვიპტეში, პალესტინაში, მესოპოტამიაში, სირიასა და ინდოეთში. მაგრამ ასასინთა მოღვაწეობაში რეალური გარდატეხა მოხდა 1090 წელს, როდესაც ორდენის ლიდერმა ჰასან იბნ საბაჰმა ისმაილიტურ რწმენაზე მოაქცია ალამუთის ციხის დამცველები, ხოლო ციხისთავი სამი ათასი ოქროს საფასურად მოისყიდა, მერე კი 50-მდე ფანატიკოსის თანხლებით დაიკავა ალამუთის ციხე, რომელიც საბოლოოდ ისმაილიტთა ორდენის ცენტრად აქცია.

ტერორისტი ისმაილიტები იწოდებოდნენ ფიდაებად. სიტყვა ფიდაიმ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე მუსლიმ ტერორისტთა ლექსიკონში. არაბულად ის ნიშნავს ადამიანს, რომელიც მზად არის თავგანწირვისათვის.მათი

სამიზნეების დაყოფა სამ ჯგუფად შეიძლება. პირველში შედიან ხალიფები, სულთნები, ვაზირები, მხედართმთავრები, მეორეში – ის თანამდებობის პირები, ვისაც დანაშაული მიუძღოდათ ისმაილიტთა წინაშე და ვინც ებრძოდა მათ რელიგიას. მესამეში კი მოღალატე განდგომილი ისმაილიტები.

ისმაილიტების ძალაუფლებამ ჰასან იბნ საბაჰის მმართველობის პერიოდში პიკს მიაღწია, ისინი დიდ როლს თამაშობდნენ ისლამური სამყაროს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ისტორიაში ალამუთის ციხის დაცემამდე - 1256 წლამდე.

ე.წ. ალამუთის პერიოდის (1090-1256) განმავლობაში ისმაილიტებმა ჰასან იბნ საბაჰისა და მისი მემკვიდრეების მეთაურობით აიღეს 200-მდე დიდი და მცირე ციხესიმაგრე სპარსეთის სხვადასხვა რეგიონში და ჯაბალ ალ-ბაჰრა სირიაში. სწორედ ციხესიმაგრეთა ქსელის შექმნა, სადაც განლაგებული იყო მიუწვდომელი ციხეები, იყო პრინციპული სტრატეგია, რომელიც დაეხმარა ისმაილიტებს მტრულ გარემოში თავის გადარჩენაში.

მას შემდეგ ,რაც ჰასან იბნ საბაჰმა დაამყარა სრული კონტროლი ალამუთის ციხესიმაგრეზე, ერთ-ერთ მთავარ ციხესიმაგრეზე ჩრდილოეთ ირანში, მან ციხის გარშემო შექმნა თავდაცვითი სისტემა,რისთვისაც გამოიყენა იმდროისთვის არსებული საინჟინრო მიღწევები.

მთების ტოპოგრაფიული მახასიათებლები უზრუნველყოფდა მაღალი თავდაცვითი თვისებების მქონე ციხეების აღმართვას. ილხანთა ისტორიკოსი და გეოგრაფი მუსტაუფი (გარდ. 1349წ) აღნიშნავდა, რომ ალამუთისა და რუდბარის რეგიონში ორმოცდაათზე მეტი ციხესიმაგრე იყო, რომელთაგანაც ლამასარის, მეიმუნ დიზისა და ალამუთის ციხეები იყო უდიდესი და უმნიშვნელოვანესი.

ვიქტორიის უნივერსიტეტის პროფესორი სეიდ ჰამედ ჰაგანე ფერზანდი თავის ნაშრომში: "ისმაილიტთა ციხე-სიმაგრეების ქსელი ალამუთის რეგიონში: ძალაუფლება და მმართველობა" ("The network of isma'ili castles in the alamut region: power and governance") გვთავაზობს სრულ სურათს ისმაილიტთა ციხესიმაგრეების ქსელის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად. მანამდე ამ თემას შეეხო რამდენიმე მეცნიერი, მაგ. პიტერ უილი, უოლფრამ ქლეისი და ჰამიდიჰ ჩუბაქი. თავიანთ ნაშრომებში ისინი თანხმდებიან, რომ ისმაილიტთა ციხესიმაგრეები იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და აკონტროლებდნენ მათ შორის მოქცეულ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

ჰამიდიჰ ჩუბაქი ციხესიმაგრეებს მიიჩნევს ალამუთის ხეობაში შესასვლელ კარიბჭეებად, რომლითაც კონტროლდებოდა ხეობისკენ მიმავალი გზებ.

რაც შეეხება ჰასან იბნ საბაჰს, ჰულაგუ ყაენის სპარსი ისტორიკოსი 'ატა - მალექ ჯუვეინი ჰასან იბნ საბაჰზე წერდა, რომ ის შეუბრალებელი იყო ალამუთის მიმდებარე ტერიტორიების გათავისუფლებისას, თუ შესაძლებელი იყო ის უთანხმდებოდა დამხვდურებს, მაგრამ თუ უარს იტყოდნენ მისთვის ტერიტორიების გადაცემაზე, სისხლისღვრით იღებდა ციხეებს, ხოლო თუ იპოვნიდა შესაფერის ადგილს, კლდეებზე აგებდა მათ.

ჰასან იბნ საბაჰმა,რომელიცასევე მოიხსენიება როგორც "მთათა მოხუცი",ალამუთში დაამყარა მკაცრი ცხოვრების წესი. პირველ რიგში მან დემონსტრაციულად აკრძალა შარიათის ყველა კანონი.ამ კანონების შესრულებისთვის სასიკვდილო სასჯელი იყო. მან აკრძალა ყველანაირი სიმდიდრის ქონა, მდიდრული სახლები, ტანასცმელი და სხვა. ამ ყველაფრით იბნ-საბაჰმა შეძლო შეექმნა შუა საუკუნეების უტოპია, რომელსაც არ იცნობდა ისლამური სამყარო და რომლის შესახებაც არ იცოდნენ ევროპელმა მოაზროვნეებმა.

მას შემდეგ ,რაც ჰასან იბნ საბაჰი მმართველი გახდა,მან დაიწყო თავისი რჩეული ჯარისკაცების დაბარება სასახლეში,რომლებსაც შემოჰქონდათ ღვინო. ჰასანი არწმუნებდა მათ,რომ ის იყო ალაჰის მოგზავნილი და სტუმრებს შეეძლოთ ეკეთებინათ ის,რაც სურდათ. ღვინით და ჰაშიშით გაბრუებული სტუმრები იძინებდნენ, ისინი მიყავდათ ბაღში,სადაც მათ ქალები ელოდებოდნენ ღვთებრივი სიმღერებით. ეს ქალები მომსახურების შემდეგ ისევ ათრობდნენ სტუმრებს და მათ უკან სასახლეში აბრუნდებნენ. ამ მოვლენის შემდგომ ასასინების ქვეყანაში დაიწყო თვითმკვლელობა,ჰასანი ამას არ ელოდა, ამიტომ მათ არწმუნებდა იმაში,რომ ვინც მას იწამებდადა ერთგულად ემსახურებოდა მოხვდებოდა სამოთხეში,სწორედ ეს იყო მიზეზი,რატომაც სიხარულით კვდებოდნენ მის გამო.

საინტერესოა,რომ ჰასან იბნ საბაჰი ღრმად მორწმუნე შიიტების ოჯახში აღიზარდა და თავის დროზე მას სწავლა მოუხდა ისეთი ადამიანების გვერდით,როგორებიც იყვნენსპარსული პოეზიისთვალმარგალიტი ომარ ხაიამი და სელჩუკთა იმპერიის ინტელექტით აღსავსე მთავარი ვეზირი ნიზამ ალ მულქი. სწორედ ამ სამი პიროვნების უერთიერთობას უდევს საფუძვლად ლეგენდა და ასასინების მკვლელობის სათავე.

ისტორიაზე დაყრდნობით 1092 წელს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ნიზამ ალ-მულქი მიდიოდა ბაღდადში, როდესაც მას დეილამიდან (ალამუთის რაიონი) მიუახლოვდა მომლოცველის საფარქვეშ მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი,რომელმაც უცებ ამოიღო დანა ხალათიდან და მინისტრი სასიკვდილოდ დაჭრა. როგორც წესი, ეს იყო პირველი მკვლელობა, რომელიც განხორციელდა ჰასანის ბრძანებით. შუა საუკუნეებში ამ მკვლელობის შესახებ გავრცელებული იყო ლეგენდა, რომელიც აკავშირებდა ჰასანს, ნიზამ ალ-მულქსა და პოეტ ომარ ხაიამს.

სიუჟეტის თანახმად, ჰასანი და ომარ ხაიამი სავარაუდოდ იყვნენ ნიზამ ალ-მულქის თანაკურსელები და სამივე შეთანხმდა, რომ თუ რომელიმე მათგანი დაეუფლებოდა მაღალ თანამდებობას, უნდა დახმარებოდა სხვებს. როდესაც ნიზამ ალ-მულქი საბოლოოდ გახდა ვეზირი მალიქ შაჰის დროს, ომარ ხაიამმა უარი თქვა ნებისმიერ თანამდებობაზე და ითხოვა მხოლოდ პენსია, ჰასანმა კი მოითხოვა ადგილი სასამართლოში.

სულთანმა მალიქ შაჰმა სთხოვა ნიზამ ალ-მულქს მოემზადებინა სახელმწიფო შემოსავლების ზოგადი ანგარიში; ნიზამ ალ-მულქმა თქვა, რომ ამოცანას ორი წელი დასჭირდება, მაგრამ ჰასანმა თქვა, რომ მას ამის გაკეთება მხოლოდ რამდენიმე კვირაში შეეძლო. ჰასანს, ბუნებრივია, მიეცა თანხა და უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით; მაგრამ როდესაც დადგა დღე, რომ თავისი თავი წარმოეჩინა, ის თავიდან მოიშორა მზაკვრულმა ნიზამ ალ-მულქმა, რომელმაც გაანადგურა მისი საბუთები და შეურაცხყოფა მიაყენა უპასუხისმგებლობის გამო. ჰასანმა შეურაცხყოფილმა დატოვა სასამართლო და სწორედ ეს გახდა მისი საბოლოო შურისძიების მოტივი.

არსებობს ასევე სხვა ისტორიაც,რომლის თანახმადაც ალამუთის აღება უნდოდა თურქ-სელჩუკების ერთ-ერთ უძლიერეს სულთანს – მალიქ-შაჰს. 1092 წლის გაზაფხულზე მან გაგზავნა ჯარი,რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდა ალამუთის ციხეში გამაგრებული 60-70 ასასინი . ეს ალყა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ოქტომბერში ასასინებს მოუვიდათ დამხმარე ძალა –300 მეომარი, რომლებიც მოულოდნელად დაესხნენ თავს მოალყე სელჩუკებს და გააქციეს. ჰაშიშინებმა ეს ქმედება არაპატიესთურქ-სელჩუკთასახელმწიფოს.

ამ ყველაფერს დაემატა ის ფაქტიც,რომ ასასინებს ქალაქ სავაში შემოაკვდათ ერთი მუეძინი , რადგან ეშინოდათ, არგაგვთქვასო. ამან აღაშფოთა თურქ–სელჩუკთა ორი დიდი სულთნის – ალფ-არსლანისა (1063–1072) და მალიქ-შაჰის (1072–1092) სპარსული წარმოშობის დიდი ვეზირი ნიზამ ალ მულქი და ბრძანა, წამებით მოეკლათ იმ ქალაქში ფარულად მოღვაწე დამნაშავე ისმაილიტების წარმომადგენელი. ისმაილიტი წამებით მოკლეს და მისი გვამი რამდენიმე დღე ბაზარში დააგდეს, რათა ყველას ენახა.

მანამდე ნიზამ ალ მულქს ბრძანება ჰქონდა გაცემული ჰასან საბაჰის დაპატიმრებაზე, რადგან ის მიაჩნდა სელჩუკთა სახელმწიფოს საშიშ მტრად. ჰასან იბნ საბაჰს ეს ამბავი მოახსენეს ასასინებმა და მათგან ერთმა ახალგზარდამ ბუ თაჰირ არანიმ, დაუჩოქა და შეჰფიცა, რომ მის ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებდა.

ასასინების მეთაურმა ბრძანება გასცა და არანი და მისი თანამებრძოლები გაემგზავრნენ ნიზამ ალ მულქის სასახლისკენ. რამდენიმე ხანში მიაღწიეს დიდი ვაზირის სასახლეს. არანი შეიპარა როგორც მლოცველი და ხანჯლით მოკლა ნიზამ ალ მულქი. ის იქვე აჩეხეს, თუმცა მისმა თანამებრძოლებმა შეუტიეს სასახლეს და მრავალი დახოცეს. ამ ამბავმა შეძრა მთელი იმდროინდელი მსოფლიო და დააშინა სუნიტები, ხოლო სექტის მეთაური დარწმუნდა იმაში,რომ მას შეეძლო უზარმაზარი ძალაუფლების მოპოვება .

აღსანიშნავია, რომ დასავლეთისთვის ასასინები ჯვაროსნებისგან გახდნენ ცნობილნი, მათი სირიული ფრთის მეშვეობით, რომელიც ჯაბალ ალ ბაჰრაში მდებარეობდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დიდი თანამედროვე ისტორიკოსი, უილიამ ტვიროსი,წერდა, რომ ერთ დროს სირიელი ასასინები ფრანკებთან იყვნენ შეკრულები სალადინის წინააღმდეგ,რომელთა მოკვლაც არაერთხელ სცადეს,თუმცა მოგვიანებით და განსაკუთრებით 1187 წელს,როდესაც სალადინმა აიღო იერუსალიმი ასასინებმა მონაწილეობა მიიღეს ფრანკების წინააღმდეგ მუსლიმთა ბრძოლაში. 1192 წელს კონფე მონტერატი მოკლეს ბერის სამოსში შენიღბულმა ადამიანებმა და ზოგადად ვარაუდობენ, რომ ესენი იყვნენ ასასინები, თუმცა მკვლელობის წაქეზებაში ეჭვმიტანილია ინგლისის მეფე რიჩარდ I. ამ დროიდან დემორალიზებულ ჯვაროსნებს უფრო შეეშინდათ ასასინების, რომლებსაც მიაწერდნენ ეშმაკურ სიჭკვიანეს,შენიღბვის ოსტატობასა და ფრანკების სხვადასხვა ენის ცოდნას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გრაფი ჰენრი შამპანიელი ეწვია ასასინებს 1194 წელს დაშეესწრო ერთგულების საოცარ გამოვლენას "მთათა მოხუცის" მიმდევრებისგან. ერთ დღეს ციხეში ერთად სეირნობისას ჰენრიმ და ჰასან იბნ საბაჰმა მორჩილებაზე დაიწყეს საუბარი. რამდენიმე თეთრკანიანი ახალგაზრდა იჯდა მაღალი კოშკის თავზე. "მე გაჩვენებ რას ნიშნავს მორჩილება", - თქვა უფროსმა; მან ნიშანი მისცა და მაშინვე ორი

ახალგაზრდა გადმოხტა კოშკიდან და კლდეს შეასკდა. სწორედ ასეთი ისტორიები ქმნიდა ლეგენდას ასასინების შესახებ, რომელიც არსებობდა დასავლეთში ბოლო დრომდე.

რაც შეეხება ალამუთის პერიოდის დასასრულს ის დაკავშირებულია მონღოლების სახელთნ.მონღოლთა გამოჩენის პირველ ხანებში, ჩინგიზ ყაენის ურდოები გამოჩნდნენ მხოლოდ ისმაილიტთა ტერიტორიის პერიფერიებში. მათაც, როგორც ყველა დანარჩენს, მოუწიათ, რომ შეგუებოდნენ მონღოლთა პოლიტიკას, რომ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა. ასევე აშკარაა, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ორივენი სელჩუკთა მოსისხლე მტრები იყვნენ.

1255-65 წლებში ჩინგიზ ხანის შვილიშვილმა ჰულაგუ ყაენმა დაიწყო მონღოლთა მეორე დაპყრობების ტალღა. ჰულაგუ ნიზარიტებს მტრებად თვლიდა და აპირებდა მათთან გასწორებას. თავის მხრივ, ისმაილიტები, მონღოლთა მსგავსად, ოცნებობდნენ მსოფლიოზე ბატონობაზე და მათ, როგორც ამ საქმეში მოცილეებს, მტრებად მიიჩნევდნენ. რამდენად დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს ისმაილიტთა ამბიციები დღევანდელი გადმოსახედიდან, ისინი მონღოლებისთვის ძალიან ძლიერ საფრთხეს ქმნიდნენ. ისმაილიტი ასასინები თითქმის მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. მათ დასავლეთ ევროპასთან დაკავშირებაც სცადეს, რომ კოალიციური ლაშქარი შეეკრათ მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს, რადგან ამ პერიოდში დასავლელ მონარქებს სჯეროდათ, რომ მონღოლთა ყაენი ქრისტიანი იყო და მასთან გაერთიანებას იმედოვნებდნენ ისლამის წინააღმდეგ.

1256 წლის გაზაფხულზე ჰულაგუ ყაენი მისწვდა ნიზარიტთა ტერიტორიას, კერძოდ ქუჰისტანს. მის წინააღმდეგ გაგზავნეს ასასინები, მაგრამ ვერ შეაჩერეს ჰულაგუს წინსვლა. მონღოლებმა აიღეს გირდ ქუჰის ციხესიმაგრე, სექტემბრისთვის კი უკვე მიუახლოვდნენ მეიმუნ დიზის ციხეს, სადაც ისმაილიტთა უკანასკნელი იმამი რუქნ ად-დინ იბნ მუჰამმად ხურშაჰი იყო გამაგრებული. ჰულაგუმ მის დანებებას ითხოვდა, ხურშაჰი კი ცდილობდა დროის მოგებას.

ხურშაჰმა მასთან საკუთარი ძმა შაჰანშაჰი გაგზავნა, რათა თავისი წინადადება წარედგინა მისთვის. ჰულაგუმ მოითხოვა, რომ რუქნ ად-დინ ხურშაჰი პირადად წარსდგომოდა და ყველა ისმაილიტთა ციხესიმაგრე დაენგრია. ხურ შაჰმა პირობა დადო, რომ ერთ წელიწადში მივიდოდა მასთან, და ჰულაგუს სთხოვა, რომ ალამუთისა და ლამასარის ციხეები გაეთავისუფლებინა განადგურების ბრძანებიდან. ჰულაგუმ მას 5 დღის ვადა მისცა. ან ის პირადად უნდა მისულიყო, ან გაეგზავნა თავისი ვაჟი.

ხურ შაჰმა ჰულაგუს მცირეწლოვანი ვაჟი გაუგზავნა, ჰულაგუმ იეჭვა, რომ ბიჭი არ იყო ხურ შაჰის ვაჟი, უკან გაგზავნა და სხვა ვაჟის გადაცემა მოსთხოვა. ხურ შაჰმა მას

კიდევ ერთი ძმა შირანშაჰი და ისმაილიტი დიდებულები გაუგზავნა. ჰულაგუ აგრძელებდა წინსვლას, სამი დღის მგზავრობის შემდეგ, მან შირანშაჰი თავის ძმასთან ულტიმატუმით გაგზავნა: ხურ შაჰს უნდა დაენგრია მეიმუნ დიზი და ჰულაგუს წარსდგომოდა, ან შედეგებისთვის თვალი გაესწორებინა. ამასობაში ჰულაგუმ გასაიდუმლოებულად მოკლა ნიზარიტი ტყვეები და რამდენიმე დღეში მეიმუნ დიზის ციხეს ალყა შემოარტყა, ხურ შაჰი კი ძლივს გადაურჩა შეპყრობას ციხის მისადგომებთან.

ციხესიმაგრე ძლიერი იყო და შეეძლო უსასრულოდ გაეძლო მონღოლთა ალყისთვის, მაგრამ ხურ შაჰი თავისი არა ისმაილიტი სწავლულებისგან ზეწოლას განიცდიდა, ისინი ურჩევდნენ, რომ დანებებოდა ჰულაგუს. მონღოლებმა ისმაილიტების მიერ ციხესთან დარგული ხეებისგან ლოდსატყორცნები დაამზადეს და ციხესიმაგრეს ცეცხლი გაუხსნეს. ხურ შაჰი ორი კვირის განმავლობაში უიმედოდ უწევდა წინააღმდეგობას მონღოლებს, ბოლოს მოლაპარაკებისთვის მრჩევლები გაგზავნა, რომელთა შორისაც იყო ნასირ ად-დინ ტუსი, სპარსი მეცნიერ-ენციკლოპედისტი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი და სახელმწიფო მოღვაწე, შემდეგში ჰულაგუს პირადი მრჩეველი და მდივანი, შემდეგ დღეს რუქნ ად-დინ ხურშაჰი თავად ეახლა ჰულაგუს.

მონღოლები ოთხი დღის განმავლობაში ცდილობდნენ იმ ისმაილიტების დამორჩილებას, რომელთაც უარი თქვეს დანებებაზე, შემდეგ დაანგრიეს მეიმუნ დიზის ციხე. ხურ შაჰს კარგად ეპყრობოდნენ, რადგან მისი წყალობით შესაძლებელი იყო სხვა ციხისთავების დარწმუნება დანებებაზე. ხურ შაჰმა მოუწოდა ყველა ციხეს ალამუთის ციხესიმაგრეთა ქსელში, რომ დანებებულიყვნენ. გირდ ქუჰის, ალამუთისა და ლამასარის ციხეები არ დაემორჩილნენ ხურ შაჰის ბრძანებას, რადგან მიიჩნევდნენ, რომ მისი ბრძანებები იყო ხრიკი და არ იმსახურებდა პატივისცემას. რამდენიმე დღის შემდეგ ალამუთის გარნიზონმა გადაწყვეტილება შეცვალა, მონღოლებმა მათ სამი დღე მისცეს, რომ დაეცალათ ციხე. შემდეგ მონღოლები შევიდნენ ალამუთში და დაანგრიეს შენობები. ჰულაგუ კლდეზე აძვრა, რომ დაეთვალიერებინა შემოგარენი. ციხესიმაგრე იმდენად ძლიერი იყო, რომ მონღოლებმა ვერ შეძლეს მისი განადგურება და ხანძარს მისცეს.

ჯუვეინი ახლდა ჰულაგუს ალამუთის ციხის ალყის დროს, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ იმ მცირედს, რაც ვიცით ალამუთის ციხის აგებულების შესახებ. ის აღგვიწერს თუ როგორ იყო კლდეში გამოკვეთილი საცავები საკვებისა თუ სასმლის მარაგებისთვის. ჯუვეინი აღწერს, როგორ ჩავიდა მონღოლი ჯარისკაცი თაფლის საცავში მისი სიღრმის გაუანალიზებლად და დაიხრჩო. ჯუვეინის ნება დართეს, რომ შეესწავლა ბიბლიოთეკა, მან აიღო ყურანები და სხვა წიგნები, რომლებიც არ მიიჩნია ერეტიკულად, ასევე ასტრონომიული მოწყობილობები, მაგრამ დაწვა ასობით წიგნი ისმაილიტთა ფილოსოფიის შესახებ.

შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, მონღოლებმა აიღეს ლამასარისა და გირდ ქუჰის ციხესიმაგრეები. ხურ შაჰი უკვე გამოუსადეგარი იყო მათთვის, მაგრამ მაინც ეპყრობოდნენ, როგორც ღირსეულ სტუმარს, მას შეუყვარდა მონღოლი ქალი და ნება დართეს, რომ ექორწინა მასზე. ჯუვეინის მიხედვით, მან მოითხოვა მონღოლთა სასამართლოს წინაშე წარსდგომა, სადაც მუნქე ყაენმა დაადანაშაულა ლამასარისა და გირდ ქუჰის ციხეების დანებების არ უზრუნველყოფაში. ხურ შაჰი მოკლეს უკან ირანისკენ მიმავალ გზაზე საკუთარი ესკორტის წევრებმა. სხვა წყაროს მიხედვით, ის არასდროს ყოფილა ყაენის კარზე, მაგრამ მოკლეს ყაენის ბრძანებით.

მას შემდეგ, რაც ხურ შაჰი მოკლეს, მონღოლებმა ყველა ნიზარიტი დახოცეს, რომლებზეც ხელი მიუწვდებოდათ, იმამის ოჯახის ჩათვლით, არ დაინდეს ბავშვებიც. ისმაილიტთა შემდეგი თაობები ირწმუნებოდნენ, რომ ხურ შაჰის ვაჟი, შემდეგი იმამი, მოარიდეს მონღოლებს და დაცულ ადგილას გადაიყვანეს.

სოფიკო მოლაშხია. არჩილ ცარახბაია

საქართველო-თურქეთის ურთიერთობები XI-XVI საუკუნეებში (ისტორიული ქრონოლოგიის ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს ურთიერთობა თურქულენოვან მომთაბარე ტომებთან, ყველაზე ფართოდ თურქ-სელჩუკებთან, მათი ახლო აღმოსავლეთის (XI ს-ის შუა ხანებში.) ქვეყნებში შეჭრით იწყება. ეს ურთიერთობები თანდათანობით განვითარდა სხვადასხვა ინტენსივობით, დროსა და კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე დაყრდნობით/დამოკიდებულებით. მოკლე დროში, თურქ-სელჩუკებმა, სულთან ალფ-არსლანის (1063-1072წ.წ.) მეთაურობით, შუა აზიიდან ირანამდე საკმაოდ დიდი ტერიტორიები დაიკავეს. 1064 და 1068 წლებში შეიჭრნენ საქართველოში და იქიდან გაილაშქრეს სომხეთში. 1071 წელს, მანასკერტის (სასომხეთში) ბრძოლაში, იმპერატორ რომანოს IV დიოგენეს (1067-1071) დამარცხების შემდეგ, სომხები და ქართველები პირისპირ აღმოჩნდნენ სელჩუკთა


ბიზანტიის იმპერია
ბიზანტიის სასულთნო
ეროვნული ალიანსი
ეროვნული ალიანსი
ეროვნული ალიანსი

განიცდიდა. საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში, თურქ-სელჩუკთა და ქართველთა ურთიერთობა საკმაოდ მწვავე პერიოდს მოიცავდა.

XI საუკუნის მიწურულს, ჯვაროსნული ლაშქრობების (1096-1291 წწ.) დაწყებამ და სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტებამ მთელი რიგი დამოუკიდებელი სახანოების (საამიროების) წარმოქმნას შეუწყო ხელი, რომლებმაც ხშირი ინტერკულტურული ომები წამოიწყეს, რამაც საქართველოს მკაცრი და აქტიური პოლიტიკის გატარება აიძულა. 1099 წლიდან საქართველომ თურქებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. სომხებთან კავშირის გაფორმების წყალობით დამპყრობელ-სელჩუკებთან ბრძოლებს აწარმოებდა დავით IV აღმაშენებელი (1089-1125 წ.წ.). დავითის მეფობაში განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ 1104 წლის ერწუხის ბრძოლა, სადაც ქართველებმა განძის ათაბაგი დაამარცხეს, და 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა, სადაც ნაჯმ-ად-დინ ილღაზის მეთაურობით



საქართველო XI საუკუნეში. „დიდი თურქობა“

შემოჭრილი სელჩუკთა მხედრობა გაანადგურეს. ასევე ხშირი, ქართველთათვის წარმატებული ომები მიმდინარეობდა მე -XII ს-ის ბოლოსა და XIII-ს-ის დასაწყისი, ქვეყანა განსაკუთრებით მოძლიერდა თამარ მეფის (1178 წელს მამამისის გიორგი III-ის ((1156-1184) თანამოსაყდრე და საქართველოს მეფე 1184-1210 წლებში)) მმართველობის პერიოდში. სახელმწიფოს გაძლიერებაში მეფე თამარს ეხმარებოდნენ – ამირსპასალარი და ათაბეგი, ძმები, ზაქარია (?-1212 წ.წ. ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და ივანე (?-1227 წ.წ. მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი) მხარგრძელები, რომლებიც წარმოშობით სამხეთიდან, კერძოდ – ზაქარიანის გვარიდან იყვნენ და რომლებმაც არაერთი მძიმე

დამარცხება აგემეს თურქ-სელჩუკებს. გამოვყოფთ ორ დიდ შეტაკებას 1195 წლის შამქორის ბრძოლას და 1202 წლის ბასიანის ბრძოლას. მათ მიერ წარმოებულმა წარმატებულმა სამხედრო მოქმედებებმა გაანთავისუფლეს და დამოუკიდებლობა მოუპოვეს ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთს, ამ უკანასკნელმა თათარ-მონღოლთა შემოსევებამდე (1220-1297) იარსება.

XIII საუკუნის დასაწყისში, 1220-1221 წლიდან, საქართველოსაც შემოუტიეს მონღოლებმა, ამიერკავკასია შემდეგ ოქროს ურდოს შეუერთეს, ხოლო შემდეგ ილხანთა საყაენოს შემადგენლობაში შევიდა. საქართველოზე მონღოლების გავლენა XIV საუკუნის 30-40-იან წლებში შემცირდა, რაც გიორგი V „ბრწყინვალის" (მეფე – 1299-1302 და 1318-1346 წლებში) მიერ გატარებულმა აქტიურმა საშინაო და საგარეო რეფორმებმა გამოიწვია.

XIV-XV საუკუნეებში საქართველოს სამხრეთ საზღვართან ახალი თურქულენოვანი მუსლიმი დამპყრობლები გამოჩნდნენ თეთრბატკნიანი (აყ-ყოიუნლუ) და შავბატკნიანი (ყარა-ყოიუნლუ) სახელმწიფოების სახით. საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ თემურ-ლენგის რვა დამარბეველი ლაშქრობის მიერ მოყენებულ მძიმე ჭრილობებს იშუშებდა და ფაქტობრივად ახალი დაპირისპირებების არც ძალა და არც რაიმე სხვა ხერხი არ იყო. 1440 წელს შავბატკნიანი გამგებელი ჯაჰან-შაჰი პირველად შემოდის საქართველოში, ხოლო 1444 წელს იგი ხელმეორედ იჭრება სამცხეში, მაგრამ ახალციხესთან მძიმე მარცხის შემდეგ ბრუნდება საკუთარ სახელმწიფოში.

ოსმალეთის იმპერია 1481 წლისთვის

XV ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში, ახლო აღმოსავლეთში, გეოგრაფიული, პოლიტიკური და საერთაშორისო თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი ძვრები განხორციელდა, როდესაც 1453 წლის 29 მაისს ოსმალეთის სულთანმა

მეჰმედ II „ფათიჰმა“ (1444-1446/1451-1481) დაიპყრო კონსტანტინოპოლი და ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამეფომ დაკარგა უკანასკნელი ერთმორწმუნე მოკავშირე და რაც ყველაზე შემაშფოთებელი იყო, ისლამური ქვეყნების რკალში მოექცა. თავდაპირველად ოსმალები 1454 წელს გამოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ეს არ ყოფილა კონკრეტულად საქართველო-ოსმალეთის ომის სახელით განხორციელებული შეტევა, რადგანაც ოსმალთა საზღვაო ფლოტი იმ დროს შავიზღვისპირეთში არსებულ გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებს დაერია და ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია იყო ცხუმშიც (სებასტოპოლი / სოხუმი). ქართლის ცხოვრებაში კარგად არის გადმოცემული თუ რა მოიმოქმედა ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ - გიორგი VIII-მ ამ შემოტევასთან დაკავშირებით. ქვეყანაში ისედაც შიდა არეულობები მიმდინარებოდა, მაგრამ მეფეს მაინც მოუხერხების ჯარის შეკრება და ცხუმისკენ წასულა, მაგრამ იქ მისულს იქაურობა მორბეული დახვედრია. ამ დროს ოსმალეთის ფლოტი უკვე ყირიმში, კაფასთან უშვებდა ღუზას. საქართველოსთან პირველი ოფიციალური გამეზობლება ოსმალეთმა 1461 წელს შეძლო, როდესაც დაიპყრო ტრაპიზონის საკეისრო.

შავბატკნიანების დამარცხების შემდეგ, მესოპოტამიის ტერიტორიაზე ფეხი ძლიერად მოიკიდა თეთრბატკნიანთა ირანმა, რომელიც კიდევ უფრო მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდა, ვიდრე მისი წინამორბედი. განსაკუთრებით გამოსარჩევია უზუნ-ჰასანის სულ მცირე ხუთი ლაშქრობა საქართველოში - 1458, 1462-1463, 1466-1467, 1472 და 1477 წლებში. XIV საუკუნის ბოლო პერიოდიდან დაწყებული XV საუკუნის შუა პერიოდამდე საქართველოს ფაქტობრივად არ ჰქონია ამოსუნთქვის საშუალება. XVI საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებმა კიდევ უფრო მძიმე პერიოდში გადააბიჯა, როდესაც ოსმალეთში ოქროს ხანა დაიწყო და ახლო აღმოსავლეთში კდიევ ერთი საშიში ძალა, შიიტური სეფიანთა ირანი წარმოიქმნა.

XVI-XVII საუკუნეები

XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალეთ-საქართველოს ღია კონფრონტაცია ყველაზე თვალშისაცემად გვხვდება 1509/1510 წლის ოსმალების სამცხეში და იმერეთში ლაშქრობით,

ამ უკანასკნელის დედაქალაქ ქუთაისის და გელათის დარბევით. დაყოფილი სამეფოები (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და საათაბაგო (სამცხე) ოსმალეთთან ფაქტობრივად დამარცხდნენ, ხოლო დასავლეთის სამფლობელოებმა მოგვიანებით ახალ დამპყრობელ ძალასთან ვასალური კავშირი დაამყარეს. XVI-XVII საუკუნეებში ამიერკავკასიის ისტორია უშუალოდ ეხება სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირებებს. შაჰ-ისმილმა (1501-1524) 1500 წლის 18 მარტს, ქართველების დახმარებით, შარურის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თეთრბატკნიანი თურქმანები (აყ-ყოიუნლუ) და შედეგად მთელი აზერბაიჯანი დამორჩილა. მან დიპლომატიური კავშირები დაამყარა კახეთის მეფე - ალექსანდრე I-თან (1476-1511), ქართლის მეფე – კონსტანტინე II-თან (1478/79-1505) და სამცხის ათაბაგ – ქაიხოსრო I-თან (1498-1500). 1501 წელს, 14 წლის შაჰ-ისმაილმა დაიწყო სეფიანთა სახელმწიფოს შექმნა, ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა 9000 ქართველი მეომარიც (ჩემი ვარაუდით : 4000-კახეთიდან, 2000-იმერეთიდან, 2000-სამცხედან და 1000-ქართლიდან), რომელთა დახმარებითაც ის ქ. თავრიზში შევიდა. 1503-1510 წლებში შაჰ-ისმაილმა აწარმოა მრავალი ლაშქრობა, რომელთა შედეგადაც მისი ყიზილბაშური იმპერიის ნაწილად აქცია ირანის ყველა პროვინცია: ხუზისტანი, ქურთისტანი, მაზანდარანი, ყუმი, ჰამადანი, ყაზვინი, მარყაზი, ლურისტანი, ფარსი, იაზდი, ასევე დაიპყრო არაბული ერაყი, ანატოლიის აღმოსავლეთ საბეგლარბეგოების ნაწილი, თურქმანთა მიწები, უზბეკეთის სამხრეთ ნაწილი, ბალხისა და ნიშაბურის სახანოები, ავღანეთის ჰერათის პროვინცია და ქ. ყანდაჰარი. 1516 წელს სამცხის მთავარს ყვარყვარე III ჯაყელს (1518-1535) აუჯანყდა ბიძა მანუჩარ I (1516-1518) და ძმისწულს ტახტი წაართვა. ყვარყვარემ დახმარებისათვის ისმაილ I-ს მიმართა. ყიზილბაშები დივ-სულთნის (მხედრობის მეთაური) წინამძღოლობით სამცხეს შეესივნენ და მანუჩარი იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო. დივ-სულთანმა თმოგვის ციხე აიღო და ყვარყვარე III-ს თავისი უფლებები აღუდგინა სამცხეში. 1518 წელს

იმერეთის მეფე ბაგრატ III

მანუჩარი ოსმალთა ჯარით სამცხეს შეესია, მაგრამ დამარცხდა. დივ-სულთანი ისევ შეიჭრა საქართველოში, ოდიში დაარბია და უკან გაბრუნდა. რადგან მანუჩარი ბრძოლას განაგრძობდა, ყვარყვარე III-მ კვლავ ისმაილ I-ს სთხოვა დახმარება და დივ-სულთნის სარდლობით გამოგზავნილ ლაშქარს წამოუძღვა სამცხისკენ. ყიზილბაშებმა გორი და სურამი აიღეს. 1521 წელს კახეთის მეფე ლევანმა შაქი დაარბია. ამის საპასუხოდ ისმაილ I-მა საქართველოში კვლავ დივ-სულთანი გაგზავნა, რომელმაც გრემი და ზაგემი დაარბია. ლევანი ყიზილბაშებს დამორჩილდა და ვასალობა აღიარა. ამ ლაშქრობათა მიუხედავად ისმაილ I-მა ვერ შეძლო სამცხეში, ქართლში და კახეთში ტერიტორიების დაკავება.

ოსმალეთი ვერ ეგუებოდა ახალი და ძლიერი შიიტური ისლამური სახელმწიფოს წარმოშობას. 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლაში ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა სეფიანთა ირანის შაჰს, ისმაილ I-ს, მძიმე მარცხი აგემა. სწორედ ეს პერიოდი შეიძლება ჩავთვალოთ ოსმალეთ-ირანის ომების (1514, 1532-1555, 1578-1590, 1603-1618, 1623-1639, 1730-1736, 1743-1746, 1775-1776, 1821-1823, 1828-1829, 1876-1878...) საწყის ეტაპად. საქართველო-თურქეთის ურთიერთობები ძირითადად აისახებოდა ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებებში.

სულტან სელიმ I

სელიმის საქართველოში ლაშქრობაზე კოჯა-ჰუსეინის გადმოცემა

1510 წ. უფლისწულმა სელიმმა, რომელიც ტრაპიზონის ვალი იყო, ერზინჯანი და ბაიბურდი გამოსტაცა ხელიდან ყიზილბაშებს, შემდეგ კი ტრაპიზონიდან დასძრა ლაშქარი და "სამართლიანი საღვთო ომის" დროშით დასავლეთ საქართველოს შეესია. "ეს თვალწარმტაცი ქვეყანა მთლიანად ააოხრეს და სიგრძე–სიგანით გაავერანეს; ცხენის ფლოქვებით გათელეს, ტყვედ წამოიყვანეს უამრავი ძე და ასული. ქონების მოხვეჭითა და მიტაცებით საღვთო ომი ალაფის მოპოვებისა და გამდიდრების წყაროდ გადააქციეს. ძველი ოსმალური წესების თანახმად ნადავლის მეხუთედი ღაზიებს გაუნაწილეს".

XVI საუკუნეში საქართველოში კიდევ ერთი სახიფათო დამპყრობლის, შაჰ თამაზ I-ის (1524-1576) ლაშქრობები (1541, 1544, 1547, 1554 წ.წ.) განხორციელდა. 1540 წელს შაჰი

დიდი ჯარით ყარაბღში შევიდა, მას აზერბაიჯანის ტერიტორიის დაპყრობა ერთმორწმუნეობის გამო არ გასჭირვებია, ხოლო ქართლში მას ქრისტიანობა ეღობებოდა წინ. ყარაბაღში შაჰთან შესახვედრად საჩუქრებით ჩავიდნენ კახეთის მეფე ლევანი (1518-1574) და ქაიხოსრო (სამცხის ათაბაგი : 1545-1573 წლებში) ჯაყელი. ამ შეხვედრაზე ქართლის მეფე ლუარსაბი (1527-1556) არ გამოცხადდა და თამაზმა საუკეთესოდ შეიარაღებული 12 000 მეომარი თბილისს შეუსია. ყიზილბაშები ქალაქს ღამე მიადგნენ, ქართველებმა აბჯრის გადაცმა ძლივს მოასწრეს ისე აღმოჩნდნენ შუა ბრძოლაში. თბილისის ციხის გამგებელს შაჰმა წერილი გაუგზავნა და უთხრა : ციხის დათმობისთვის ლუარსაბი ისედაც დაგსჯის და თუ ქალაქს დამითმობ მე უხვ წყალობას არ მოგაკლებო. შეშინებულმა ციხის დამცველებმა ციხე ყიზილბაშებს ჩააბარეს. შაჰის დედაქალაქზე თავდასხმის დროს მეფე ლუარსაბი მცხეთაში თავისი შვილის დაკრძალვაზე იყო წასული. შაჰ-თამაზმა თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი შეიყვანა, ხოლო ნაწილი მცხეთისკენ, ლუარსაბ მეფის შესაპრობად გააგზავნა. ყიზილბაშთა არმია ორად გაიყო, ერთი ნაწილი ქალაქ გორს შეესია, ხოლო მეორე კი ქვემო ქართლს. თავადების ღალატის შედეგად დაეცა ბირთვისის მიუდგომელი ციხეც. მეფე ლუარსაბი არ დანებებულა და ყიზილბაშებთან პარტიზანული ომების წარმოება დაიწყო.

ქართლის მდგომარეობა შაჰ-თამაზის პირველი ლაშქრობის შემდეგ საკმაოდ მძიმე იყო, ამ ყველაფერს ისიც ართულებდა, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან მის საზღვრებს ოსმალები მოადგნენ. მართალია, ოსმალთა აგრესიის საგანი ამჯერად სამცხე იყო, მაგრამ სამცხის დაკავების შემდეგ ისინი საქართველოს სხვა ნაწილებსაც შეუტევდნენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს აგრესია იმერეთს ემუქრებოდა. ბაგრატ იმერთა მეფე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა ოსმალები სამცხეში არ შემოეშვა. მან სამცხის დროებით დაკავება შეძლო და 10 წლის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლით მის შენარჩუნებას ცდილობდა. ამ ბრძოლებში ბაგრატს ზურგს უმაგრებდა ლუარსაბ I, რომელსაც იმერეთის მეფემ სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი – ჯავახეთი დაუთმო. თანაც მათ ალიანსს პოლიტიკური ქორწინებაც ამყარებდა, ლუარსაბი ბაგრატის სიძე გახლდათ. სამცხის ათაბაგობის პრეტენდენტი ქაიხოსრო II (1545-1573) მთელი ძალებით ეწინააღმდეგებოდა სამცხეში იმერეთის მეფის ძალაუფლების გავრცელებას და ამისთვის მზად იყო მტერთან - ოსმალეთთან დაეჭირა

კავშირი. ჩავიდა სტამბოლში სულეიმან I-ის კარზე და ამ უკანასკნელს ჯარი მოსთხივა სამცხეში კანონიერი მემკვიდრეობის დასამტკიცებლად. ისტორიულ ფონს რომ გადავხედოთ, სულაიმან I-ის გეგმებში საქართველოს მოწინავე ადგილი არ ეკავა, იმ დროს უფრო ევროპასთან მიმდინარეობდა გაცხარებული დაპირისპირება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს დასამორჩილებლად არა 22-23 ათასი, არამედ გაცილებით მეტი რაოდენობის მხედრობა გამოილაშქრებდა. 1543 წელს ქ. არზრუმიდან მუსა ფაშას მეთაურობით 22-23 ათასიანი მხედრობა დაიძრა სამცხისკენ და ოლთისის ციხეს შემოარტყა ალყა. ბაგრატის მოხერხებული ტაქტიკით, რომელიც ვითომ დათმობაზე მიდიოდა, ოსმალებმა ალყა მოხსნეს ოლთისს და არზრუმისკენ გაბრუნდნენ. ბაგრატი წამოეწია მათ, ჯერ მათი არტილერია ჩაიგდო ხელში და სოფელ ქარაღაქთან მთლიანად მხედრობა გაანადგურა.



ქაიხოსრო ჯაყელი და მისი აღმზრდელი ოთარ შალიკაშვილი სტამბოლში გაიქცნენ, ხოლო მუსა ფაშა ბრძოლის ველზე დაიღუპა. ჯაყელთა ტახტის მემკვიდრე არ აპირებდა სამცხეზე იმერეთის ძალაუფლების აღიარებას, ამიტომ კვლავ აქტიურად ითხოვდა ახალ ჯარებს იქ გასალაშქრად. მალე ახალი და უფრო ძლიერი ჯარით ოსმალები კვლავ გამოჩნდნენ სამცხეში.

1545 წელს სოხოისტასთან ბრძოლაში ლუარსაბ მეფემ თავისი ჯარით ბაგრატ მეფის მხარდამხარ იბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში ქართველები საბედისწეროდ დამარცხდნენ. ამ შერკინებაზე შეიძლება ითქვას, რომ მტრის წინაში ქართველთა ასეთი მხარდამხარ ბრძოლა დიდი ხანია ისტორიას მივიწყებული ჰქონდა. ამის შემდეგ, სმცხის ციხეების დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს და ათაბაგად ქაიხოსრო II გამოაცხადეს (1545-1573 წწ.), მაგრამ სამცხეს ფაქტობრივად ოსმალები დაეუფლნენ და ქვეყნის საბოლოო

დაპყრობის ღონისძიებების გატარებას შეუდგნენ. ქაიხოსრომ, რომელსაც ოსმალთა მანდატი ყელში ამოუვიდა, ირანის შაჰს ოსმალთა ძალმომრეობისაგან დაცვა და ლუარსაბის ხელთ შერჩენილი ჯავახეთის მისთვის დაბრუნება სთხოვა. შაჰ-თამაზისათვის ეს თხოვნა მეტად სასურველი იყო. მას არც ოსმალთა მიერ სამცხეში ფეხის მოკიდება აძლევდა ხელს და არც ურჩი ლუარსაბის გაძლიერება. ამიტომ ათაბაგის თხოვნას დაუყოვნებლივ დადებითად გამოეხმაურა.

1546 წლის ბოლოს შაჰ–თამაზი შარვანში იმყოფებოდა. აქედან თავისი ჯარით მესხეთისაკენ გაეშურა, გაიარა ანისი, შორაგელი და ახალქალაქს მიადგა. 1547 წლის იანვარი იდგა და ისეთი სიცივე იყო, რომ მდინარე მტკვარი სრულიად გაყინულიყო. ჯავახეთში შაჰ–თამაზმა ლუარსაბის მომხრე თავადების – დიასამიძეების მამულები მოარბია და აქედან ქვემო ქართლში გადავიდა. ეს კუთხეც საშინლად ააოხრა და დიდი ტყვე–ალაფით განჯაში დაბრუნდა. ლუარსაბი, მართალია, მტრის უზარმაზარ ჯარს პირისპირ ვერ შეება, მაგრამ გამუდმებული პარტიზანული თავდასხმებით დიდ ზიანს აყენებდა მათ. ამრიგად, შაჰ–თამაზმა ვერც ამჯერად შეძლო ლუარსაბის დატყვევება ხოლო ქართველებმა სხვადასხვა შეტაკებებში მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტეს. შაჰმა მრავალი ტყვითა და ნაძარცვით ბარდასაკენ გადაინაცვლა. უკან მიმავალ შაჰს იმერეთის მეფე ბაგრატი და კახეთის მეფე ლევანი ეახლნენ. ქართლის დაუმორჩილებლობით გაწბილებული ირანის მბრძანებელი იძულებული იყო ისინი მდიდარი საჩუქრებით დაეჯილდოვებინა და მათ სიტყვიერ ერთგულებას დასჯერებოდა.

ქაიხოსრო ათაბაგის ირანის ყმობაში გადასვლას თურქ–ოსმალთა მხრივ აგრესიის გაძლიერება მოჰყვა და მალე მათ სამცხე–საათაბაგოს დიდ ნაწილში დამატებითი რაზმები შემოიყვანეს. ზოგიერთი სამცხელი თავადი ლუარსაბ I-ის მხარეს დადგა და ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა, თავისი ჯარით სამცხეში შევიდა და მისი აღმოსავლეთი ნაწილი კვლავ დაიკავა. ქაიხოსრო ათაბაგმა მეფის წინააღმდეგ საგარეო ძალას მიმართა, მან თავისი ერთგული აზნაურები აფრინა შაჰ–თამაზის კარზე და ლუარსაბის წინააღმდეგ დახმარებას შეევედრა. შაჰ–თამაზი შაქში ლაშქრობდა და აქედან იგი დაუყოვნებლივ წამოვიდა ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად. ყიზილბაშები აღმოსავლეთ

სამცხეში შემოიჭრნენ და დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო ჟლეტა. აი როგორ აღწერს ამ ამბებს სპარსელი ისტორიკოსი:

„ყიზილბაშები „მთასა და ველს მოედვნენ და ყოველი მთა და ფერდობი, სადაც ხალხის თავშესაფარი იყო, მიწასთან გაასწორეს და ვერც ერთმა ურჯულომ (ე. ი. ქრისტიანმა ქართველებმა) ცოცხალმა ვერ გააღწია ბრძოლის ველიდან. მოკლულთა ცოლ–შვილი, მოწყობილობა და ქონება გადაეცა მკვლელებს, როგორც კანონიერ მემკვიდრეთ, ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს.“

ამ შემოსევის შედეგად განადგურდა ქართული ხუროთმოძღრების შესანიშნავი ძეგლი, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ქალაქი ვარძია, სადაც მესხი თავადების ნაწილი ცოლ–შვილით იყო შეფარებული. ყიზილბაშებმა გააფთრებული იერიშით და დიდი მსხვერპლის ფასად ამ ციხესიმაგრედ ქცეულ ქვაბთა ქალაქში შეჭრა მაინც ვერ შეძლეს. ბრძოლის დასასრულს ვარძიის სანახავად თვით შაჰ–თამაზი მისულა. მისი ბრძანებით ტყვედ ჩაგდებული ბერები უმოწყალოდ ამოხოცეს. ყიზილბაშებმა მონასტრიდან დიდძალი სიმდიდრე და წიგნები წაიღეს. აოხრებული სამცხე, ლორე, ბამბაკი და აღჯაყალა შაჰმა ქაიხოსროს გადასა. ამით ქართლში შემოსასვლელი უმნიშვნელოვანესი გზები თავის კონტროლს დაუქვემდებარა.

სამცხიდან ირანის შაჰი ქართლში გადავიდა და ქვეყნის მოოხრებას შეუდგა, მაგრამ მოსახლეობის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. არაერთი მისი მოთარეშე რაზმი ქართველებმა სასტიკად დააზარალეს და უკუაქციეს. ქართლში საბოლოო წარმატებას შაჰ–თამაზმა ვერც ამჯერად მიაღწია.

შაჰ–თამაზის ძირითადი ძალების გასვლისთანავე ლუარსაბ მეფემ ქართლში ჩაყენებული ყიზილბაშები გაწყვიტა და თბილისიც გაათავისუფლა. 1552 წელს თბილისის სიონისთვის ბოძებულ სიგელში ლუარსაბ მეფე აღნიშნავს, რომ :

„ჟამთა ვითარებისაგან უღმრთოთა აგარიანთა მიერ წარმახულსა ტახტსა ჩუენსა ტფილისს სახდომად თქუენი ძალით კულავ ვეგენით“. ჩვენ შევედით საქართველოს დედაქალაქში და „განვწმინდეთ წმინდითა აიაზმითა პირველად დიდებული და პატიოსანი ტაძარი თქუენი და კუალად ყოველნი ეკლესიანი ტფილისისანი“.

ლუარსაბის ასეთი წარმატებით შეშფოთებული შაჰ–თამაზი 1554 წელს ქვემო ქართლში, საბარათიანოში შემოიჭრა. ლუარსაბ მეფემ სათანადო თადარიგი დაიჭირა. მან მოსახლეობა ციხესიმაგრეებსა და მიუვალ მთებში გახიზნა, თვითონ ერთ–ერთ ციხეში გამაგრდა და იქიდან ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობდა. სახიზრებისა და ციხესიმაგრეების წინააღმდეგ მებრძოლი ყიზილბაშები დიდ ზარალს ნახულობდნენ, მაგრამ მაინც შეუპოვრად იბრძოდნენ და ლუარსაბ მეფის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. შაჰ–თამაზის ჯარებმა თანდათანობით მთელი საბარათიანო დაიკავეს, მაგრამ ლუარსაბ მეფე მაინც ხელიდან გაუსხლტდათ და მისი შეპყრობა ვერც ამჯერად შეძლეს. ლუარსაბი შიდა ქართლში გადავიდა და ქვეყნის ამ ნაწილის გამაგრებას შეუდგა. ყიზილბაშებს აქაც დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდათ. მათ ხელახლა დაიკავეს თბილისი, ააოხრეს მცხეთა და ბრძოლით გორისაკენ გაემართნენ, რადგან ლუარსაბ მეფე იქ ეგულებოდათ. მომხდურებმა შემუსრეს გორის ციხე, მაგრამ ლუარსაბი მაინც ვერ შეიპყრეს, შაჰ–თამაზმა ჯარები მახლობელ ციხეებს შეუსია. მან აიღო წედისის ციხე და მთელი ძალით ატენისაკენ დაიძრა, რადგან შეიტყო, რომ აქ თავშეფარებული იყო ლუარსაბის დედა და ბევრი თავადის ცოლ–შვილი. ამათი ხელთ გდებით იგი თვით მეფის დამორჩილებასაც ვარაუდობდა.

ატენის ციხე მიუვალ კლდეზე იყო აღმართული და მისი აღება იერიშით შეუძლებელი შეიქნა. ციხეში მყოფმა ქართველებმა მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტეს. როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს :

„ციხის აღება გაძნელდა, არც სიბა მიიტანებოდა, არც შეეთხრებოდა, არც სითმე ზარბაზანი მიუდგებოდა“

ციხე ფარული წყალსადენით წყაროს წყლით მარაგდებოდა. მაგრამ ყიზილბაშებს აქ ერთი ქართველის სულმოკლეობამ უშველა. მათ შემთხვევით დაატყვევეს ციხიდან გამოსული დედოფლის მსახური კავთისხეველი ვინმე ბეთიაშვილი, რომელმაც სიკვდილის შიშით მტერს წყაროს სათავე უჩვენა. ყიზილბაშებმა ციხეს წყლის მიწოდება შეუწყვიტეს და უწყლობით შეწუხებული მეციხოვნენი ბოლოს და ბოლოს მტერს დანებდნენ.

„ძვირფასი ტყვეების“ ხელთ გდებით გახარებული შაჰ–თამაზი აიყარა და სასწრაფოდ ირანისკენ გაეშურა. მას თან 30 000 ტყვე, მრავალი თავად–აზნაურის ოჯახობა

გარისის ბრძოლაში დაცემულ ლუარსაბ მეფეს ყიზილბაში აყენებს სასიკვდილო ჭრილობას

და მეფის მოხუცი დედა მიჰყავდა. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ ამ ტყვეებით მეფე ლუარსაბზე ზემოქმედებას მოახდენდა. აჩაბეთის ციხეში მდგომმა ლუარსაბ მეფემ, როგორც კი გაიგო დედის დატყვევების ამბავი, დაედევნა უკუქცეული მტრის ლაშქარს, რამდენიმეჯერ შეება კიდეც მის არიერგარდს, მაგრამ უშედეგოდ. ყიზილბაშებს დიდი ზიანი მიაყენა თუმცა, დედა და სხვა ტყვეები ვერ დაიხსნა. შაჰ–თამაზმა ისინი წინ გაუშვა და თვითონაც სასწრაფოდ გაეცალა ქართლს. ლუარსაბის დედამ მტერს თავი სამშობლოს წინააღმდეგ სამოქმედო იარაღად არ აქცევინა, დედოფალმა საწამლავი დალია და თავი მოიკლა. ამრიგად, შაჰ–თამაზს ლუარსაბ მეფის დამორჩილების ეს მზაკვრული ხერხიც ჩაეშალა.

1555 წელს ირანისა და ოსმალეთის ხანგრძლივი ომი „საუკუნო ზავით“ დასრულდა. ორივე დამპყრობელმა ხელშეკრულებას ხელი ქ. ამასიაში მოაწერეს და ჯერ კდიევ დაუპყრობელი ამიერკავკასია გაინაწილეს. აღნიშნულ ექსპანსიებს წინ მხოლოდ ბაგრატ III იმერთა მეფე და ქართლის მეფე ლუარსაბ I აღუდგნენ, ორივე მათგანმა ზავი უარყვეს. ამ პერიოდში კახეთი ძირითადად დიპლომატიითა და ძვირფასი საჩუქრებით იძვრენდა თავს, ფაქტობრივად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კახეთის იმ პერიოდის მეფეები მხოლოდ საკუთარი საზღვრების კეთილდღეობით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ ერთ საუკუნეში ყველაფერი შემოტრიალდა, როდესაც ირანის სამიზნედ კახეთი იქა. 1556 წელს ლუარსაბი ქართლში ყიზილბაშებით გამაგრებული ციხეების დასაბრუნებლად გამოემართა. შაჰს განჯის გამგებელი მმართველისთვის - შაჰვერდი სულთნისთვის დავალებული ჰქონდა, რომ თუ ლუარსაბი თბილისისკენ და იქ არსებული ციხეებისკენ დაიძრებოდა, აუცილებლად განჯაში თავმოყრილი მხედრობით მას წინ უნდა აღდგომოდა. ორივე მათგანის ჯარები ერთმანეთს სოფ. გარისთან შეხვდნენ. ლუარსაბი

ამჯერადაც ერიდებოდა გაშლილ ველზე ყიზიბაშებთან შეტაკებას, მაგრამ გარდაუვალი იყო. ქართველთა ლაშქარს სათავეში მოხუცი ლუარსაბის მაგივრად მისი შვილი - უფლისწული სვიმონი / სიმონი (1556-1569 / 1578-1600) ჩაუდგა. ამ უკანასკნელმა ძლიერი შეტევებით ყიზილბაშები შეავიწროვა, უკუაქცია და როდესაც ეს ყოველივე ფერდობზე შემომდგარმა ლუარსაბმა დაინახა, დაიძრა, დაედევნა გაქცეულებს და მოულოდნელად მახეში აღმოჩნდა, მის ცხენს ორმოში ჩაუვარდა ფეხი, გადმოვარდა მეფე ცხენიდან და ერთ-ერთმა სპარსელმა სასიკვდილოდ დაჭრა. მოხუცი მეფე ბრძოლის ველზე გარდაიცვალა და მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელიც სვიმოს უთხრა, საქართველოს ეხებოდა : „დაეხსენით ჩემს გლოვას და საქართველოს მიხედეთო“. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ საზეიმო ვითარება ნამდვილად არ იყო.

XVI საუკუნეში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლი, იმერეთი და ამიერკავკასიის სამხრეთ აღმოსავლეთი ტერიტორიები. ფაქტობრივად, საქართველოს სამეფო - სამთავროები ოსმალეთ-ირანის ომების ერთ-ერთ ფრონტის ხაზად გადაიქცა. ერთ-ერთი ასეთი ხანგრძლივი ომი 1578-1590 წლებში მიმდინარეობდა, როდესაც ოსმალეთის თითქმის მთელი ძალები, მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, ირანისკენ დაიძრნენ. როგორც ყოველთვის, ამიერკავკასიასაც შემოესივნენ. 1579 წელს ჩილდირის ბრძოლაში დაამარცხეს სპარსელები და იქ ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დაარსეს, საიდან იმართებოდა ამიერკავკასიის ოსმალური მანდატის ქვეშ მყოფი ტერიტორიები. 1587 წელს ირანის სათავეში მოვიდა ახალგაზრდა აბას I (1587-1629), რომელმაც სტრატეგიული დამარცხება, 1590 წელს ზავის გაფორმება, ძალების მოკრება და ოსმალეთზე რევანშის მიტანა გადაწყვიტა. აბასმა 1603 წელს ომი წამოიწყო ოსმალეთთან, რომელიც 1612 წლამდე გაგრძელდა და ამჯერად ირანმა მძიმე მარცხი აგემა ოსმალეთს.



სულეიმან I და შაჰ თამაზი. ამასიის ზავი.

ბაღდადის ალყა

ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო XII საუკუნეში, კერძოდ 1206 წლიდან, როცა იწყება მონღოლთა დაპყრობები და ეს ბევრისთვის უცხო ხალხი იპყრობს იმდროისათვის უძლიერეს და მანამდე დაუმორჩილებელ იმპერიებს. მონღოლთა დაპყრობითი ტალღა შეეხო ძალიან ბევრს, მათ შორის საქართველოსაც, და რაც მთავარია ამ ეტაპზე, დღევანდელ ჩემ სასაუბრო თემასთან დაკავშირებულს - არაბებს, არაბთა სახალიფოს. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, ისინი საერთაშორისო ასპარეზზე VII საუკუნის I ნახევარში გამოდიან და არაბთა ნახევარ-კუნძულიდან თავიანთ ძალაუფლებას ავრცელებენ, მცირე აზიის ნაწილზე, წინა და შუა აზიაზე, სამხრეთ კავკასიაზე, ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთზე. დაპყრობითი ომების დასრულების შემდეგ იქმნება მძლავრი სახალიფო, რომელსაც სათავეში ხალიფა უდგას. ჯერ იპერიას მართავდნენ მართლმორწმუნე ხალიფები (632-661 წ.წ.), შემდეგ ომაიანთა დინასტიის წარმომადგენლები (661-750 წ.წ.), ხოლო ბოლოს აბასიანები (750-1258 წ.წ.) ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა ქალაქი ბაღდადი, რომელიც აბასიანთა მმართველობისას სახალიფოს ცენტრად, მის დედაქალაქად იქცა. სხვადასხვა გარემოებამ სახალიფოს პრობლემები შეუქმნა და დაასუსტა გარკვეულ ეტაპზე, ამის თვალსაჩინო მაგალითია თურქ-სელჩუკთა გაძლიერება და თოღრულ-ბეგის მიერ ბაღდადის აღება 1055 წელს, რითაც მაქსიმალურად შეიზღუდა ხალიფას ძალაუფლება. სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი სახალიფო ისევ ძლიერდება, განსაკუთრებით ალ-მუკთაფისა (1136-1160) და ალ-ნასირის (1180-1225) დროს. აქედან გამომდინარე, სირთულეების მიუხედავად სახალიფო მაინც ინარჩუნებს გარკვეულ ძალაუფლებას რეგიონში, თუმცა მათთვის დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა მონღოლთა ლაშქრობები.

დღეს მე ვისაუბრებ მონღოლთა მიერ ქალაქ ბაღდადის აღებაზე. უშუალოდ ამ პროცესის განხილვამდე მინდა, რეგიონში არსებული სიტუაცია მოკლედ აღვწერო. ვიცით, რომ აბასიანთა სახალიფოს დასუსტება ბაღდადის დაცემამდე ჯერ კიდევ საუკუნეთა წინ დაიწყო და XII საუკუნის მეორე ნახევარში არცთუ ისე ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა, მითუმეტეს მონღოლთა ბატონობის, წარმატებებისა და ძლევამოსილების პირობებში. 1255 წლიდან დიდი ყაენის, მუნქეს, ძმა ჰულაგუ ირანის დასამორჩილებლად იბრძოდა და 1256 წელს ისმაილიტთა დამარცხებით ჯერი აბასიანებზე მიდგა. აღსანიშნავია, რომ როცა მუნქემ ბაღდადის ხალიფას ხარკი მოსთხოვა, ადრესატისგან პასუხად უარი მიიღო, რაც მონღოლებმა სახალიფოს დაპყრობის საბაბად გამოიყენეს, ეს კი მოვლენათა სრულიად ლოგიკური გაგრძელებაა მონღოლთა მხრიდან, თუმცა სრულიად გაუგებარია ხალიფას მოქმედება, უარი იმ

პირობებში, როცა ჯარიც კი არ ჰყავდა წესრიგში, რათა ისეთი დიდი და ძლიერი ძალებისთვის გაეწია წინააღმდეგობა, როგორიც მონღოლები იყვნენ. ეს ფაქტი მხოლოდ ხალიფას მედიდურობასა და მისი მხრიდან მოვლენათა არასწორ შეფასებაზე მეტყველებს. მუნქემ საკუთარ ძმას დაავალა ბაღდადის აღება. წყაროების მიხედვით მონღოლთა არმია შედგებოდა დაახლოებით 120-150 000 ჯარისკაცისაგან, რომელშიც შედიოდნენ უკვე მონღოლთა მიერ დაპყრობილი ხალხი: ქართველები დავით ულუს მეთაურობით, კილიკიის სომეხთა სამეფოსა და ანტიოქიის სამთავროს შენაერთები.

ბაღდადის ალყა

1257 წელს ბათუ ყაენმა თავისი არმიით გადალახა მდინარე ტიგროსი და უკვე 1258 წელს, 11 იანვარს, მდინარე ტიგროსთან გაიმართა ბრძოლა. არაბებს სარდალი ფათჰ ად-დინ იბნ ქერა მეთაურობდა. ალყის დაწყებამდე საჭირო იყო არაბთა არმიის დამარცხება, რათა პროცესები მონღოლთა ინტერესების მიხედვით წარმართულიყო. არაბები დამარცხდნენ და ერთადერთი გამოსავალი ახლა მათი მხრიდან ქალაქში ჩაკეტვა და იქიდან შეძლებისდაგვარად ბაღდადის დაცვა გახდა. ამის მიუხედავად, მაინც ეცადნენ ქალაქიდან ჯარის გამოყვანას, რომ საქმე ალყამდე არ მისულიყო, როგორც ჩანს, გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდა ხალიფას, თუმცა დიდი ზიანი მიაყენეს მონღოლებმა და საშუალება არ მისცეს მათ გარეთ საბრძოლო მოქმედებები თავისუფლად წამოეწყოთ.

იწყება ალყა. ამასთანავე უფრო აშკარა ხდებოდა არაბთა უძლურება კარს მომდგარი საშიშროების წინააღმდეგ, რასაც მონღოლები წარმოადგენდნენ. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ბაღდადის ხალიფა იყო აბუ აჰმად აბდულაჰ ალ-მუსთასიმ ბილაჰი. იანვრის ბოლოს (29 იანვარი) იწყება ალყა ქალაქ ბაღდადზე, რომლის აღებითაც ბოლო ეღებოდა სახალიფოს არსებობას, ხოლო საფუძველი ეყრებოდა მონღოლთა ბატონობას ამ შემთხვევაში შესაბამის რეგიონში. ბათუ ყაენის სტრატეგია გამოიხატა შემდეგნაირად: არმია გაყო სამ ნაწილად, ერთ ნაწილს მეთაურობდა ელგონ, იგივე ელკენ, ნოინი, მეორე ნაწილს - დავით ულუ, ხოლო მესამეს - თავად ბათუ ყაენი. ეს ტაქტიკა ნიშნავდა ქალაქზე სხვადასხვა მხრიდან შეტევასა და შესაბამისად, საბრძოლო არეალის გაზრდას, რაც თავად ქალაქზე უარყოფითად იმოქმედებდა, რადგან საჭირო იყო დიდი ადამიანური რესურსი სხვადასხვა მხრიდან მომდინარე ძლიერი შეტევის წარმატებით მოსაგერიებლად. ალყა გაგრძელდა 10 თებერვლამდე (დაახლოებით ორი კვირა), პროცესში თავად ხალიფამაც კი სცადა ქალაქიდან გაქცევა, მაგრამ ვერ მოახერხა. შეუპოვრად ცდილობდნენ ქართველებიც წარმატებული ყოფილიყო ლაშქრობა, ერთის მხრივ მონღოლთა მიმართ ვალდებულების გამო, ხოლო მეორე მხრივ პირადი დამოკიდებულებით არაბთა სახალიფოს მიმართ, რომელთა სარდლებმაც (აბულ კასიმი, ბუღა თურქი და სხვა) წლების განმავლობაში სისასტიკე გამოიჩინეს ქართველთა მიმართ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით სრულიად ლოგიკურია იქ მყოფ ქართველთა სურვილი ბაღდადის აღებისა და სახალიფოს არსებობის დასრულების თვალსაზრისით. საინტერესოა ისიც, რომ ალყის დროს, ჯერ კიდევ 5 თებერვალს არაბებმა ამჯერად აქეთ შესთავაზეს მოწინააღმდეგეებს ზავი, თუმცა ამჯერად მონღოლებმა თქვეს უარი, რადგან ქალაქის აღება და სახალიფოს დამორჩილება მეტად რეალური ჩანდა.



ქ.ბაღდადი

ქალაქი კარგად იყო გამაგრებული აგურით ნაშენი სიგრძით 6,5 კილომეტრის უზარმაზარი კედლით, ქონგურებით გამაგრებული, ასევე ქალაქს ჰქონდა ოთხი კარიბჭე (სირიის, ხორასნის, კუფას და ბასრას). მონღოლთა ჯარში ჩინელი ინჟინრებიც ყოფილან (გადმოცემით 1000) და მათ დაიწყეს ლოდსატყორცნებისა და შეტევითი კოშკების აგება, რათა კარგად გამაგრებული ქალაქი რაც შეიძლება სწრაფად აეღოთ. ასეთი საბრძოლო რესურსითა და ტაქტიკით შესაძლებელი გახდა ბაღდადში შეღწევა, მაინც მოალყეთა გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის ქართველებმა, მოახერხეს კედლის გადალახვა.

როცა გარკვეული შენაერთები კედლის განგრევის შემდეგ ქალაქში შევიდნენ მთავარი კარიბჭეც გააღეს და მონღოლთა ძირითად არმიას საშუალება მისცეს ქალაქში შესულიყვნენ. ეს ფაქტი აღმოჩნდა სახალიფოს დასასრულის დასაწყისი. ნიშვნელოვანია ფაქტი თუ რამდენად საინტერესო ქალაქი იყო ბაღდადი რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. პირველ რიგში, ახალს არ ვიტყვი, რომ ბაღდადი სახალიფოს ცენტრს წარმოადგენდა და მთელი იმპერიის ხარკი აქ იყრიდა თავს, ეს ნიშნავს, რომ ქალაქში ინახებოდა აურაცხელი ძვირფასეულობა, რასაც ამტკიცებს არსებული წყაროები და ცნობები, რომლებიც ბაღდადის აღებისა და გაძარცვის შესახებ მოგვითხრობენ. ქალაქის სიმდიდრის განმაპირობებელი ფაქტორი იყო მისი სავაჭრო ფუნქციაც, იგი სავსე იყო მაღაზიებით, სხვადასხვა სავაჭრო ნაგებობით, ბაზრებით. ასეთი მასშტაბის სავაჭრო-ეკონომიკური დატვირთვა ქალაქის გეოგრაფიულმა მდებარეობამაც განაპირობა, ვინაიდან ის აშენდა მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის სიახლოვეს, რაც ხელსაყრელ სავაჭრო პირობებს ქმნიდა. ამ ფაქტის დასტურია IX საუკუნეში მოღვაწე არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, იაქუბის, მოსაზრება, რომ სწორედ ქალაქის მდებარეობამ აქცია ბაღდადი ,,სამყაროს

გზაჯვარედინად''. სწორედ ასეთი მრავალფუნქციური, მნიშვნელოვანი და საინტერესო ქალაქი იდგა განადგურების პირას.

ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ბაღდადში, რასაც უამრავი მშვიდობიანი მოსახლე თუ ჯარისკაცი შეეწირა (სხვადასხვა წყაროს ცნობით, 100 000-დან 1 000 000-მდე), ცნობილია ისიც რომ ჰულაგუ ყაენის მეუღლეს თხოვნით ქალაქში შეჭრილი მონღოლები ქრისტიანებსა და ებრაელებს ხელს არ ახლებდნენ, მთელი მათი მრისხანება მუსლიმებს დაატყდათ თავს. გარდა ამისა, გაიძარცვა აქ არსებული მთელი სიმდიდრე. რაც ძალიან სამწუხაროა, ქალაქში განადგურდა და დაინგრა სარწყავი სისტემა, უამრავი შენობა, მეჩეთი და რაც უფრო მეტად სამწუხაროა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, ე.წ. ,,სიბრძნის სახლი'', არაბულად ,,ბეით ალ-ჰიმკა'' (,(بيت الحكمة რომელიც IX საუკუნის 20-იან წლებში დააარსა ხალიფა ალ-მამუნმა(786-833), ის წარმოადგენდა იმდროინდელი მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას, თავისი უმნიშვნელოვანესი ბიბლიოთეკით. გასაკვირი არაა, რომ ეს დაწესებულება გაანადგურეს და აქ არსებული წიგნები ტიგროსში გადაყარეს ხალხმა, რომელთაც წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ და ლოგიკურია, რომ ვერც კულტურისა და საგანმანათლებლო კერის მნიშვნელობის შესახებ ექნებოდათ წარმოდგენა. ასეთი საგანმანათლებლო-კულტურული კერის განადგურება სამხედრო-პოლიტიკური პროცესების შედეგად იყო არა მხოლოდ, ბაღდადის ან მკვეთრად დასუსტებული არაბთა სახალიფოს დანაკლისი, არამედ მთლიანად რეგიონისა და არაბული სამყაროსი. განადგურდა ქალაქის ცენტრში მდებარე ე.წ. ,,სამეფო უბანი'' მთლიან ქალაქთან ერთად. აქ იდგა ორი გრანდიოზული შენობა: მეჩეთი და ხალიფას ოქროს კარიბჭის სასახლე.

ქალაქის რამდენიმე დღიანი დარბევის შემდეგ, 20 თებერვალს სიკვდილით დასაჯეს ხალიფა ალ-მუსთასიმი და მისი ოჯახი. წერტილი დაესვა სახალიფოს არსებობას. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საბრძოლო მოქმედებებსა და ქალაქის რბევას შეეწირა, განადგურდა ქალაქის ღირსშესანიშნაობები. მონღოლებმა გარნიზონები ჩააყენეს ბაღდადსა და სხვა ქალაქებში. სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ასე მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი განადგურდა, მონღოლებმა მოიშორეს ბაღდადი, რომელიც მათ წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი შეიძლებოდა გამხდარიყო მომდევნო ეტაპებზე არაბთა მხრიდან. შედეგად ნაკლები პრობლემა შეიძლებოდა შექმნოდათ რეგიონში.

საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ბაღდადის მშენებლობა 762 წელს დაიწყო ხალიფა აბუ ჯაფარ ალ-მანსურის თაოსნობით და სრულყოფილი სახე 766 წელს მიიღო. ქალაქის ასე მრავალწლიანი არსებობა მრავალ სირთულესთან და კრიზისთან იყო დაკავშირებული, თუმცა განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა 1258 წელი და კარს

მომდგარი მონღოლები. მათი დაპყრობების შედეგად კი ალ-მანსურის ქალაქად წოდებულმა ბაღდადმა შეწყვიტა არსებობა, მასთან ერთად დასრულდა ერთ დროს უძლიერესი არაბთა სახალიფოს არსებობაც.

ნოდარ გათაშვილი

ლეპანტოს ბრძოლა (1571 წ.)

XI საუკუნიდან მოყოლებული საღვთო ომის სახელით ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ქრისტიანები და მუსლიმები. 1571 წლის საღვთო ლიგის კაპმპანია და ამავე წლის 7 ოქტომბერს გამართული ლეპანტოს ბრძოლა შესაძლოა ჩაითვალოს, როგორც ამ ეპოქის დასასრული, უკანასკნელი დიდი ჯვაროსნული ლაშქრობა. ამასთან, ლეპანტო ითვლება უკანასკნელ ბრძოლად, სადაც საზღვაო ხომალდებს - გალერებს წამყვანი ფუნქცია ჰქონდათ. მათ ძლევამოსილებას ხმელთა შუა ზღვაზე მალევე დაესვა წერტილი კარგად შეიარაღებული ფრიგატების გამოგონებით. ლეპანტოს ბრძოლამვე დაასრულა ოსმალთა იმპერიის დაუმარცხებლობის ილუზია და ქრისტიანების (განსაკუთრებით კათოლიკეების) პროპაგანდის და ინსპირაციის წყაროდ იქცა.



მალტასთან მარცხი (1565. წ) და სულეიმან ბრწყინვალის გარდაცვალება 1566 წელს ოსმალეთის დასუსტების დასაწყისი იყო. იმპერია ორ ფრონტზე ებრძოდა ჰაბსბურგებს - პირველი ცენტრალურ ევროპაში იმპერატორი მაქსიმილიან II-ს (1527-1576) წინააღმდეგ და მეორე ხმელთა შუა ზღვაში ფილიპე II-ს (1527-1598) წინააღმდეგ. მაქსიმილიანთან 1568 წლის ზავის შემდეგ, ოსმალები მთლიანად ესპანეთთან დაპირისპირებაზე გადაერთვნენ. ამისთვის ისინი არბევდნენ ფილიპეს სამფლობელოებს სამხრეთ იტალიაში და აქტიურად იყენებდნენ ჩრდილო აფრიკელ მეკობრეებს პირენეის ნახევარკუძნულზე თავდასხმებისთვისაც. ამავდროულად სულეიმანის მემკვიდრემ, სელიმ II-მ (1524-1574) თავის ყურადღება კვირპოსზე გადაიტანა, რომელიც ამ დროს ვენეციელების ხელში იყო. მისი დაპყრობა ოსმალეთს აღმოსავლეთ ხმელთა შუა ზღვაში უდავო დომინანტ ძალად აქცევდა. ამასთან, 1569 წელს ვენეციაში მომხდარმა ხანძარმა დააზარალა რესპუბლიკის საზღვაო შესაძლებლობები და სულთანი იმედოვნებდა, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ საკმაო წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა სელიმმა კვიპროსზე თავდასხმით (1570 წ.) აქამდე ნეიტრალურ ვენეციის რესპუბლიკას მისცა საბაბი, რომ ესპანეთთან გაერთიანებულიყო მათ წინააღმდეგ.

ვენეციის მმართველი საბჭო და დოჟი მონსენიგო (1507-1577) პრაგმატულად იყვნენ განწყობილი წარსულში პაპის მიერ საღვთო ომის წარმოების მოწოდებებზე. ამჯერად კი, როდესაც ოსმალებთან დიპლომატიამ არ გასჭრა პაპი პიუს V-ის მედიატორობით დაუკავშირდნენ ფილიპე II-ს. ესპანეთის მეფემ თავდაპირველად მხოლოდ სიცილიური ფლოტი (49 გალერა) გამოჰყო, რომელსაც მეთაურობდა ჯიოვანი ანდრეა დორია (1539-1606). ეს გამოცდილი გენუელი საზღვაო მეთაური დიდი უპირატესობა იქნებოდა ნებისმიერი ფლოტისთვის, რომ არა ვენეციელ-გენუელთა შუღლი, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა მოკავშირეთა ურთიერთ თანამშრომლობა. მიხვდა რა ესპანური სანაპიროების უსაფრთხოების მნიშვნელობას, ფილიპემ მალევე შემატა კოალიციას ნეაპოლური და ესპანური ფლოტი, თავისი ნახევარ-ძმის დონ ხუან ავსტრიელის (1547-1578) თაოსნობით, რომელიც გაერთიანებული ფლოტის მეთაურად დაინიშნა არა სამხედრო ცოდნის, არამედ დიპლომატიური ნიჭის გამო, რომლითაც უნდა შეეკრა და მოქმედებაში მოეყვანა კოალიცია.

დონ ხუან (იოჰან) ავსტრიელი

მოკავშირეთა ფლოტში შედიოდნენ სხვადასხვა იტალიური გაერთიანებების მიერ გამოგზავნილი გემები (ტოსკანას და სავოიის საჰერცოგო), მალტელი რაინდების რამდენიმე ხომალდი და რომის პაპის ფლოტი, მის სათავეში იდგა მარკ ანტონიო კოლონა (1535-1584), რომელიც დონ ხუან ავსტრიელივით გამოცდილი დიპლომატი იყო და მეთაურობასთან ერთად მედიატორის როლი ეკისრებოდა. ცვლილებები მოხდა ვენეციის ფლოტშიც, მას მეთაურობდა გამოცდილი ზღვაოსანი და ვენეციელი დიდებული სებასტიან ვენიერი (1497-1578), რომელსაც ასიტენტობას უწევდა აგოსტინ ბარბარიგო (1500-1571). ვენიერისგან განსხვავებით ბარბარიგო შედარებით მშვიდობიანი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა გენუელებთან, ამიტომ ფლოტის ერთ-ერთ მეთაურად მისი ყოლა ასევე ემსახურებოდა კოალიციის ერთიანობას.

ოსმალეთის ფლოტს უძღვებოდა მუეზენადე ალი ფაშა (1522-1571). წარმოშობით დაბალი ფენიდან ალი ფაშა თავისი ქარიზმატული და დიპლომატიური ნიჭის გამო სულთანის კარზე მალე დაწინაურდა. 1563-66 წლებში იყო ეგვიპტის მმართველი, ამასთან 60-იან წლებში მონაწილეობდა ოსმალების მიერ წარმოებულ საზღვაო კამპანიებში (ჩრდილოეთ აფრიკა, მალტა, კვიპროსი), ფიალი ფაშას გადაყენების შემდეგ (1571 წლის იანვარი) დაინიშნა ოსმალეთის ფლოტის მეთაურად. მასთან ერთად იყო ეგვიპტელი გენერალი სულიკ ფაშა (1525-1571) და გამუსლიმებული იტალიელი ულუჯ ალი ფაშა (1511-1587), რომელიც ჩრდილო აფრიკელ მეკობრეთა დანაყოფს მეთაურობდა და საკმაოდ გამოცდილი მეზღვაური იყო.

ულუჯ ალი ფაშა

მთლიანობაში, ოსმალების მიზანი, კვიპროსის აღების შემდეგ, ხმელთა შუა ზღვაში თავიანთი ძალაუფლების განმტკიცება იყო. ადრიატიკის ზღვაში კუნძულ კორფუს (კერკირა) ანექსიით, ისინი უფრო მარტივად შესძლებდნენ დაერბიათ ვენეციურ-იტალიური სანაპიროები. სწორედ ამიტომ იყო ბრძოლის წინ მათი ფლოტი განლაგებული პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, კორინთოს ყურის პორტ ლეპანტოში. მათ შემადგენლობაში შედიოდა 208 გალერა, 56 გალიოტი და 64 ფუსტა . 27 000 ჯარისკაცი, მათ შორის 10 000 იანიჩარი, ამას ემატებოდა 50 000 მეზღვაური და მენიჩბე, რომელთაგან მრავალი ქრისტიანი მონა იყო.

საღვთო ლიგას ბრძოლის წინ ჰყავდა 206 გალერა და 6 გალეასი. საშუალოდ თითო გალერაში 200 მენიჩბე იყო, მეზღვაურებთან ერთად მათი რაოდენობა მთლიან ფლოტში 40 000 კაცს აღწვდა. მათ თან ახლდათ 28 500 ჯარისკაცი აქედან - 5 000 ვენეციელი, 1 500 პაპის, 5 000 გერმანელი, 8 000 ესპანელი, 5 000 იტალიელი და 4 000 სხვადასხვა მოხალისე. მებრძოლების რაოდენობა არათანაბრად იყო გადანაწილებული თითოეულ გემზე. რადგან ვენეცილი მენიჩბეები ხშირად თავისუფალი მოქალააქეები იყვნენ, ისინი ჯარიკაცების როლსაც ასრულებდნენ, ამიტომ საშუალოდ ვენეციურ ხომალდზე მხოლოდ 80 ჯარისკაცი იყო, როცა ესპანურ ხომალდებზე საშუალოდ 145 ჯარისკაცი იმყოფებოდა. როგორც იანიჩარები ისე ესპანელი მებრძოლები იმ დროის საუკეთესო მეომრებად ითვლებოდნენ. თუმცა მუსლიმებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად მშვილდ-ისარს იყენებდნენ, საღვთო ლიგის ჯარისკაცები ექსტენსიურად იყვნენ შეიარაღებული არკებუზებით და მუშკეტებით, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქრისტიანების გამარჯვებაში.

გაერთიანებული ქრისტიანული ფლოტი სამხრეთ იტალიიდან ადრიატიკის ზღვისკენ გაემართა, სადაც მუსლიმური ფლოტის დამარცხებით ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეაჩერებდნენ სანაპიროების პერიოდულ დარბევებს. ლეპანტოდან გამოსულმა მუსლიმურმა ფლოტმა და კორინთოს ყურეში ახალ შემოსულმა საღვთო ლიგის ფლოტმა ერთმანეთი გამთენიას შეამჩნიეს, რის შემდეგაც თავიანთი განსაზღვრული საბრძოლო

პოზიციების დაკავებას შეუდგნენ. რადგან ამ პერიოდის საზღვაო ბრძოლები სახმელეთო ბრძოლის ტაქტიკას იმეორებდნენ, ორივე მხარე ერთმანეთის ალყაში მოქცევას ცდილობდა. ამისთვის მათ ფლოტი მთლიანობაში სამ ნაწილად (ფლანგად ან ფრთად) ჰქონდათ დაყოფილი. ქრისტიანების მარცხენა ფლანგს (53 გალერა, 2 გალეასი), რომელსაც აგოსტინ ბარბარიგო მეთაურობდა, თითქმის მთლიანად ვენეციური ხომალდები ქმნიდნენ. მის საპირისპიროდ, ოსმალების მარჯვენა ფლანგს (60 გალერა, 2 გალიოტი) სულიკ ფაშა მეთაურობდა, მის შემადგენლობაში სხვა გემებთან ერთად ეგვიპტური ხომალდებიც შედიოდნენ. ქრისტიანების ცენტრს (62 გალერა, 2 გალეასი) დონ ხუან ავსტრიელი, სებასტიან ვენიერი და მარკ ანტონიო კოლონა მეთაურობდნენ. მუსლიმურ ცენტრი (87 გალერა) ალი ფაშას მეთაურობთი ორ ხაზად იყო დაყოფილი. ქრისტიანების მარჯვენა ფლანგის (53 გალერა, 2 გალეასი) ძირითად ნაწილს ვენციელებისა და გენუელების ხომალდები შეადგენდნენ, მათ ანდრეა დორია მეთაურობდა. მის მოპირადპირე ოსმალების მარცხენა ფლანგს (61 გალერა, 32 გალიოტი) ულუჯ ალი უძღვებოდა. ორივე ფლოტს ჰყავდა თავის რეზერვი (არიერგარდი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა დახმარებოდა შესაბამის ფლანგს.



ბრძოლა მოწინავე ქრისტიანულ მარცხენა ფლანგსა და ოსმალების მარჯვენა ფლანგს შორის დაიწყო. ცეცხლი პირველად ორმა გალეასმა (რომლებიც ქრისტიანული ფლოტის წინ იყვნენ განთავსებული) გახსნა. რადგან გალეასები კარგად გამაგრებული ხომალდები იყვნენ მუსლიმებს მათზე დრო არ დაუკარგავთ და პირდაპირ ქრისტიანული გალერებისკენ გაემართნენ, ამ მანევრისას მათი საბრძოლო წყობა მნიშვნელოვნად აირია. სულიკ ფაშა ქრისტიანების ჩრდილოეთით განდევნას და იქ მათ ხმელეთთან მიმწყვდევას აპირებდა, თუმცა ოსმალების არეული წყობის გამო მათი დიდი ძალები ქრისტიანების მარჯვენა ფლანგის ცენტზე კონცენტრირდნენ. სწორედ ამ დროს, არეულობაში ბრძანებების კარგად გასაცემად მეთაურმა ბარბარიგომ თავის მუზარადი მოიხადა, რა დროსაც ისარი მოხვდა თვალში და სასიკვდილოდ დაჭრილი ბრძოლის დამთავრებისას მალევე გარდაიცვალა. ქრისტიანული გემის ერთ-ერთმა კაპტანმა, მარკო კურინიმი კარგად გამოიყენა მუსლიმური მხარის არეულობა და თავისი თანმხლები გემებით უკნიდან შეუტია მათ, ახლა მუსლიმები მოექცნენ ალყაში. აჯანყდნენ მენიჩბე ქრისტიანი მონებიც, რომლებმაც დრო იხელთეს და თავიანთ პატრონებს შეუტიეს. ბევრი თურქი, მათ შორის სასიკვდილოდ დაჭრილი სულიკ ფაშა, ტყვედ ჩავარდა.

სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა ცენტრალურ ფლანგზეც, სადაც ასევე გალეასების გამო ოსმალეთის ფლოტი არეულ მწყობრში ცდილობდა ქრისტიანული ფლაგმანის (სადაც დონ ხუან ავსტიელი იმყოფებოდა) აღებას. ხომალდებზე გადებული ხიდებით მეომრები ადვილად გადადიოდნენ სხვადასხვა გემებზე და დაპირისპირება უფრო მეტად სახმელეთო ბრძოლას ემსგავსებოდა. ულუჯ ალიმ ანდრეა დორიას წარუამტებელი ალყაში მოქცევის მცდელობისას, რა დროსაც გენუელმა ადმირალმა უკან დაიხია, დატოვებული სივცე გამოიყენა და ქრისტიანული ცენტრისკენ დაიძრა, თუმცა ცენტრში უკვე საღვთო ლიგის ხომალდებმა მოიპოვეს უპირატესობა, ქრისტიანი მეომრები თავიანთი ფლაგმანის დაცვის ნაცვლად ახლა უკვე შეტევაზე გადადიოდნენ და ალი ფაშას ხომალდს უტევდნენ, რომელიც თავის მხრივ ბრძოლაში იყო ჩართული, რა დროსაც დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. ულუჯ ალიმ სიტუაცია გამოუვლად შეაფასა, რამდენიმე ხომალდის ჩაძირვის შემდეგ, ბრძოლის მიტოვება გადაწყვიტა. გამარჯვება ქრისტიანებს დარჩათ.

ლეპანტოს ბრძოლის ისტორიული შეფასებისას ხშირად აღნიშნავენ, რომ ომსალეთის დამარცხება მხოლოდ მომენტალური იყო და დაკარგული ხომალდების აგება სწრაფადვე მოხერხდა, თუმცა სწრაფად ვერ აღსდგებოდა დაკარგული გამოცდილი მეომრების და მეზღვაურების რიცხვი, ამასთან ბრძოლამ შეარყია ოსმალების პრესტიჟი ევროპაში. ზარბაზნებით და არკებუზებით კარგად შეიარაღებულმა საღვთო ლიგამ დასძლია

ოსმალეთის წინააღმდეგობა და აჩვენა იმპერიის გარკვეული ტექნოლოგიური ჩამორჩენილობაც. ამას ემატებოდა სულთან სელიმის არაკომპეტენტურობა, რომელმაც თვითონ გადაიბარა იმპერიის საზღვაო ძალების მართვა და სიტუაციის მიუხედავად ფლოტის მეთაურებს ქრისტიანებთან შეტაკებისკენ მოუწოდებდა. ბრძოლისას გალეასების ეფექტურობაც ასევე დავის საგანია, თუმცა საინტერესოა მათი მორალური გავლენა ოსმალებზე, რომლებმაც შემდგომში კრეტასთან შეტაკებისას გალეასების დანახვისას უმალვე უკან დაიხიეს.

საბა ტაკიძე

კრეოლთა იდენტობის ფორმირების პრობლემა მავრიკის კუნძულზე

მავრიკის კუნძულზე კრეოლთა იდენტობის ჩამოყალიბების პრობლემა ბოლო რამდენიმე ასწლეულია დგას. ეს პრობლემა ამ ხალხის ცხოვრებაში ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ახდენს გავლენას და მე შევეცდები არამხოლოდ აღვწერო პრობლემის არსი, არამედ ვისაუბრო იმაზეც, თუ რა ნაწილებში ვხვდებით ამ გავლენას. სანამ უშუალოდ პრობლემაზე გადავალ, მანამდე უნდა შევეხო მავრიკის კუნძულის გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიულ წარსულს, რომელმაც ამ ტერიტორიაზე შექმნა სუპერ მულტიკულტურული გარემო და ტერმინებს: ,,კრეოლსა" და ,,კრეოლიზაციას" რომელთა გამოყენებაც ხშირად დამჭირდება.

მსოფლიოში, მავრიკის კუნძულის, როგორც ისტორიული წარსული, ასევე მიმდინარე მოვლენები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია კულტურის მკვლევრებისათვის, რადგან აქ შევხვდებით მულტიკულტურულ გარემოს, გლობალიზაციას ,იდენტობის პრობლემებს, სოციალურ საკითხებსა და კულტურათაშორის ურთიერთობის მრავალ ტიპს. სწორედ, ამ კუნძულის მაგალითზე დავინახავთ ყველაზე კარგად, თუ რა არის ,,კრეოლიზაცია" და ვინ არიან ,,კრეოლები". ,,კრეოლიზაცია" ის ტერმინია, რომელსაც განსხვავებულ სფეროებში განსხვავებული მნიშვნელობებით იგებენ და იყენებენ, ხოლო სიტყვა ,,კრეოლის" მნიშვნელობა დამოკიდებულია გეოგრაფიულ სივრცესა და კულტურაზე, რადგან ერთ კულტურაში მისი მნიშვნელობა

სრულიად განსხვავდება მეორე კულტურაში შეძენილი მნიშვნელობისგან. კულტურის კვლევებში ,,კრეოლიზაცია" მინიმუმ ორი განსხვავებული კულტურის შერწყმას, შერევას ნიშნავს, ხოლო ,,კრეოლი" ის ხალხია, რომელსაც არ აქვს კავშირი ისტორიულ წარსულთან, რომელიც განსხვავდება მსოფლიოში არსებული ხალხებისგან, რომლებსაც ისტორიულ წარსულთან და სამშობლოსთან მრავალმხრივი და მჭიდრო კავშირი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ,,კრეოლური" კულტურა ,,ახალი" სამყაროს პროდუქტია. კრეოლიზაცია არამხოლოდ მავრიკზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, არამედ სხვა კუნძულებზეც, მაგალითად ტრინიდადზე, თუმცა იქ ეს პროცესი ეფექტურობით ჩამოუვარდება მავრიკის კუნძულზე მიმდინარე პროცესს. სანამ ვისაუბრებ იმაზე, თუ რაში გამოიხატება ეს ეფექტურობა და რა კავშირშია ეს მავრიკის კუნძულის ეთნიკურ შემადგენლობასთან, საჭიროა ვისაუბრო ქვეყნის ისტორიაზე.

მავრიკის კუნძული მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, თხის რქის ტროპიკულ სარტყელზე დაახლოებით 800 კილომეტრის მოშორებით კუნძულ მადაგასკარისგან. ეს კუნძულოვანი ქვეყანა დემოკრატიული წყობისაა და ცნობილია მისი ხმაურიანობითა და მჭიდროდ დასახლებულობით. კუნძულზე მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით ერთი მილიონია. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე არასდროს ყოფილან აბორიგენები, თუმცა ამ დაუსახლებელ კუნძულს იცნობდნენ არაბი მეზღვაურები დაახლოებით უკვე მეათე საუკუნეში (არაზუსტი ინფორმაციით) , ხოლო მე-16 საუკუნეში ის აღმოაჩინეს პორტუგალიელებმა. შემდეგში (მე-17 საუკუნეში) პირველი მოსახლეები გერმანელები იყვნენ, რომლებმაც კუნძულს თავიანთი პრინცის მავრიკ ვან ნასსაუს სახელი დაარქვეს. 1715 წელს მავრიკზე ძალაუფლება საფრანგეთმა ჩაიგდო ხელში და ეს კუნძული გარდაქმნა მნიშვნელოვან ნავსადგურად, ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების დროს. ასევე გააშენა შაქრის ლერწმის პლანტაციები. სწორედ ფრანგული კოლონიზაციის ხანიდან იწყება მონების შემოყვანა ილ-დე ფრანსში, როგორც ფრანგები უწოდებდნენ ამ კუნძულს, პლანტაციებზე სამუშაოდ. მავრიკის ტერიტორია შეივსო აფრიკასა და მადაგასკარიდან წამოყვანილი მონებით. ეს პროცესი გრძელდებოდა მანამდე, სანამ 1810 წელს არ შეწყდა მონებით ვაჭრობა. 1810 წლიდან, ნაპოლეონის ომების დროს, კუნძულს ბრიტანეთი დაეპატრონა და მას წარმატებით იყენებდა მეორე მსოფლიო ომშიც, სტრატეგიულ საზღვაო და საჰაერო პლაცდარმად. კუნძული ბრიტანეთისგან გათავისუფლდა 1968 წელს და მას შემდეგ პოზიტიურად ვითარდება, როგორც დემოკრატიული ქვეყანა. მისი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელიც აფრიკაში საუკეთესოა, რაც ძირითადად უცხოური ინვესტიციების დამსახურებაა. ბოლო რამდენიმე ათწლეულია რაც მავრიკი ცდილობს გააბას და გაამყაროს თავისი კავშირები სხვა დიდ ქვეყნებთან, რადგან მისთვის ეს კავშირები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მავრიკის კუნძულის ეთნიკური შემადგენლობა ძალიან ჭრელია და როგორც უკვე ვახსენე, აქ არ ყოფილა აბორიგენი მოსახლეობა. შესაბამისად, დღეს ამ კუნძულზე მცხოვრები ადამიანები ბოლო 3 საუკუნის განმავლობაში გადმოსახლებული და

მიგრირებული, პლანტაციებზე მომუშავე ხალხისა და მონების შთამომავლები არიან. მიგრირდნენ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, მადაგასკარიდან, აფრიკიდან და საფრანგეთიდან. თუმცა, პირველები აქ მადაგასკარიდან და აფრიკიდან გადმოიყვანეს, როგორც მონები. სწორედ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებსაც მავრიკელ კრეოლებს უწოდებენ. დაახლოებით იმავე დროს დასახლდა კუნძული ფრანგებითაც, რადგან სწორედ ფრანგული კოლონიზაციის შედეგი იყო მონების გადმოყვანაც. რაც შეეხება, ხალხს ჩინეთიდან და ინდოეთიდან, ისინი მავრიკზე ,,თავისუფალი" მუშა-ხელის სახით მოვიდნენ, რომლებსაც ძალიან ცოტას უხდიდნენ და მათი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა მონების მდგომარეობისგან. საგულისხმოა, რომ ამ მულტიეთნიკურ გარემოში დღეს მოსახლეობის 40% ინდოელი ჰინდუა. სწორედ ეს ხალხია, ისინი, რომლებსაც მავრიკის სახელისუფლებო და მსგავსი ინსტუტებში მნიშვნელოვანი და ყველაზე მეტი ადგილი უჭერიათ. ნათელია, რომ ხალხთა შორის რელიგიური სხვაობაც დიდია. 48.5 % არის ჰინდუ, კათოლიკე - 26.3 %, მუსლიმი - 17.3%, სხვა ქრისტიანული განხრების მიმდევრები - 6.4%, მხოლოდ დაახლოებით 0.7 % არ აღიარებს არც ერთ რელიგიას. რთული წარმოსადგენია, რომ ამ პატარა კუნძულზე, ასეთ მულტიეთნიკური და შესაბამისად მულტიკულტურ გარემოში იშვიათად თუ შევხვდებით სერიოზულ დაპირისპირებებს. ჩემი აზრით, ეს გარემოება განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით. პირველი ეს არის კრეოლური ენა, რომელიც ,,lingua franca"-ს როლს ასრულებს. მოსახლეობის უმეტესობა სწორედ კრეოლურს იყენებს, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ფრანგულზე. ხოლო ჰინდუები სახლებში საუბრობენ თავიანთ ენაზე- ბოიპურზე. მათი საუბარი თითქმის გაუგებარია იმ ჰინდუებისთვის, რომლებიც ინდოეთში ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ მოსახლეობის უმეტესობა ტელევიზორიდან ინფორმაციას ფრანგულად იღებს, ხოლო ინგლისური მიჩნეულია, როგორც სახელმწიფო საქმეების აღსასრულებელ ენად. წინაპართა ენები კი მხარდაჭერილია რამდენიმე სატელევიზიო არხისა და რელიგიური ჯგუფების მიერ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მავრიკის კუნძულზე მცხოვრები ყველა კულტურა არის მკვეთრად კრეოლიზირებული, რაშიც იგულისხმება ამ კულტურების შერწყმა, სხვადასხვა ნიშან-თვისებების აღება და სხვა კულტურაში გადატანა. სწორედ, კრეოლიზირების გამოა, რომ ეს ხალხი ძირითადად მშვიდობიანად ცხოვრობს. ინდო-მავრიკელები კულტურულად თითქმის აღარაფრით გვანან თავიან ისტორიულ წინაპრებს, ისევე, როგორც მავრიკელი ჩინელები, თუმცა მათ აქვთ ხატი საკუთარი, შორეული სამშობლოსი, რომელიც ამ კუნძულზე მოსვლისთანავე გადმოიტანეს და დააფუძნეს. მიუხედავად იმისა, რომ კრეოლიზაციის პროცესი ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეეხო, კრეოლებად მხოლოდ აფრიკიდან მიგრირებულებს მიიჩნევენ. არსებობს ასეთი ტერმინიც კი- ,,მარტოსული კრეოლი", რომელიც, ვფიქრობ, მათ მდგომარეობას იდეალურად ასახავს. მაშინ, როცა მავრიკზე მცხოვრებ ყველა ხალხს აქვს ფესვები, სამშობლოს ხატი, საერთო წარსული, მითები, რომლებსაც იხსენებენ და აწმყოშიც

მნიშვნელოვანია, რელიგია, რომელიც წარსულთან არის ინტეგრირებული. ჰყავთ წინაპრები და თანატომელები, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ მათგან მოშორებით, სწორედ ამ დროს, მავრიკის კრეოლები მარტონი არიან, ზუსტად ვერც კი იხსნებენ აფრიკის რომელი ნაწილიდან არიან გადმოსახლებულები, მათი ენაც ფრანგი კოლონიზატორების გამარტივებული ენაა. არ აქვთ საერთო წარსული, არ ახსოვთ წინაპრები და რაც მთავარია არ აქვთ სამშობლოს ხატი. მათ არ შეუძლიათ იპოვნონ თუ სად არის რეალურად მათი ფესვები, თუმცა საკითხს უნდა შევხედოთ მეორე მხრიდანაც, ანუ იმ მხრიდან თუ, როგორც აღიქვამენ ამ სიტუაციას თავად კრეოლები. გასაკვირია, თუმცა ისინი არც ცდილობენ, რომ საკუთარი იდენტობა დაუკავშირონ აფრიკას. მავრიკელი კრეოლები არ არქმევენ საკუთარ შვილებს აფრიკულ სახელებს, თუმცა ძალიან პოპულარულია ფრანგული სახელები. საგულისხმოა, რომ როცა მეცნიერებმა სცადეს მათი წოდება აფრო-მავრიკელებად, როგორც ეს არის ინდო-მავრიკელების შემთხვევაში, ეს მცდელობა უშედეგო გამოდგა, რადგან კავშირი მავრიკელ კრეოლებსა და აფრიკას შორის გაწყვეტილია. საინტერესოა, თუ რატომ ვერ შეინარჩუნეს კავშირი საკუთარ წინაპრებთან, რატომ დაივიწყეს წარსული და სრულად ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან? იმ პერიოდში, როცა ტერმინი ,,მარტოსული კრეოლი" გაჩნდა, მეცნიერები ფიქრობდნენ რომ ამ კითხვაზე პასუხი კრეოლურ კულტურაშივე უნდა ვიპოვნოთ, რადგან ეს ხალხი გამოირჩევა თავისუფლების სიყვარულით, მკვეთრი ინდივიდუალიზმის გრძნობით, რაც მათ ხელს უშლის ჩამოყალიბდნენ ერთ, ძლიერ საზოგადოებად. სწორედ მათი სოციალურად შეუკავშირებულობა, რაც ჩემი აზრით, ასევე შედეგია საერთო წარსულის არ ქონისა, წარმოაჩენს მათ მავრიკის მოსახლეობის იმ ნაწილად, რომლებიც შეიძლება მარტივად იყოს მართული. ამიტომაც, მავრიკელი კრეოლები არ არიან ხელისფლების სათავეში, ისინი არ მართავენ და არ იღებენ მონაწილეობას სამთავრობო საკითხებში, რადგან ამ პოზიციებზე უმეტესად ინდო-მავრიკელები არიან. როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, ამ ხალხს არასდროს დაუკარგავს კავშირი თავიანთ ისტორიულ წარსულთან და თანატომელებთან, რაც მათ კოლექტიურობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, მათ მყარი ოჯახური კავშირები აქვთ და ახასიათებთ ნეპოტიზმიც, რაც ეხმარებათ ძალაუფლების შენარჩუნებაში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, იდენტობის ფორმირების პრობლემა მავრიკელ კრეოლებს ხელს უშლის საკუთარი თავის, როგორც ჯგუფის წარმოდგენაში და სხვა ჯგუფების წინაში მყარად დადგომაში. როგორც ვიცით, იდენტობის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ,,ჩვენ" ჯგუფის მიკუთვნებულობას, საერთო წარსულს, საერთო მითებსა და რელიგიას. რას ვხედავთ კრეოლების შემთხვევაში? ისინი თავს ვერც ერთ დიდი ცივილიზაციას ვერ მიაკუთვნებენ, განსხვავებით ინდოელების, ჩინელებისა თუ ფრანგებისგან. მათ არ აქვთ მყარი საფუძველი, ზურგი, რომელიც დაეხმარება გამაგრებაში, თუნდაც მხოლოდ იდეურად. ხშირად, მიგრირებულ ხალხს, სამშობლო ხატად წარმოუდგება, რომელიც ყოველთვის იქნება ის ადგილი, სადაც

შეეძლებათ დაბრუნება, თუმცა კრეოლების შემთხვევა განსხვავებულია. ვფიქრობ, რომ ამ ხალხის განსხვავებულობა და ინდივიდუალიზმი ყველაზე მეტად ამ ნაწილში ჩანს, რადგან მათ უბრალოდ დაივიწყეს წარსული და დაიწყეს ახალი ცხოვრება. როგორც მწერალი Movindri Reddy აღნიშნავს, კრეოლები ინდო, ჩინელ და ფრანკო მავრიკელების მიერ სწორედ მათი ,,არეული" იდენტობის გამო არიან მარგინალიზირებული. მიუხედავად იმისა, რომ მავრიკის ეკონომიკური მდგომარეობა კარგია, კრეოლებს მაინც ყველაზე დაბალ ხელფასს უხდიან და ხშირად ყველაზე მეტი დაუსაქმებელიც მათში გვხვდება. ცალსახაა რომ ეს ყველაფერი მარგინალიზაციაა, იმ ეთნიკური ჯგუფების მიერ, რომლებიც არ ხასიათდებიან შერეული იდენტობებით. შესაძლოა, ინდო-მავრიკელი საუბრობდეს კრეოლურ ენაზე და განიცდიდეს კულტურის კრეოლიზაციის შედეგებს, თუმცა მისი იდენტობა მაინც ინდურია, ის მაინც მავრიკის კუნძულზე მცხოვრები ინდოელია. საგულისხმოა, რომ კრეოლები მიმღებლობითაც გამოირჩევიან და მათში უფრო ხშირია შერეული ქორწინებები, ამიტომ უფრო ხშირად ხდებიან სხვა ჯგუფის წევრები კრეოლები, ვიდრე კრეოლი გახდება ინდო ან ფრანკო მავრიკელი. მათი ღიაობა გამოიხატება იმაშიც, რომ ისინი საკუთარ წევრად თვლიან ყველას, ვინც საკუთარ თავს კრეოლად მიიჩნევს, მაშინაც კი თუ ის ადამიანი მუსლიმი ან ჰინდუა, ან მავრიკელი ჩინელია. თუკი ეს ადამიანი პატივს სცემს კრეოლურ კულტურას და საუბრობს კრეოლურ ენაზე, მაშინ ეს საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი იყოს კრეოლი. ნათლად ვხედავთ, რომ ეთნიკურობის საკითხი თავად კრეოლებისთვის მეორე ხარისხოვანია. მათი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი და დანაწევრებულობა პრობლემებს უქმნით, თუმცა საკითხავია, რამდენად აღიქვამს ეს ხალხი ამ ყველაფერს პრობლემად. თუკი გადავხედავთ კიდევ ერთ ფაქტს კრეოლურ ენასთან დაკავშირებით, შესაძლოა საინტერესო ნიუანსი დავიჭიროთ. 1982 წელს ხელისუფლებაში მოვიდა რადიკალური პარტია, რომელმაც სცადა კრეოლური ენის ოფიციალური ენის რანგში აყვანა და ცხოვრების ყველა სფეროში დანერგვა, თუმცა ამ ინიციატივას შეეწინააღმდეგნენ არა ინდო-მავრიკელები, სინო-მავრიკელები ან ფრანკო-მავრიკელები, არამედ თავად კრეოლები. ამგვარი ქცევა განპირობებული იყო შეხედულებით კრეოლურ ენაზე, რომელიც ხალხისთვის ისევ ფრანგული ენის შვილობილ და გამარტივებულ, დამცრობილ ვარიანტად მიიჩნეოდა. თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც შიში იყო. შიში იმისა, რომ ამ შემთხვევაში მავრიკი გარესამყაროსგან იზოლაციაში მოექცეოდა, რადგან კრეოლური მხოლოდ სეიშელის კუნძულებზეა გავრცელებული. როგორც ვიცით, ფრანგული კულტურის ენაა, ხოლო ინგლისურს სახელმწიფო და სამოქალაქო წარმოებაში გამოიყენებენ. ამით ცდილობენ შეინარჩუნონ კავშირი დანარჩენ მსოფლიოსთან. ხალხისთვის, რომელთაც არ ჰყავთ წინაპრები და არ აქვთ სამშობლო, რომელიც მათ ზურგს გაუმაგრებდა, არ არიან არც ერთი დიდი ცივილიზაციის წევრი, მნიშვნელოვანია მხარდაჭერა მთელი მსოფლიოსგან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მავრიკის კუნძულის კრეოლების კულტურა მართლაც ძალიან საინტერესოა. არამხოლოდ კულტურა, არამედ მათი იდენტობა და ის თავისებურებები, რომლებიც სხვა ხალხებისგან გამოარჩევთ.

სოფი გუჯარაიძე

ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში

XVIII საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტის სახით უდიდესი გენია გამოჩნდა. მოკლე პერიოდის მანძილზე, არტილერიის ბრწყინვალე ოფიცერმა გამორჩეული მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა. ყველას აოცებდა უძნელეს, ჩახლართულ საქმეებში მისი სწრაფად გარკვევისა და გადაწყვეტის უნარი . მისი მმართველობის წლებში საფრანგეთმა დაიპყრო ცენტრალური და დასავლეთი ევროპა. მის ნებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ევროპის უდიდესი მონარქები. ნაპოლეონს განმათავისუფლებლად თვლიდნენ არა მხოლოდ ფრანგები, არამედ დაპყრობილი ევროპის ხალხებიც და რაც ყველაზე უფრო მთავარია, ნაპოლეონი საფრანგეთის რესპუბლიკის ყველაზე დაუძინებელი მტრის - ინგლისის განადგურების ყველაზე უფრო რეალური კანდიდატი იყო. ნაპოლეონმა ამ გეგმის რეალიზაცია ეგვიპტის დაპყრობით განიზრახა. საინტერესოა, თუ როგორ მოახერხებდა ნაპოლეონი ეგვიპტის დაპყრობით ინგლისის განადგურებას? ან, კი შეძლებდა ამ გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას და საფრანგეთის საუკუნოვანი მტრის - ინგლისის დაჩოქებას?

ნაპოლეონს სურდა ეგვიპტის დაპყრობით ახლო აღმოსავლეთში ერთგვარი პლაცდარმი შეექმნა, საიდანაც ინდოეთში გაილაშქრებდა და იქ, ინგლისის ეკონომიკას გაანადგურებდა. ინგლისი მოხერხებულად იყენებდა ინდოეთის რესურსებს. ინდოეთიდან მიღებული ოქროს, სანელებლებისა და ჩაის მოგებით ბრიტანეთი ნელ-ნელა მსოფლიო კოლონურ იმპერიად გადაიქცა. ბრიტანეთისათვის ინდოეთი ერთგვარ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრიტანელები ვაჭრობიდან მიღებულ რესურსებს მოხერხებულად იყენებდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციების დასაფინანსებლად. მთავარი კოლონიის დაკარგვის შემდეგ კი, ინგლისი ეკონომიურად დასუსტდებოდა .

ტულონის აღების წარმატებულმა ოპერაციამ, იტალიის ლაშქრობის ტრიუმფით დასრულებამ და როიალისტური ამბოხებების ჩახშობამ ნაპოლეონის ავტორიტეტი

მკვეთრად გაზარდა. იტალიის სამხედრო კამპანიის დასრულების შემდეგ, ნაპოლეონის არმიამ უმდიდრესი იტალიური ქალაქების დაპყრობის შემდეგ, საფრანგეთში უზარმაზარი ნადავლი ჩაიტანა. საფრანგეთის ხელისუფლებას თავი ისე ეჭირა, თითქოს გახარებული იყო ქვეყანაში ასეთი მასშტაბის მხედართმთავრის გამოჩენით, რეალურად კი, ნაპოლეონის ბრწყინვალე სამხედრო წარმატებები და არაჩვეულებრივი პოპულარობა დირექტორიის აღშფოთებას იწვევდა და მისი სადმე შორს გაგზავნა სურდა. ამ მიზნით სულ მალე ნაპოლეონი ეგვიპტის ექსპედიციის მეთაურად დაინიშნა. ამ შემთხვევაში დირექტორიას შორსმიმავალი ზრახვები ამოძრავებდა - როგორმე თავიდან აეცილებინა სამხედრო დიქტატურის დამყარება საფრანგეთში , თუმცა მოხდა პირიქით, ნაპოლეონის ბრწყინვალე წარმატებებმა ეგვიპტეში ერთგვარი საფუძველი მოამზადა მისი ხელისუფლებაში მოსვლისათვის.

ეგვიპტის ლაშქრობაში თავისი წვლილი შეიტანა ტალეირანმაც. ნაპოლეონმა ეგვიპტის ლაშქრობის წინ ტალეირანს სთხოვა დახმარება. ტალეირანის მოღალატე და მექრთამე ბუნება საყოველთაოდ იყო ცნობილი, მაგრამ ამავდროულად იგი იყო საოცრად ნიჭიერი პოლიტიკოსი და შესანიშნავად ფლობდა დიპლომატიის ხელოვნებას. შეთანხმების თანახმად, ნაპოლეონის ეგვიპტეში შეჭრისთანავე, ტალეირანი სტამბულში უნდა ჩასულიყო და სულთანი დაერწმუნებინა, რომ ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობა თურქეთისათვის ზიანის მომტანი არ იქნებოდა და რომ მისი მტრული ისრები მხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული . ამას გარდა, ნაპოლეონი სულთანს ჰპირდებოდა, რომ გაანადგურებდა განდგომილ მამლუქებს , რომლებიც სულთანს აღარ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ბონაპარტს თურქეთისათვის თვალის ახვევა დროებით სჭირდებოდა, მანამდე სანამ ეგვიპტეს დაიპყრობდა და იქ ფეხს მოიკიდებდა. შემდეგ ფრანგები აპირებდნენ ლევანტის ქვეყნების სრულ დამორჩილებას. ლევანტის ქვეყნებსა და საფრანგეთს შორის არსებულ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს დიდი მოგება მოჰქონდა საფრანგეთის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის. ლევანტი ”ბრწყინვალე პორტას” ანუ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ სულთნის გავლენა ძალზე იყო შესუსტებული ეგვიპტეში, სადაც ქვეყნის ფაქტიური გამგებლები მამლუქი ბეგები იყვნენ .

მამლუქთა იერიში, ვოიცეხ კოსაკის ტილოს ფრაგმენტი

ინგლისის ფლოტი ნელსონის მეთაურობით გაცილებით ადრე მიადგა ეგვიპტის ნაპირებს. ინგლისელებმა, რომლებსაც ეგვიპტეში არც ერთი ფრანგი დაუხვდათ, ივარაუდეს, რომ ნაპოლეონი სტამბულის მიმართულებით წავიდა. ამიტომ ნელსონმა თავისი ჯარი სტამბულისკენ დაძრა, ხოლო ფრანგთა ჯარი კი მშვიდად გადასხა ეგვიპტეში და უბრძოლველად დაიკავა ალექსანდრია . ნაპოლეონი თავის მოხსენებაში ეგვიპტის ლაშქრობაზე წერს: "19 მესიდორს არმია ალექსანდრიიდან გავიდა. 20-ში უკვე დამანჰურთან ვიყავით. უდაბნოზე გადასვლის დროს უჩვეულო პაპანაქებამ და უწყლობამ გაგვაწამა. ნილოსის სანაპიროზე-რაჰმანიესთან, სადაც 22 მესიდორს გავედით, ბრძოლა გადავიხადეთ." ნაპოლეონის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრანგთა ჯარი ეგვიპტეში ძალზედ ეწამებოდა სიცხეში და უწყლობაში. ფრანგთა ჯარი რაჰმანიესთან მამლუქებს შეებრძოლა და უკუაქცია ისინი. მამლუქებმა დანაკარგი განიცადეს და უკან დაიხიეს. მამლუქთა მეთაური მურად-ბეი პატარა ფლოტილიისა და ზარბაზნების იმედით ფრანგებს სოფელ შებრიზთან მოელოდა. ნაპოლეონი, რომელსაც 200 მხედარი ჰყავდა, კარეებად დაწყობილი ჯარით მიუახლოვდა მამლუქებს. მამლუქები საუკეთესოდ იყვნენ შეიარაღებულნი დამბაჩებით, კარაბინებითა და აღმოსავლური ხმლებით . მამლუქთა ფლოტს დაუპირისპირდა ფრანგთა ფლოტილია პერეს სარდლობით. ფრანგებმა მამაცურად იბრძოლეს და მტრის ფლოტი ხელთ იგდეს. მამლუქებმა კავალერიით შეუტიეს "კარეებად" დაწყობილ ფრანგებს, რომლებაც მამლუქებს მიახლოების საშუალებაც არ მისცეს. მრავალი მამლუქი დაიჭრა და დაიხოცა, დანარჩენებმა კი უკან დაიხიეს . ამ ბრძოლაში მამლუქებმა სამასამდე კაცი დაკარგეს. ფრანგებმა სწრაფად მიაღწიეს სოფელ ინბაბას, სადაც მამლუქი ბეგები იყვნენ გამაგრებული თავიანთი ჯარით. გიზის პირამიდებიდან დაახლოებით 15 კმ-ში, იმბაბასთან მოხდა დიდი ბრძოლა ნაპოლეონსა და მამლუქების მეთაურ, მურად-ბეის შორის . არსებობს ვერსია, რომ ბრძოლის წინ ნაპოლეონმა სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს:

,,ჯარისკაცებო, ორმოცი საუკუნე გადმოგყურებთ ეგვიპტის პირამიდებიდან“ . ბრძოლაში მამლუქებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს, ისინი ღირსეულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ფრანგთა კარგად აღჭურვილმა და გამაგრებულმა ჯარმა მამლუქთა სანგრებს შეუტია და გაანადგურა.

ბრძოლა იმბაბასთან, ცნობილი როგორც ბრძოლა პირამიდებთან, ლუი ფრანსუა ბარონ ლეჟუნის ტილო

მამლუქების ერთ-ერთი მეთაური იყო ქართველი მამლუქი იბრაჰიმ-ბეი (შინჯიკაშვილი), რომელიც წარმოშობით ქართველი იყო. საერთოდ მამლუქთა მაღალი ფენის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. იბრაჰიმ ბეი ეგვიპტეს თითქმის 29 წლის განმავლობაში მართავდა. ის იყო ყველაზე დიდი პოლიტიკური ფიგურა ეგვიპტის XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ისტორიაში. იბრაჰიმ ბეი, ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში გაიტაცეს მუსლიმებმა და სტამბოლის ბაზარზე მონად გაყიდეს. მოგვიანებით, ეგვიპტელმა მფლობელმა მას ისლამი მიაღებინა და სახელი შეუცვალა. ბეის წოდება

მოგვიანებით - 1767 წელს მიიღო. მისი პატრონი ეგვიპტის იმდროინდელი მმართველი იყო, რომელმაც იბრაჰიმი ერთგული მსახურებისათვის მონობისგან გაათავისუფლა .

ნაპოლეონი შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ეგვიპტის დაპყრობით ინგლისის განადგურება პრაქტიკულად განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა. აუტანელი სიცხისა და უწყლობის გამო, ბრძოლის გაგრძელება უპერსპექტივო იყო. ამიტომ ნაპოლეონმა გადაწყვიტა საფრანგეთში დაბრუნება, თუმცა ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ხმელთაშუა ზღვას ნელსონის ფლოტი აკონტროლებდა. ნაპოლეონმა სასწაულებრივად მოახერხა ხელიდან დასხლტომოდა ნელსონის ფლოტს და 1799 წელს საფრანგეთში დაბრუნდა . საფრანგეთში დაბრუნებული ნაპოლეონი სახელმწიფო გადატრიალებას ჩაუდგა სათავეში, რომლის ძალითაც ხელსუფლების სათავეში მოექცა. უნდა ითქვას, რომ დირექტორიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ნაპოლეონის მოშორებით გულანეთებული ხელისუფლება თავად ნაპოლეონის ხელითვე აღმოჩნდა კულისებს მიღმა.

მიუხედავად, ეგვიპტისათვის დამანგრეველი შედეგებისა, ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობა მაინც პროგრესულ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ცივილიზაციის ამ უძველესი კერის თავიდან აღმოჩენასა და შესწავლას. სინამდვილეში, ნაპოლეონი ეგვიპტეზე ფრანგული პროტექტორატის დაწესებასთან ერთად, ამ უძველესი ცივილიზაცის სიღრმისეულად შესწავლას ესწრაფვოდა . ნაპოლეონის ეგვიპური ლაშქრობა, შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ექსპედიციაც იყო. რასაც ადასტურებს, მეცნიერების განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა ბედუინების თავდასხმისგან, გასროლილი ტყვიისაგან თუ აუტანელი სიცხისგან, რომელიც ასე ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ნაპოლეონის ექსპედიციაში. ყოველი ბრძოლის წინ ნაპოლეონი თავის ამალას მოუწოდებდა ,,მეცნიერები და ვირები შუაში!“ . თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერთა გარეშე, ლაშქრობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.

ნაპოლეონის ეგვიპტურმა კამპანიამ გაამდიდრა ეგვიპტის შესახებ არსებული ცოდნა, მისცა გარკვეული სტიმული სამეცნიერო ექსპედიციების ჩატარებას და ეგვიპტის უდიდესი ცივილიზაციისადმი შესწავლის ინტერესი გააღვივა. შედეგად, ევროპაში უამრავი ისტორიული ძეგლი და არტიფაქტი გაიტანეს. ლაშქრობის დროს ერთ-ერთმა ფრანგმა ჯარისკაცმა ქვიშაში უცნაური ქვა იპოვა, რომელიც სულ მალე, თანამედროვე არქეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი და ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრის წყარო გახდა. როზეტის ქვის გაშიფვრა წლების განმავლობაში საიდუმლოდ რჩებოდა. მეცნიერთა არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, საბოლოოდ 1822 წელს, ნაპოლეონის ეგვიპტური ექსპედიციის ერთ-ერთმა მეცნიერმა, ჟან ფრანსუა შამპოლიონმა წარმატებით გაშიფრა როზეტის ქვის იდუმალი ეგვიპტური დამწერლობა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანია პოლიტიკური თვალსაზრისით წარუმატებელი გამოდგა. ნაპოლეონმა ვერ შეძლო ეგვიპტის დაპყრობა

და ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმად გამოყენება ინდოეთზე გალაშქრებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება არც თუ ისე მარტივი საქმე იყო. თუმცა ნაპოლეონის ეგვიპტურმა კამპანიამ ბევრი სიკეთე მოუტანა მსოფლიოს. რომ არა, ნაპოლეონის სამეცნიერო ექსპედიცია, არავინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა საიდუმლოდ როზეტის ქვის მისტიური წარწერა. ნაპოლეონის გენია აღფრთოვანებას იწვევდა მის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებში. ერთმა ინგლისელმა, რომელსაც ძნელია ნაპოლეონისადმი სიმპათიები დავწამოთ, თქვა: ,,ნაპოლეონმა უსასრულობამდე გადასწია ის, რაც მის გამოჩენამდე ადამიანის შესაძლებლობების ზღვარად იყო მიჩნეული“ .

ნინო ინდუაშვილი

სადამ ჰუსეინის დიქტატურა ერაყში

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვნის ტერიტორიაზე- შუამდინარეთში - განლაგებული ნავთობითა და გაზით მდიდარი ერაყი ბოლო 60 წელზე მეტია, განუწყვეტლივ ექცევა სხვადასხვა სერიოზული პრობლემების ეპიცენტრში.

1958 წლამდე ერაყს პროდასავლური კურსი ჰქონდა. ამ პერიოდში ერაყს მართავდა 1920 წელს გამეფებული მექის ჰაშიმიანთა შერიფ ალის მემკვიდრეთა ერთ-ერთ შტო. 1958 წელს ერაყელმა რადიკალმა ოფიცრემბა მოაწყეს სამხედრო გადატრიალება , მოკლეს მეფე ფაისალ II და ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადეს აბდულ ქერიმ კასიმი. ამ არასტაბილური ვითარების დროს არაერთი ძალა ცდილობდა ხელისუფლებაში მოსვლას, მათ შორის იყო ნაციონალისტური ბაასის პარტია.

ბაასი არის არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა 1947 წელს სირიაში. იგი დააარსეს მიშელ აფლაკმა და სალაჰ ად-დინ ალ-ბითარმა. აღნიშნული პარტიის იდეოლოგია ემყარება ნაციონალიზმს, პანარაბიზმს და ანტიიმპერიალისტური იდეების ნარევს და მისი მიზანია შეიქმნას ერთიანი არაბული სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ამ პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი წევრი იყო სადამ ჰუსეინი.

სადამ ჰუსეინი დაიბადა მეცხვარის ოჯახში 1937 წლის 28 აპრილს ერაყში. მისი მამა დაბადებამდე გარდაიცვალა და პატარა ასაკში ბიძასთან ერთად ბაღდადში დაიწყო ცხოვრება. 1957 წელს ბაასის პარტიას შეუერთდა. 1962-63 წლებში კაიროს სამართლის

სკოლაში სწავლობდა. 1963 წელს, მას შემდეგ , რაც ბაღდადში ბაასის პარტიამ მოიპოვა ძალაუფლება , სწავლა ბაღდადის სამართლის კოლეჯში განაგრძო. ამავე წლის ნოემბერში მათი რეჟიმი დაამხეს და სადამ ჰუსეინმაც რამოდენიმე წელი გაატარა ციხეში. ციხიდან გაქცევის შემდეგ ის გახდა ბაასის პარტიის ლიდერი. 1968 წლის 17 ივლისს ხელისუფლება კვლავ დაიბრუნა ბაასის პარტიამ და 2003 წლამდე ერაყის ხელისუფლებაში დარჩნენ.

1979 წელს სადამ ჰუსეინმა თავისი რეჟიმი დაამყარა ერაყში, სწორედ ამ პერიოდიდან წყდება სამხედრო გადატრიალებების ის სერია, რომელიც წლების განმანმავლობაში მიმდინარეობდა ერაყში. მიუხედავად იმისა, რომ სადამ ჰუსეინს ავტორიტარული რეჟიმი ჰქონდა, 2003 წლამდე ერაყში მმართველობის ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა იყო.

სადამ ჰუსეინმა მაღალ თანამდებობებზე დანიშნა მხოლოდ ბაასის პარტიის წევრები და თავისთან დაახლოებული პირები. ამგვარად, სახელმწიფოს ყველა სფეროში დაამყარა კონტროლი. მისი ძირითადი დასაყრდენი იყო არმია და უშიშროების სამსახური. როგორც ყველა ავტორიტარული რეჟმის, ისე სადამ ჰუსეინის მმართველობის დროსაც აქტიურად ხდებოდა მოწინააღმდეგეების მკვლელობა.

1979 წელს დაიწყო ოპოზიციური შიიტური თემის გამოსვლები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა პარტია ად-და'ვა („მოწოდების პარტია"). ერაყის მთავრობამ გაასახლა ქვეყნიდან შიიტები და გაამკაცრა პოლიტიკა რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში.

1979 წელს ირანში მომხდარი ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანის სახელმწიფო შედარებით დასუსტებული იყო, ეს ხელსაყრელი მდგომარეობა გამოიყენა სადამ ჰუსეინმა და 1980 წლის 22 სექტემბერს ერაყი თავს დაესხა ირანს. საბაბად კი გამოიყენა, 1975 წელს დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით საზღვარი მდ. შატ ალ-არაბის შუახაზზე უნდა ყოფილიყო. ეს ხელშეკრულება ავალდებულებდა ირანს გადაეცა სასაზღვრო ტერიტორიების ნაწილი ერაყისთვის. ამ პერიოდში ერაყმა არაერთხელ გამოიყენა ქიმიური იარაღი, როგორც ირანის, ისე საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ირან-ერაყის ომი 1988 წელს დასრულდა ერაყის დამარცხებით. მიუხედავად ამისა სადამ ჰუსეინი აქტიურად აგრძელებდა თავისი რეჟიმის განმტკიცებას ქვეყანაში და ერაყის ჰეგემონობისათვის ბრძოლას რეგიონში.

1970 წლიდან ერაყი პრეტენზიას აცხადებდა ქუვეითის სუვერენულ მფლობელობაში მყოფი , მდ. შატ ალ-არაბის შესართავთან მდებარე კუნძულების, ბუბიანისა და ვარბას მიმართ, რომელთაც ქუვეითი არ თმობდა. სადამ ჰუსეინი სწორედ ამ მიზეზით დაესხა თავს 1990წლის 2 აგვისტოს ქუვეითს და გამოაცხადა ერაყის მე-19 პროვინციად. ამ თავდასხმამ შეაშფოთა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, განსაკუთრებით კი ამერიკის

შეერთებული შტატები, რადგან საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ სხვა ყურის არაბული ქვეყნები, ისინი, რომლებიც აშშ-ს ნავთობით ამარაგებდნენ. გარდა ამისა რეგიონში კონფლიქტები არც ევროპისთვის იყო მისაღები. იმავე წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა კოალიცია აშშ-ს მეთაურობით. 1991 წელს ჩაატარეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ , რომელიც 6 კვირა გაგრძელდა და დასრულდა ერაყის დამარცხებით. ამერიკას არ სურდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა, რადგან ეს რეგიონში არასტაბილურობას და ძალათა დისბალანსს გამოიწვევდა, ამიტომ სამხედრო მოქმედებები ერაყის ტერიტორიაზე, ბაღდადის მიმართულებით არ გაგრძელებულა. 1991 წლის 28 თებერვალს ერაყმა კაპიტულაცია გამოაცხადა. იმავე წელს გაერომ ერაყს დაუწესა სანქციები, რომლებმაც საგრძნობლად დაასუსტა ერაყი. 1994 წელს ერაყმა ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

სპარსეთის ყურის მეორე - ერაყ-ქუვეითის ომი, გარკვეულწილად დაკავშირებულია დრევანდელ მოვლენებთან, ის ერთ-ერთ მთავარ კრიზისად არის მიჩნეული, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული.

2001 წელს ალ-კაიდამ მოაწყო ტერორისტული თავდასხმები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე. 2002 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) დაასახელა „ბოროტების ღერძის“ 3 ქვეყანა, რომელშიც ერაყთან ერთად ჩრდილოეთ კორეა და ირანი შევიდნენ. ჯორჯ ბუშის (უმცროსი) მოსაზრებით ამ ქვეყნებში მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა მიმდინარეობდა. აქტიურმა პროპაგანდამ მოსაზრებას დიდი პოპულარობა მოუტანა, მოგვიანო წლებში დადასტურდა, რომ სადამ ჰუსეინის პერიოდის, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წამოება არ მიმდინარეობდა. 2003 წელს ამერიკამ ულტიმატუმი წაუყენა სადამ ჰუსეინს - ან უარი ეთქვა ხელისუფლებაზე ან დაიწყებდა სამხედრო ოპერაციებს მის წინააღმდეგ. 20 მარტს დაიწყო სამხედრო მოქმედებები, 9 აპრილს დაიკავეს ბაღდადი, ხოლო 1 მაისს საბოლოოდ დაემხო სადამ ჰუსეინის რეჟიმი.

2003 წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინი დააპატიმრეს. მას ბრალად წაუყენეს 1988 წელს მომწამლავი გაზის გამოყენება ქურთების წინააღმდეგ ჰალაბჯში, რის შედეგადაც ერთ დღეში 5 ათასი ქურთი გარდაიცვალა, 1987-88 წლებში სამხედრო ოპერაცია „ალ-ანფალის“ განხორციელება, რომლის შედეგადაც განადგურდა 80 ქურთული სოფელი, შიიტთა აჯანყების ჩახშობა 1991 წელს, ქუვეითზე თავდასხმა 1990 წელს და სხვა. 2006 წლის 30 დეკემბერს კი სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩეს.

ანი ჩარიგოგდიშვილი, მარიკა ირემაძე


კულტურა და ცივილიზაცია

შაჰის მეჩეთი

ირანის ისტორიისა და თავისთავადი კულტურის უსიტყვო მემატიანეა მისი კულტურული მემკვიდრეობა. მათ შორისაა ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი უძველესია და ნათლად გამოხატავს სპარსეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდისთვის დამახასიათებელ არქიტექტურულ სტილს.

ირანის ისლამური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს მასჯედ-ე შაჰ ანუ შაჰის (იმამის) მეჩეთი (სპარს. مسجد شاه), რომელიც სპარსული არქიტექტურის ხელოვნების ქმნილებად მიიჩნევა. იგი ყველაზე დიდი მეჩეთია ისპაჰანში და ნაყშ-ე ჯაჰანის მოედნის სამხრეთით მდებარეობს. მეჩეთი სეფიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში აიგო, შაჰ-აბას I-ის (1587-1629) ბრძანებით და, ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის მეტოქეობის პირობებში, შაჰის, როგორც მუსლიმი მმართველის, ლეგიტიმურობის გამომხატველი იყო. მეჩეთის მშენებლობა დაიწყო 1611 წელს და რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა. მისი ფასადის დიდებულება მეტწილად განპირობებულია შვიდფერი მოზაიკური ფილების მშვენიერებითა და კალიგრაფიული ორნამენტული წარწერებით.

შაჰის მეჩეთი ისპაჰანში

1598 წელს შაჰ-აბასმა ირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ყაზვინიდან დედაქალაქი გადმოიტანა ქვეყნის ცენტრში, ძველ ქალაქ ისპაჰანში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ულამაზეს ქალაქად აქცია.

საინტერესოა, რომ ქალაქ ყაზვინში გავრცელებული იყო ,,აინექარი'' ანუ შენობის სარკეებით მოპირკეთება და ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ეს მეთოდი პირველად სწორედ ამ ქალაქის ერთ-ერთ ნაგებობაში გამოიყენეს. როგორც ჩანს, ყაზვინიდან დედაქალაქის ისპაჰანში გადმოტანამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ ქალაქში სარკეებით მოპირკეთების ხელოვნების გავრცელებას. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი მოგვითხრობს 100-ზე მეტ სასახლეზე, რომლებიც ძვირფასი ქვებით იყო შემკობილი.

შაჰ-აბასს სურდა, რომ მეჩეთის მშენებლობა თავის სიცოცხლეშივე დასრულებულიყო. იგი, ამის გამო, უგულებელყოფდა გაფრთხილებებს, რეკომენდაციებს და აჩქარებდა სამშენებლო პროცესს. სპარსელებმა მეჩეთი დაამშვენეს შვიდფერი მოზაიკური ფილებით, რომელიც უფრო იაფი და სწრაფი იყო, ასევე, მან საბოლოოდ დააჩქარა მშენებლობის დასრულება. ეს სამუშაო შეასრულეს ერთ-ერთმა საუკეთესო ხელოსნებმა, ხოლო - უშუალოდ სამშენებლო პროცესს ზედამხედველობდა კალიგრაფიის ოსტატი რეზა აბასი. მეჩეთზე ბოლო შტრიხები 1629 წლის ბოლოს, შაჰის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში შეიტანეს. ის ფაქტი, რომ მეჩეთის შემკობა შაჰ-აბასის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდშიც გაგრძელდა, გუმბათზე არსებული წარწერებით დასტურდება.

სეფიანები, შაჰის მეჩეთის შექმნით, შეეცადნენ თვითგამოხატვას მრავალი განსხვავებული არქიტექტურული ტექნიკის გამოყენებით. როგორც მეჩეთში შესასვლელი კარიბჭის ზემოთ მდებარე წარწერიდან ირკვევა, მისი არქიტექტორია ალი აკბარ ისპაჰანი.




მეჩეთის შესასვლელის ფასადი

მეჩეთი ნაყშ-ე ჯაჰანის (,,ქვეყნიერების სურათი'') მოედანზე ისეა განთავსებული, რომ შორიდანვე შეიძლებოდა მისი შესასვლელისა და სალოცავი დარბაზის დანახვა. იგი ერთგვარ პროტოტიპად იქცა მეჩეთების შემდგომი დიზაინისთვის მთელ ცენტრალურ აზიაში. ამასთანავე, შაჰის მეჩეთი პირველი ისლამური ნაგებობაა, რომელიც ოთხი აივნის მქონე გეგმისა და ისლამური რელიგიის არქიტექტურის სინთეზსს გამოხატავს. მისი ორმაგგარსიანი გუმბათები წარმოადგენს ერთგვარ არქიტექტურულ ინოვაციას, რომელიც ინსპირაციის წყაროდ იქცა სხვა არქიტექტორებისთვის ამ რეგიონში. შაჰის მეჩეთის კონსტრუქციაში შერწყმულია ირანის ისლამური არქიტექტურის თავისებურებანი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არსებითად განსხვავდება ადრეული, არაბული მეჩეთების დიზაინისგან. იმამის მეჩეთის ზომები ასეთია: სიგრძე - 100, სიგანე - 130, ხოლო მინარეთების სიმაღლე - 48 მეტრი.

ტრადიციული ფილების მორთულობა შაჰის მეჩეთში

ამასთანავე, საინტერესოა, რომ მეჩეთში მდებარეობდა ორი მაღალი ამბიონი (შემაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ქადაგებენ), ერთი იყო ღია კარგი ამინდისთვის, მეორე კი, გადახურული - სიცივის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ისპაჰანი არ ყოფილა დედაქალაქი, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური ფუნქცია ექნებოდა, არამედ - იგი შიიტებისთვის იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრად, მას შემდეგ, რაც შაჰის მეჩეთი აიგო.

როგორც უკვე ითქვა, მეჩეთის მთავარი წარწერა ცნობილ კალიგრაფ რეზა აბასს ეკუთვნის. მასში ნათქვამია, რომ შაჰ-აბასმა მეჩეთის მშენებლობის პროექტი დააფინანსა სამეფო საგანძურიდან, თავისი ბაბუის, შაჰ თამაზის, სულისთვის.

ფაქტობრივად, მეჩეთის ეპიგრაფიკული პროგრამა, რომელიც შეიმუშავეს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე ცნობილმა კალიგრაფებმა, იყენებს ყურანის პასაჟებს, ადიდებს წინასწარმეტყველ მუჰამედსა და შიიტთა პირველ იმამ ალი იბნ-აბუ-თალიბს.

მოზაიკის დეტალი შაჰის მეჩეთიდან

მასჯედ-ე შაჰი უზარმაზარი ნაგებობაა, რომელიც 18 მილიონი აგურისა და 475 000 ფილისგან ააშენეს. დამთვალიერებელზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მეჩეთის შიდა ეზოები, აივნები, ლურჯი ფერის შორენკეცების განუმეორებელი ფერთა გამა. განსაკუთრებული სილამაზისაა სამხრეთ გუმბათი, რომელსაც ხმის გაძლიერების უნიკალური აკუსტიკა გააჩნია, რაც საშუალებას აძლევს იმამს, მკაფიოდ მოისმინოს მეჩეთის ყველა კუთხეში (თუნდაც დაბალი ხმით) საუბარი.

საბოლოოდ რომ ითქვას, შაჰ-აბას I-ის საკრებულო მეჩეთი 2012 წლიდან იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. იგი დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს და სამართლიანად მიიჩნევა ირანული ხუროთმოძღვრების საუნჯედ.

ანა ბალიაშვილი, თეა ცუხიშვილი, ნინო ძამნაშვილი

ჰამშენების წარმომავლობის საკითხისათვის

ჰამშენები, ჰემშინები, ხემშინები, ხემშილები, ჰემშილები წარმოადგენენ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც თავინთ წარმომავლობას სომხებს უკავშირებენ. ისინი ცხოვრობენ თურქეთში, რუსეთის ფედერაციაში, საქართველოში, სომხეთსა და ცენტრალურ აზიაში. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 400 ათას აღწევს. ჰამშენები ლაპარაკობენ სომხური და თურქული ენების დიალექტებსა დ კილოკავებზე. მათი ენა არის სომხური (ჰამშენის დიალექტი) და თურქული (ჰამშენის დიალექტი). ჰამშენებში გვხვდებიან როგორც ქრისტიანები, სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები, ისე მუსლიმი სუნიტები. ჰამშენები დღეს თურქეთის შავიზღვისპირეთში, ართვინში, რიზეში, სარფში, ტრაპიზონში არიან დასახლებული. თურქეთის ის რეგიონი, რასაც ჰემშინს უწოდებენ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ჰემშინად იყოფა. აღმოსავლეთ ჰემშინი ართვინის, ხოფასა და ბორჩხას რეგიონის სოფლებისაგან შედგება, დასავლეთ ჰემშინი კი რიზეს, ჰემშინს, ფაზარს, ფინდიქლისა და ჩაიელს მოიცავს. დასავლეთ ჰემშინები თურქული ენის თავისებურ დიალექტს, ხოლო აღმოსავლეთ ჰემშინები თურქულთან ერთად დასავლეთ სომხეთის სომხურ დიალექტს იყენებენ. დღეს ორდუში, ტრაპიზონსა და გირესუნში მცხოვრები ჰამშენების ნაწილი ქრისტიანები არიან.

ჰამშენების ისტორია მე-8 საუკუნიდან იწყება. სომეხმა დიდებულებმა ჰამამ და შაპუხ ამატუნებმა დაკარგეს თავიანთი სამფლობელოები არტაზში (დიდი სომხეთის ვასპურაკანის ნაჰანგი) არაბებთან ბრძოლაში და დაახლოებით 12 ათას ოჯახთან ერთად გადასახლდნენ ბიზანტიის იმპერიაში. იმპერატორმა კონსტანტინემ შეიფარა ისინი და დაასახლა ნაყოფიერ და მდიდარ მიწებზე. ამის შესახებ გვიამბობს მე-8 საუკუნის სომეხი

ისტორიკოსი ღევონდი. თავდაპირველად მათ პონტოს მთებში დააარსეს ქალაქი თამბური (დამპური), რომელსაც შემდგომ დაარქვეს სახელი ჰამამშენი (ჰამამის ნაშენი), შემდგომ კი ჰამშენი. ეს არის სომხური და ადგილობრივი სახელწოდება, მისი თურქული სახელწოდებაა Hemşin).

ჰამშენის სომხების უმეტესობა ქრისტიანები იყვნენ და სომხური სამოციქულო ეკლესიის ხაჩქარის ეპარქიის მრევლს წარმოადგენდნენ. 1461 წელს ჰამშენი დაიპყრეს თურქებმა. მოგვიანებით XVI - XVIII საუკუნეების მანძილზე ჰამშენების დიდმა ნაწილმა მიიღო ისლამი, თუმცა მათ ენა და კულტურა შეინარჩუნეს. გამუსლიმებულ ჰამშენებს (ჰემშილები, ხემშილები) აღარ დევნიდა თურქეთის მთავრობა. მე-19 საუკუნეში ისინი დასახლდნენ ოსმალეთის იმპერიის ტრაპეზუნდის ვილაეთის აღმოსავლეთ რაიონებში. ქრისტიანი ჰამშენები კი გადასახლდნენ პონტოს დასავლეთ ნაწილში - ტრაპზონში, გირესუნში, ორდუში, სამსუნში, თურქეთის დასავლეთში (ადაპაზარი, ბოლუ და სხვა), მოგვიანებით ასევე რუსეთის იმპერიის შავი ზღვის სანაპიროებზე. ჰამშენის ცალკეულ რეგიონებში, მაგალითად, ელიოვიტში, შენაჩუნებული იქნა ქრისტიანული მოსახლეობა.

XX საუკუნის დასაწყისში სომეხთა გენოციდთან დაკავშირებით ქრისტიანი ჰამშენების უმრავლესობა გადასახლებული იქნა რუსეთის ტერიტორიაზე. ადაპაზარის ჰამშენთა ერთი ჯგუფი კი დასახლდა სომხეთში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰამშენების დასავლური და აღმოსავლური ჯგუფის წარმომადგენლები მუსლიმი სუნიტები არიან.

თურქეთში მცხოვრებ მუსლიმ ჰამშენებს მეზობელი ლაზები „ერმენი“-ს (სომხებს) უწოდებენ. დღეს თურქეთში მცხოვრები ზოგიერთი ჰამშენი მალავს ან ნეგატიურად აღიქვამს სომხურ წარმომავლობას.

ჰამშენთა ჩრდილოეთ ჯგუფს ეკუთვნიან არამუსლიმი ჰამშენთა შთამომავლები, რომლებმაც მიატოვეს ჰამშენი ისლამიზაციის დროს და დასახლდნენ სამსუნში, ორდუში, გირესუნსა და ტრაპზონში. ამჟამად მათი უმეტესობა ცხოვრობს კრასნოდარის მხარეში, სოჭიში, აფხაზეთში, ადიღეში. ისინი ქრისტიანები არიან. როგორც აღმოსავლური ჯგუფის ჰამშენები, ისინიც საუბრობენ ჰამშენურ დიალექტზე, რომელსაც უწოდებენ «ჰაირენ»-ს (სომხური).

1878 წელს სან-სტეფანოს ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის იმპერიაში შევიდა ბათუმის ოლქი, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობდა 12 ჰამშენური სოფელი. 1944 წლის ნოემბერში ჰამშენები ბერძნებთან, ქურთებთან და თურქ-მესხებთან ერთად აჭარიდან იყვნენ დეპორტირებულნი ყირგიზეთში და ყაზახეთში, როგორც «არასანდო მოსახლეობა». 1956 წელს ისინი გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული ზედამხედველობისაგან , თუმცა ისინი აღარ დააბრუნეს იქ, საიდანაც გადაასახლეს.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ერთაშორისი კონფლიქტის შედეგად, შუა აზიიდან 200 ჰამშენური ოჯახი გაიქცა და დასახლდა კრასნოდარის მხარეში.

1980-იანი წლების ბოლოს ყაზახეთის ჰამშენებმა გთხოვნით მიმართეს საბჭოთა კავშირის მთავრობას სომხეთში ჩასახლების თაობაზე. თხოვნაზე მათ უარი მიიღეს, რადგან გაჩნდა შიში სომხეთში ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობს შორის შესაძლო კონფლიქტთან დაკავშირებით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზეთში მცხოვრები სომხების საკითხი. სომხები აფხაზეთში შუასაუკუნეებიდან ცხოვრობდნენ, თუმცა იქ მათი მასობრივი ჩასახლება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოდან, სომეხთა გენოციდის შემდეგ. აფხაზეთში სომხები გადადიოდნენ ისტორიული ჰამშენის ოლქიდან, ამიტომაც აფხაზები სომხებს ჰაშენებს ეძახიან. 1879 წელს ბიჭვინთის სანაპიროზე გადმოსხეს პონტოელი სომხების ერთი ჯგუფი ოსმალეთის იმპერიის ტრაპზონის რაიონიდან. მას შემდეგ აფხაზეთში სომეხთა რაოდენობა თანდათან მატულობს. დღეს სოხუმის რაიონში სომხები შეადგენენ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ ისინი გაგრისა და გიულრიფშის რაიონებში. სომხური არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, აფხაზეთში სომეხთა რიცხვი შეადგენს 70 ათას კაცს, რაც საერთო მოსახლეობის 31-45% შეადგენს. სოხუმში გამოდის გაზეთი „ჰამშენი“.

ამდენად, ჰამშენების საკითხის კომპლექსური კვლევა მნიშვნელოვანი და საინტერესოა ენობრივი და ეთნიკური წარმომავლობის თვალსაზრისით, მით უფრო რომ ერთი მოსაზრებით, ჰამშენები გასომხებული მუსლიმი ლაზები არიან. არა ნაკლებ

საინტერესოა ჰამშენთა ენის, რელიგიისა და წეს-ჩვეულებათა შესწავლა, რადგან ისინი ორი კულტურისა და რელიგიის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

ჰამშენთა საკითხის კვლევა საინტერესოა ასევე კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ კონტექსტში. სამომავლოდ, ცალკე საკვევ საკითხად მიგვაჩნია საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობის (ძირითადად ჰამშენების) გაჩენის ისტორია, მათი ენისა და რელიგიის თავისებურებები, მათი კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ჰამშენურ და სომხურ ორგანიზაციებთან, მათი დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ და სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, მათი გავლენა და როლი აფხაზეთში და კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

ნიკოლოზ ოვსიანიკოვი

კიმ კი-დუკი და მისი ავტობიოგრაფიული შემოქმედება

“მინდა შევქმნა ისეთი ფილმი, რომელიც ჯერ არავის გაუკეთებია – რომელიც არ გაკეთებულა და რომელსაც სხვა ვერავინ გადაიღებს.”- აღნიშნავდა კორეული კინოსამყაროს და , არამარტო სამხრეთ კორეის, მსოფლიოს დანაკარგი, კიმ კი-დუკი. იგი 2020 წლის ნოემბერში ემსხვერპლა კორონავირუსს. არ ვიცით, რას ფიქრობდა სიცოცხლის ბოლო წუთებში, სწყდებოდა გული იმაზე, რომ მიზანი ვერ განახორციელა, თუ გულის სიღრმეში სწამდა, რომ შეძლო ასეთი ფილმის შექმნა. მაგრამ, ცხადია, კიმ კი-დუკის მსგავსი ფილმები არავის არშეუქმნია.



კიმ კი-დუკი 1960 წელს კენსან-პუქტოს პროვინციაში დაიბადა, ცხრა წლამდე აქ იცხოვრა და როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს იყო ბუნებაში ცხოვრების საუკეთესო პერიოდი. 9 წლის ასაკში ოჯახთან ერთად სეულში გადავიდა. საშუალო განათლება არ მიუღია, როცა 15 წლისი იყო, ქარხანაში დაუწყია მუშაობა, უფრო სწორად, მამამ აიძულა აქ ემუშავა, არადა კიმს ძალიან უყვარდა ხატვა და უნდოდა ამ სფეროს გაჰყოლოდა, მაგრამ მამა ხშირად სცემდა ამის გამოც და, როგორც ვხედავთ, თითქოს გამოსავალი იპოვა, შვილს ოცნება წაართვა და ქარხანაში გაამწესა, უნდოდა სამუდამოდ იქ დარჩენილიყო და რამე თანამდებობაც მიეღო, მაგრამ კიმი სულ ეწინააღმდეგებოდა ამას. იქ ქმნიდა ელექტროობასთან დაკავშირებულ ნივთებს, შემდეგ კვლავ ქარხანაში მუშაობდა, ამჯერად, იქ მანქანებისგან ჯართს აკეთებდნენ. გამოდის, რომ 15-21 წლამდე ქარხანაში იყო და ახლაგაზრდობის მშვენიერი წლები შავ მუშად ყოფნას შესწირა, 21-26-მდე ჯარში მსახურობდა, 26-30 წლამდე – ეკლესიაში, სპეციალური ეკლესია ყოფილა ბრმებისათვის. 30-32 წლის ასაკში პარიზში წავიდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ დროს 2-ჯერ მოუწია ევროპაში მოგზაურობა და ეს იყო ყველაზე დამამახსოვრებელი. რადგან ეს იყო დრო, როდესაც პირველად ნახა კინო. როცა დაიწყო მასალის შეგროვება და ფიქრი იმაზე, რომ რაღაც უნდა გადაეღო.

ევროპაში წასვლა რომ გადაწყვიტა, ეს უკვე დიდი ნაბიჯი იყო, რადგან არ იცოდა ენა, არ ჰქონდა ფული. თავს თავისი მხატვრობით ირჩენდა, ქუჩაში ხალხს ხატავდა. მაგრამ ეს არ იყო მისთვის ცუდად გასახსენებელი პერიოდი, რადან ბევრი რამ დაამახსოვრდა და, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას ეს იყო საწყისი კიმ კიმ-დუკის, როგორც რეჟისორისად ჩამოყალიბებისა. რადგან 30 წლამდე არანარი ფილმი არ უნახავს და როგორც თვითონ ერთ-ერთ ინტრვიუში აღნიშნავს: „მახსოვს პირველი ფილმები: ენტონი ჰოპკინსის მონაწილეობით “კრავთა დუმილი” და ლეო კარაქსის “შეყვარებულები პონტ ნოფიდან”. ამ ორმა ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამის შემდეგ დავიწყე ფილმების ყურება და აღმოვაჩინე: ემირ კუსტურიცა, შოჰეი იმამურა – ყველაფერი, რამაც კინოინდუსტრიაზე გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა.“2 ეს ის ფილმებია, რომლებშიც შეიძლება ის ძირითადი მარცვლებიც აღმოვაჩინოთ კიმის კინოსამყროს რომ ქმნიან.

კიმ კი-დუკის ცხოვრებიდან ასევე უნდა აღვნიშნოთ ერთი ისტორია, კერძოდ, ერთ-ერთი მსახიობი ქალი მას ადანაშაულებდა და უჩივლა კიდევაც, რომ კიმმა იძალადა მასზე მას შემდეგ, რაც უარი თქვა ერთ-ერთი როლის შესრულებაზე, ამგვარი საჩივარი კიდევ შევიდა სხვა ქალი მსახიობების მხრიდანაც და ერთი შემთხვევა არ ყოფილა მხოლოდ. კიმმაც შეიტანა სასამართლოში საპასუხო სარჩელი, თუმცა უშედეგოდ. ერთ წელიწადში რეჟისორი ხუთი მილიონი კრონით დაჯარიმდა, თუმცა სექსუალური შევიწროვება არ დადასტურდა.

ასეთია კიმ კი-დუკის ბიოგრაფიის ზოგადი სურათი, რომელიც დაგვეხმარება მისი ფილმების ყურებისას ყველგან დავინახოთ რეჟისორის სული. ვეცდები წარმოგიდგინოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ ხელოვანი ვერ შექმნის ისეთს, რაც მას არ ეხება მეტ-ნაკლებად მაინც. დასაწყისში მოვიხმობ თავად კიმის სიტყვებს, თავისი ცხოვრების შესახებ აღნიშნავს: „ჩემს ცხოვრებაში ოთხი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო, რომელმაც ბევრი რამ განსაზღვრა: პირველი – რაც ბავშვობას და ბუნებას უკავშირდება, მეორე – ქარხანაში მუშაობას, მესამე – ჯარს და მეოთხე – ევროპას. ცხოვრება ეტაპებივითაა.“ ახლა კი ვნახოთ ეს ეტაპები აისახა თუ არა ფილმებში.

სანამ კონკრეტულ ფილმებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ ზოგადად როგორია კიმის ფილმები. ფილმებში შევხვდებით რელობისა და ილუზიის ორაზროვან და ორიგინალურ გააზრებას. დროის დაყოფა მის ფილმებში პირობითადაც კი არ არსებობს, წარსული, აწყმო, მომავალი თითქოს ერთიანი, უსასრულოა. იქნება გაურკვევლობის განცდაც, მაგრამ მაინც „ჰარმონიული ქაოსი“. ფილმები სრულდება ისე, რომ მაყურებელი არ არის ბოლომდე კმაყოფილი, უჩნდება კითხვები, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის მთავარი, კიმის შემოქმედება ადამიანებს აძლევს ფიქრის საშუალებას. მისი, როგორც რეჟისორის მიზანიც ეს არის, როგორც თავად აღნიშნავს: „რეჟისორი არ უნდა ხსნიდეს ყველაფერს, ჩემთვის კინო არის იმ შეკითხვების ფორმა, რომლებსაც მე ვბადებ მაყურებელში... ამიტომაც, ჩემს ფილმებს არ აქვთ ერთი პასუხი, პასუხი ვითარდება და იცვლება მუდმივად“. ასეთია რეჟისორის სურვილი და, ვფიქრობ, ეს მართლაც გამოსდის.





ახლა კი დავიწყოთ, თუ როგორ აისახა ცხოვრებისეული ეტაპები ფილმებში. კიმი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამბობს, რომ პირველი 9 წელი ბუნებასთან იცხოვრა, ამიტომ, ცხადია, ეს გარკვეულ როლს ითამაშებდა მის ცხოვრებაზე, იგი აღნიშნავს: „"ჩემთვის ღმერთი ბუნებაა; ბუნება, რომელსაც ვხედავთ თვალებით და ბუნება, რომელსაც ვგრძნობთ გულით. ბუნებაა ყველაზე დიდებული და აბსოლუტური მათემატიკა, მეცნიერება, ფილოსოფია და თეოლოგია". პირველი, რაც ბუნების თანაზიარობასთან დაკავშირებით გაგვახსენდება, არის ფილმი „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ზამთარი და ისევ გაზაფხული“, სადაც საოცარი სურათებია. მთელი ფილმის მოქმედება ბუნებაში ვითარდება და ადამიანის ცხოვრების ფაზებივით იცვლება წელიწადის დროები. ამბობს: "ჩემთვის ცხოვრება არის ციკლი, როგორც დროის ცვალებადობა: შემოდგომა, ზამთარი... ტკივილი,სიყვარული... წვიმა, თოვლი... მწუხარება, სიხარული, სიკვდილი... ხომ არაფერი არ არის მუდმივი, აქაც ასეა."6 ფილმში მოთხრობილია ბერისა და მისი მოწაფის ისტორია. გაზაფხული უკავშირდება ამ მოწაფის პირველ ნაბიჯებს, ბავშვი ცოდვის სამყაროში დგამს პირველ ნაბიჯებს, ბერი კი ასწავლის მას სხვისი ტკივილი გაზიარებას (თვალწინ გვეშლება სცენა, როგორ დადის ქვამოკიდებული ბავშვი მას შემდეგ, რაც თვითონ უკეთებდა ცხოველებს იმავეს) და ბუნებასთან თანაზიარობას. ზაფხული, როცა ყველაფერი მაღალ წერტილამდე ადის, ჯერ უნდა გამოსცადო ცოდვა, რომ შემდეგ შეძლო მისი დამარცხება. შემოდგომა - პერიოდი, როცა უკვე არსებული იწყებს კვდომას. ზამთარი ეს არის დაძლევის ეტაპი, მთავარი გმირი ადის ქვამოკიდებული მთის წვერზე და იმარჯვებს მიწიერზე, რასაც მოჰყვება გაზაფხული- მოწაფე თავად ხდება ბერი და სხვა მოწაფე მიებარება. ამ ფილმში არ არის არც ძალადობის სცენები და არანაირი პესიმიზმი. თითოეული ეპიზოდი კონცენტრირდება ბუნების ესთეტიკასა და რელიგიაზე. მთავარი ცენტრი კი არის ტბა, რომელიც ყოველ ცვლილებას აირეკლავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი კორეული კინოსამყაროს ერთ-ერთი შედევრია, რომელშიც კარგად აისახა კიმის სიყვარული ბუნებისა და აქ ცხოვრების, ბავშვობის, მშვენიერი წლები.

კიმის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია მხატვრობას. ამიტომ, ესეც, რა თქმა უნდა, გაკრვეულ როლს ითამაშებდა ფილმებზე. აღნიშნავს: „ჩემთვის ნახატებიცა და ფილმებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია. მაგრამ თუ ფერწერულ ტილო არ შეძლება ფილმს შეიცავდეს, ფილმს თავის თავში შეუძლია უამრავი ნახატი გააერთიანოს. სწორედ ამიტომ მივიჩნევ კინემატოგრაფს საკუთარი იდეების, აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად უფრო მოსახერხებელ საშუალებად“7. და ამიტომაც, კიმის თითოეული სცენა საოცრად მხატვრული და დახვეწილია, გარდა ამისა, მისი პირველი ფილმების უმრავლესობაში ("ნიანგი" (Ag-o) 1996, "ველური ცხოველები" (Yasaeng dongmul bohoguyeog) 1997, "სასტუმრო გალია" (Paran daemun) 1998, "ნამდვილი ფიქცია" (Shilje sanghwang) 2000, "მისამართი უცნობია" (Suchwiin bulmyeong) 2001) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი მხატვარია. ასევე, მისი მთავარი პერსონაჟის ბავშვობა ფილმიდან „სუნთქვა“ ძალიან , ჰგავს კიმის ბავშვობის იმ მომენტებს, როცა მას უშლიდნენ დაეხატა.

მეორე ეტაპად კიმი ქარხანაში მუშაობის პერიოდად მიიჩნევს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს იყო შავ მუშად ყოფნის აუტანლობა. ერთ-ერთი ფილმში შავი მუში ბედი აისახა, ეს ეხება ფილს, „პიეტა“. ეს ფილმი მოგვითხრობს მოძალადე კაცზე, რომელზეც მისი ერთ-ერთი მსხვერპლის დედა იძიებს შურს. თუმცა ყველაზე საოცარი მომენტი ის არის, რომ ამ ქალს თავისი შვილის მკვლელი ებრალება. ამიტომაც უწოდა ამ საოცარ ფილმს რეჟისორმა პიეტა, ანუ თანაგრძნობა და ალბათ ფილმის სახელის გაგონებისთანავე გაგვახსენდება მიქელანჯელოს „პიეტა“ და ეს მხოლოდ ასოციაცია არ არის, რეჟისორის

შთაგონების წყაროცაა, აღნიშნავს: „მეტწილად შთაგონებული ვიყავი მიქელანჯელოს ქანდაკებით „პიეტა“. ჩემთვის მარიამი, რომესაც ხელში ქრისტე უჭრავს, თითქოს მთელი სამყარო უჭირავს, ჩვენი თანამედროვე საზოგადოება.“

კიმი აღნიშნავს, რომ ფილმი „პიეტა“ მისთვის ძალიან პირადულია, რადგან დიდი ხანი თვითონაც შავი მუშა იყო. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს : „ მთლად ისეთი ცხოვრება არ მქონდა, როგორიც "პიეტის" გმირს აქვს. მაგრამ სხვა ბავშვების მსგავსად სკოლაში არ დავდიოდი. ფილმის ფონზე ის რაიონია, რომელშიც მე თვითონ, როგორც ბიჭი, ქარხანაში ვმუშაობდი. და გამოცდილება, რომელიც მაშინ მივიღე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩემს დღევანდელობას, ჩემი დამოკიდებულებას ცხოვრებისა და სამყაროს მიმართ.“

კიმ კი-დუკის ცხოვრებაში შემდეგი ეტაპი იყო ჯარში მსახურება. როცა ჟურნალისტი ეკითხება, მოახდინა თუ არა ამან ფილმებზე გავლენა, პასუხობს: „5 წელი ვიყავი საზღვაო არმ იაში, აქ ყოფნის დროს შევხდი უამრავ ადამიანს, გავიგე დანაშაულების, იდეოლოგიის, სხვადასხვა რამის შესახებ, ამან დამაბნია. ვიწვრთნებოდი ჩდილოეთ კორეიის წინააღმდეგ, მას შემდეგ კი, რაც იქიდან წამოვედი, დავინახე სიმართლე და ყველაფერი ჩავაქსოვე კინოში“10 ავტობიოგრაფიული ელემენტები ჩანს ფილმში "მისამართი უცნობია", აქ კი-დუკმა უკვდავყო თავისი ერთადერთი მეგობარი. ფილმში აღწერილია კოლონიალიზმითა და ომებით გადაღლილი ქვეყნის ახალგაზრდების ისტორია. კორეის პოლიტიკური რეალობა დავინახეთ ასევე ფილმში "სანაპიროს მცველში", რომლის მთავარ გმირს ჯაშუშის ნაცვლად ადგილობრივი მკვიდრი შემოაკვდება. კიმი ადამიანთა პირადი ტ/რაგედიების ფონზე წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურსა თუ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკას.

კიმის ცხოვრების შემდეგი ეტაპი უკავშირდება გადასაღებ მოედანზე მომხდარ ერთ შემთხვევას. ფილმის “ოცნების” გადაღებებზე, კინაღამ მსახიობი შემოაკვდათ. გმირი თოკზე ჩამომხრჩვალი უნდა გადაეღოთ, მაგრამ, ქალი ცუდად გახდა გული წაუვიდა და მკვდარი ეგონათ. ამის შემდეგ დიდხანს იჯდა და ტიროდა. კიმ კი დუკი, რეჟისორი, რომელიც მომდევნო ფილმის სცენარს, წინა ფილმის მონტაჟის დროს წერდა ხოლმე, 3 წელი დუმდა და არაფერი გადაუღია. ამ დუმილის შემდეგ დოკუმენტური ფილმით „არირანგით“ დაუბრუნდა კინოსამყაროს. თავად ამბობს, რომ „არირანგი“ დრამაა, მაგრამ ფაქტია რომ ეს მეტად ავტობიოგრაფიულია. ფილმის სათაური სევდიან სიმღერას ნიშნავს და მაყურებელს იმის შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ სიმღერაში ეტევა რეჟისორის ცხოვრება. ეს 100 წუთიანი ფილმია, რომელშიც მთავარი პერსონაჟი უსვამს შეკითხვებს თავის თავს. „კორეული სევდიანი მელოდიაა – არირანგი. ტირის, ბავშვივით ქვითინებს...

გეუბნება, რომ ის არაფერი, არარაობა იქნებოდა, რომ არა შენ! მისი მაყურებელი! მერე ისევ ადუღებს ყავას და თავის მაკში თავის თავზე გადაღებულ მასალას უყურებს. ისევე, როგორც მისი კინოები, ეს დრამაც მოულოდნელად მთავრდება. თავის ტკივილს, საკუთარი ხელით გაკეთებული იარაღით კლავს.“11. კიმის მგრძნობიარე ხასიათი შეიგრძნობა ამ ფილმით, რომელიც, ფაქტობრივად, რეჟისორის აღსარებაა. აქ ის თავის სამწლიან დეპრესიას ხსნის.

ამ ფილმის შემდეგ იყო ვროპაში გადაღებული "ამენი", რომლიც შეიძლება მივიღოთ, როგორც კიმის მცდელობა ხელახლა განეცადა ის, რამაც თავის დროზე საკუთარ თავში კინორეჟისორი აღმოაჩენინა.

2013 წელს გადაღებულ ფილმში „ Moebius“ ჩო ჯაე-ჰიუნი თამაშობს, მისი პირველი ფილმების სახე, რომელსაც 2001 წლის შემდეგ აღარ მიუღია მის კინოში მონაწილეობა. ეს შეიძლება მივიღოთ როგორც კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ კიმ კი-დუკის კინო განვითარების ახალ ფაზაში გადადიოდა.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, კიმ კიმ -დუკის კინოსამყარო არის ძალაინ დახვეწილი და მეტად ავტობიოგრაფიული. მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი განათლება ამ სფეროში არ მიუღია, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამას ხელი არ შეუშლია. მისი ფილმები უმრავი ჯილდოს მფლობელია. ვუყურებთ ფილმებს და ვხდებით, რომ რაღაც განსხვავებულს მოვკიდეთ ხელი, აი, ეს არის სწორედ მისი ინდივიდუალიზმი რაც ხიბლავს მსოფლიოს.

კაზეიშვილი მეგი

მეჩეთის არქიტექტურის ევოლუცია

ისლამი თავისი მნიშვნელობით ახლოს დგას სიტყვებთან იმან (რწმენას) და დინ (რელიგიას). მუსლიმებს რწმენის განმტკიცებასა და სულიერი სიმშვიდის პოვნაში ეხმარებათ მეჩეთი, იგივე მიზგითი, სადაც მამაკაცები და ქალები სალოცავად სხვადასხვა დღესა და ადგილას იკრიბებიან. ბუნებრივია, რომ სალოცავი სახლის როლი მუსლიმი მორწმუნეების ყოველდღიურ ყოფაში უმნიშვნელოვანესია.

შეიძლება ითქვას, რომ მეჩეთის სრული არქიტექტურული სახე VII-VIII საუკუნეში ომაიანების დროს ჩამოყალიბდა. რაც შეეხება მუსლიმების მეჩეთების მშენებლობას,

იწყება ხალიფების სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ. პირველი მეჩეთი კი მოციქულმა მუჰამადმა ჰიჯრის (გადასახლების) შემდეგ ააშენა 623 წელს, მანამდე კი ისლამს თავისი სახლის ეზოში ქადაგებდა.

როდესაც წარმოვიდგენთ მეჩეთის თვალისმომჭრელ არქიტექტურას, პირველი გვახსენდება მეჩეთის ოთხკუთხა ფორმა, ნაგებობის თავზე გუმბათები, მინარეთები (კოშკები), სადაც მუეძინი ქადაგებს და მორწმუნეებს მოუწოდებს ლოცვისკენ. უნიკალური ნაგებობის იატაკი შემკობილია ხალიჩებით, რომლებზეც გამოსახულია მხატვრული ორნამენტები. მეჩეთში შესვლისას აუცილებელია ფეხსაცმლის გახდა, ლოცვის წინ კი ფეხების განბანვა აუზში.

აღსანიშნავია, რომ მორწმუნე ლოცვის დროს სახით უნდა იყურებოდეს მექისკენ, ამ მიმართულებას კი აჩვენებს მიჰრაბი. მიჰრაბის მარჯვენა მხარეს მდებარეობს მინბარი, სადაც სასულიერო პირი ქადაგებს.

ცნობილია, რომ მეჩეთთან ახლოს იყო უფასო სასწავლებლები, ბიბლიოთეკები, სასადილოები, სადაც გაჭირვებულს შეეძლო უფასოდ დაპურება.

მართლაც საოცარია ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში აშენებული მეჩეთები დღემდე დიდ აღფრთოვანებას იწვევს მნახველებში.

უძველესი დროიდან მეჩეთების





ინტერიერი



შემკული იყო ჩუქურთმებით. ისლამური არქიტექტურის შედევრების მოსართავად მშენებლები მდიდრულად მოხატულ კერამიკულ ფილებს იყენებდნენ. მოჭიქული თიხის ფილების ერთობლიობა გეომეტრიულ ორნამეტს ქმნიდა. შემდეგ კი აქტიურად იყენებდნენ მოჭიქულ აგურსა და დიდ ოთხკუთხა ფილებს. არაბული კალიგრაფიით მოხატულ კედლებს სხვადასხვა ისლამური არქტექტურის ნიმუშებში ხშირად გადავაწყდებით. შეიძლება ითქვას, რომ მხატვრობა არ განვითარებულა, ისლამი კრძალავდა ადამიანისა და ცხოველის გამოსახვას: რადგან ეს ყოველივე ღმერთის შექმნილია, არ გაქვს უფლება შენი შემოქმედებით ღმერთს გაუტოლდე. ცნობილია, რომ ეს აკრძალვა დროთა განმავლობაში ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში შერბილდა. ფერწერამ კი გარკვეულწილად მოიკიდა ფეხი.

ერთ-ერთი პირველი მეჩეთი ალ მასჯიდ ალ -ჰარამი, მდებარეობს მექაში, საუდის არაბეთში. საკულტო სახლის მშენებლობა დაახლოებით 638 წელს უნდა დაწყებულიყო. ასევე, მისი არქიტექტურა დროთა განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველი იერისგან მცირე რამ არის შემორჩენილი. ცნობილია, რომ თავდაპირველად მეჩეთს ექვსი მინარეთი ჰქონდა, შემდეგ სტამბოლის ცისფერ მეჩეთსაც ექვსი მინარეთი აუგეს, მექის იმამმა ეს აკრძალული მეჩეთის უნიკალურობის შებღალვად მიიჩნია. სულთანმა აჰმედმა კი მეჩეთში მეშვიდე მინარეთი ააგო. დღესდღეობით მთავარ მეჩეთს 9 მინარეთი აქვს, რომელთა სიმაღლე 89 მეტია.

ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ცენტრია ყუბას მეჩეთი, რომელიც აშენდა 1802 წელს. ეს არის პირველი სალოცავი სახლი, რომლის ზუსტი დათარიღებაც შესაძლებელია და აღწერილია ყურანში. მშენებლის ვინაობას მიჰრაბის თავზე გაკეთებული წარწერა იუწყება. ცნობილია, რომ ის 1217 წელს ჰაჯი ისმაილის შვილმა ჰაჯი ნასირულაჰმა ააშენა. მოვლენების განვითარებას თუ მივყვებით, გავიგებთ, რომ ბოლშევიკებმა ჯუმა-მეჩეთის შენობის საწყობად გამოყენება გადაწყვიტეს. საბედნიეროდ, 90-იან წლებში, როდესაც აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მეჩეთში ისევ გაგრძელდა ქადაგება. აღსანიშნავია, რომ აშენდა 41 მეტრი მინარეთი. ღვთისმოსაობით აგებული მეჩეთის გეგმა დაწახნაგებულ ცილინდრს მოგვაგონებს. თავზე 16 მეტრის დიამეტრის გუმბათია აშენებული. ეს საკულტო სახლი გამორჩეულია დიდი დარბაზით, რომელსაც, ჩვენდა გასაოცრად, სვეტები არ აქვს, რაც არქიტექტორის მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს. მეჩეთის ასაგებად გამოყენებული ძირითადი მასალებია: აგური, ფქვილი, კვერცხის ტემპერა და კირქვა.

ეს თვალისმომჭრელი მეჩეთი

სტამბოლის მშვენებაა, რომელიც ცნობილია, როგორც სულთან აჰმედის მეჩეთი, ასევე იხსენიება როგორც ცისფერი მეჩეთი, მისი ინტერიერიდან გამომდინარე. მეჩეთი კუბის ფორმისაა, მისი უნიკალურობა, სწორედაც რომ, ექვსი ნემსის ფორმის მინარეთშია. სულთან აჰმედის ბრძანებით იგი 210

000 ფილით შეამკეს. სალოცავი სახლის ჭერი მოჩუქურთმებულია 20 000 იზნიქის ფილით, რომელზეც გამოსახულია ყვავილები და ხეები. შიგნიდან ინტერიერი ლურჯი ფილებითაა გაფორმებული, სწორედ აქედან მომდინარეობს მისი სახელი.

ომაიადის მეჩეთი აშენდა 715 წელს , იგი ასევე მოიხსენიება დამასკოს დიდ მეჩეთად. მეჩეთი ააგო ხალიფა ალ-ვალიდ პირველმა. მეჩეთის სალოცავი დარბაზი შექმნილია როგორც ადრეული ქრისტიანული ტიპიური ბაზილიკა, რომლის სიგრძე 130 მეტრია. იგი ძირითადად აგებულია ინდივიდუალურად, მოჩუქურუთმებული ქვის ბოძებით. აღსაღნიშნავია, რომ სწორედ ამ საკულტო ცენტრში ააგეს პირველად მინარეთი. შემდეგ კი ორი მინარეთი კიდევ დაამატეს დამასკოს მეჩეთს. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ისლამური და ბიზანტიური სალოცავი სახლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში .

ხალიფა ალ ვალიდ პირველმა თქვა : „ოთხი რამ არის, რომლითაც თქვენ დანარჩენი სამყარო მაღლა დგახართ: თქვენი კლიმატი, წყალი, ხილი და აბაზანები. ამას მე მინდა დავამატო მეხუთე -მეჩეთი. ”

სოფიკო ბაშელეიშვილი

რელიგია

შინტო - ღმერთების გზა

გლობალურ სივრცეში აღმოსავლეთით დაინტერესება ყოველთვის აქტუალური იყო. იაპონიის შემთხვევაში ცნობისმოყვარეთა ინტერესის დაკმაყოფილებას იზოლაციის პოლიტიკა საკმაოდ დიდხანს უშლიდა ხელს, მაგრამ ამ ეტაპის დასრულების შემდეგ იგი დღითიდღე სულ უფრო მეტად ექცევა ყურადღების ქვეშ.

ნებისმიერი ერის ბუნებას, კულტურას, ისტორიას და ინტერესსაც კი, ყველაზე უკეთ მისი რელიგია წარმოაჩენს. იაპონია რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, თუმცა უმთავრესი ადგილი შინტოიზმს უჭირავს. შინტო საკუთრივ იაპონური რელიგიაა. იგი საკმაოდ პოპულარულია იაპონელ ხალხში. სიტყვა შინტო „კამის გზას ნიშნავს.“ გამოდინარე იქიდან რომ „კამი“ უზენაესი, აღმატებული, ზეციური ან წმინდა არსებაა, შინტოს ხშირად ღმერთების გზასაც უწოდებენ.

შინტოიზმის საწყისის შესახებ ბევრი რამ უცნობია. მას არ ჰყავს დამფუძნებელი, არც სპეციალურად შინტოსათვის შექმნილი წმინდა წერილები არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შინტომ საკუთარი თვითმყოფადობა საუკუნეების მანძილზე მტკიცედ შეინარჩუნა.

შინტო პირობითად და ძალიან უხეშად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ: „სალოცავი შინტო,“ „სახალხო შინტო“ და „სექტა შინტო.“ უნდა ითქვას რომ შინტოს ეს ტიპები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. პირველი მათგანი სალოცავი, იგივე jinja shintõ, შინტოიზმის, როგორც იაპონური ტრადიციის მთავარ მიმდინარეობას წარმოადგენს. მის საწყისად ისტორიის დასაწყისი ითვლება(იგულისხმება იაპონიის ისტორია). სახალხო შინტო(minzoku shintõ) იაპონურ ხალხურ რწმენაზე დამყარებული მიმდინარეობაა. იგი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ხასიათის რელიგიური რიტუალების ჩატარებაზე და მცირე ზომის გზისპირა გამოსახულებების თაყვანისცემაზე. სექტა შინტო(kyõha shintõ) შედარებით ახალი მიმდინარეობაა. იგი 13 ძირითადი და კიდევ რამდენიმე სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი

სექტისაგან შედგება. ამ სექტების ნაწილი მე-19 საუკუნეში, ნაწილი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდა იაპონიაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „სალოცავი შინტოს“ საწყისად ისტორიის დასაწყისი ითვლება, თუმცა პალეოლითისა და ნეოლითის ხანის იაპონიის რელიგიური ყოველდღიურობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ამიტომაც, მიიჩნევა რომ, იმ პერიოდის რელიგიას დღევანდელ შინტოიზმთან ბევრი საერთო არ უნდა ჰქონოდა. ის უფრო შამანიზმსა და მაგიასთან ურთიერთობას წააგავდა, შესაბამისად იაპონური რელიგიის საწყისს მაგიური რიტუალები წარმოადგენდა, რომელმაც თანდათან დღევანდელი შინტოს სახე მიიღო.

ძველად შინტოიზმში სამყაროს ორნაირი აღქმა არსებობდა. პირველი სამგანზომილებიანი იყო, რომლის მიხედვითაც სამყარო სამ ნაწილად იყო დაყოფილი. მაღლა იყო კამთა სამყოფელი-„ტაკამა ნო ჰარა“ იგივე სამოთხე. შუაში-„ნაკატსკუუნი“ შუა ქვეყანა, ანუ სამყარო რომელშიც ცხოვრობ და ბოლოს, „იომი არა კუნი“ სამყარო სიკვდილის შემდეგ. მეორე აღქმა ორგანზომილებიანია, მასში მხოლოდ „ეს სამყარო“ და მარადიული ქვეყანა- ტოკოიო არსებობს. სამყაროსადმი ასეთი ხედვა იაპონიის მოსახლეობაში დომინანტად იქცა.

შინტოს ქრისტიანობის ან ისლამისგან განსხვავებით არ აქვს რაიმე ოფიციალური წმინდა წიგნი, თუმცა „იაპონიის ქრონიკები“(ნიჰონ შოკი) და „უძველესი საკითხების ჩანაწერები“(კოჯიკი) ნაწილობრივ შეიძლება განვიხილოთ როგორც შინტოს წმინდა წიგნები. ეს წიგნები წარმოადგენენ შინტოისტური ზეპირი ტრადიციების კრებულს, მაგრამ ამავდროულად მათში საუბარია ძველი იაპონიის ლიტერატურის, ისტორიისა და ტოპოგრაფიის შესახებაც. იგი გაჯერებულია სხვადასხვა მითებით, რომლებზეც ჩინური სამწერლობო სტილის გავლენა მკაფიოდ იგრძნობა. იაპონური მითოლოგიის გულს მზის ქალღმერთი - ამატერასუ იმიკამის შესახებ მოთხრობილი ამბები წარმოადგენს. ეს არის ისტორია იაპონიის საიმპერიო სახლის შთამომავლებისა და კამების გაერთიანების.

იაპონური მითოლოგიის თანახმად თავდაპირველად სივრცეში რამდენიმე კამი უბრალოდ გაჩნდა. იაპონიის შემქმნელად წყვილი კამი - იზანამი და იზანაგი ითვლება, რაც შეეხება იმპერატორს, იგი ამატერასუს მემკვიდრედ არის მიჩნეული. გადმოცემის თანახმად, ამატერასუმ თავისი შთამომავალი ჯიმუ იმპერატორად აქცია და სამი წმინდა საგანძური: მახვილი, სარკე და იასპი გადასცა. მათ სიმბოლური დატვირთვა აქვს: მახვილი მთვარისა და ძლიერების სიმბოლოა, სარკე მზისა და ღვთაებრიობის, ხოლო იასპი ელვის და ქვეშევრდომთა ერთგულების.

შინტოში ღვთაებები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ერთ-ერთი მოძღვრების თანახმად, ადამიანის ცხოვრების მიზანიც სწორედ თანამშრომლობა უნდა იყოს, როგორც სხვა ადამიანებთან, ასევე ღმერთებთან.

მიიჩნევა, რომ კამის ნების შესაბამისად ცხოვრების შემთხვევაში წარმოიქმნება უდიდესი მაგიური ძალა, რომელიც იცავს ადამიანს. შინტოში ცხოვრების მიზანს „ჭეშმარიტი ან ჭეშმარიტების გულის“ (makoto no kokoro, magokoro) მიღწევა წარმოადგენს რაც, სუფთა გულით, გულწრფელობით, სიმართლის გზით ცხოვრებას ნიშნავს. ძველ წარწერებში „მაგოკოროს“ განმარტებად “ნათელი და სუფთა გონება“ მიიჩნეოდა. მის მისაღწევ ერთ-ერთ გზად განწმენდა ესახებოდათ. განწმენდა იყო როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური. განწმენდის მნიშვენლობა თანამედროვე შინტოშიც ხაზგასმულია. გონების განწმენდით ადამიანს ეძლევა საშუალება დაამყაროს კამთან კავშირი და მიიღოს მისი კურთხევა.

შინტოს ერთ-ერთი მახასიათებელი „უწყვეტობაა.“ მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები თითოეულ ადამიანს აღიარებენ როგორც ცალკეულ ინდივიდს, არ თვლიან,

რომ ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებულები არიან. ადამიანი განიხილება როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, უწყვეტი ისტორიით, რომელიც მოდის წინაპრიდან, გრძელდება შთამომავლობაში და ეს ხაზი მარადიულია, რადგანაც შინტოში ხდება ისტორიის მუდმივი გამეორება, ეს ყველაფერი კი დაუსრულებელ ციკლს ქმნის. შესაბამისად, შინტოიზმში არ არსებობს „ბოლო ჟამი." სამყაროს და ადამიანის ისტორიას დასასრული არ აქვს.

რაც შეეხება შინტოისტურ რიტუალებს, უნდა ითქვას, რომ შინტოში ყოველკვირეული რელიგიური მსახურება არ გვხვდება, ხალხი თავისი სურვილისებრ სტუმრობს სალოცავებს. ტაძრებში დღესასწაულებზე და ყოველი თვის 1 და 15 რიცხვში ტარდება სხვადასხვა რიტუალი. ერთ-ერთი ასეთია ახალშობილის პირველი ვიზიტი ტაძარში, მის მეურვე კამთან. ეს რიტუალი ბავშვების დაბადებიდან 30-100 დღის შემდეგ ტარდება. ცერემონიის დასრულების შემდეგ ბავშვი შინტოს მიმდევრად ითვლება. 15 იანვარი მოზრდილთა დღეა, ამ დღედ ყველა, ვინც 20 წლისაა, უერთდება ადგილობრივ ახალგაზრდულ ასოციაციას. არსებობს „შვიდი-ხუთი-სამი"(ში ჩი-გო-სან) ფესტივალი, როდესაც 3 და 7 წლის გოგონები და 5 წლის ბიჭები მიდიან ტაძარში, რათა მადლობა გადაუხადონ კამებს და სთხოვონ ჯანმრთელობა. იაპონიაში არსებობს შინტოისტური საქორწინო ცერემონიაც, ამ დროს წყვილები კამების წინაშე დებენ ფიცს. რაც შეეხება დაკრძალვის ცერემონიალებს, იგი დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს და იშვიათობას წარმოადგენს. ამის მიზეზი ისაა, რომ იაპონიის მოსახლეობის უმეტესობა ერთდროულად შინტოს და ბუდიზმის მიმდევარია, ამიტომაც დაკრძალვის ცერემონიები უმეტესად ბუდისტური სტილისაა. ყოველწლიური ფესტივალებიდან აღსანიშნავია რეი-საი („ყოველწლიური ფესტივალი") შინკო-საი („ღვთაებრივი მსვლელობა") აკი მაცური(შემოდგომის ფესტივალი) და ჰარუ მაცური ან ტოშიგო ნო მაცური (გაზაფხულის ფესტივალი).

შინტოისტური ტაძრები მეტად სადა და უბრალოა. ტაძრის შიგნით ღმერთების გამოსახულებებს იშვიათად თუ შეხვდებით, მაგრამ ხშირია სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებები, როლებიც ღმერთების წარგზავნილებად ითვლებიან. ტაძარი სამლოცველო დარბაზის(ჰაიდენი) და საკურთხევლისგან(ჰონდენი) შედგება. ჰონდენი და ჰაიდენი ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია შესაწირავის დარბაზთან ჰეიდენთან. დიდ ტაძრებს ასევე აქვთ დარბაზი საფესტივალო ცეკვებისთვის (კაგურადენი). საკურთხეველში დაცულია ტაძრის მფარველი ღვთაების სიმბოლო შინტაი ან მიტამა შირო, რაც შესაბამისად „კამის სხეულის“ ან „ღვთაებრივი სულის სიმბოლოს“ ნიშნავს. ჩვეულებრივ ეს სიმბოლო სარკეა, მაგრამ შეიძლება სარკის ნაცვლად ხმალი, ხის გამოსახულება ან რაიმე სხვა ობიექტი იყოს. იგი გახვეულია ნაჭერში და მოთავსებულია კონტეინერში. მისი ნახვა აკრძალულია.

თვითონ ტაძარი გრანდიოზულობით არ გამოირჩევა და მეტ-ნაკლებად მცირე ზომის ხის ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც ყოველ 20 წელიწადში იშლება და ხელახლა იგება. ეს ტრადიცია დიდი ხნის წინ იღებს სათავეს და მის თანახმად კამებისთვის ერთ ადგილზე დარჩენა მხოლოდ 20 წელია სასიამოვნო. თავდაპირველად შინტოს არ ჰქონდა სალოცავი შენობები. ფესტივალებზე ხალხი ხის სიმბოლოებს აყენებდა წმინდა ადგილებზე ან დროებით სალოცავებს აშენებდნენ კამების მოსაწვევად. ტაძრისკენ მიმავალ გზაზე განთავსებულია დიდი, უმეტესად წითელი თაღები, რომლებსაც თორიი ქვია, რაც ჩიტის ქანდარას ნიშნავს. იაპონიაში შეგიძლიათ ნახოთ სხვადასხვა სახის თორიიები, მაგრამ მათ ერთი ფუნქცია აკისრიათ. ისინი წმინდა უბნებს საერო ტერიტორიებისგან გამოყოფენ. სალოცავის წინ შეხვდებით წყვილ წმინდა ცხოველებს, რომლებსაც ან კომაინუ(კორეელი ძაღლები) ან

კარაჯიში (ჩინური ლომები) ქვიათ. თავდაპირველად, მათი მოვალეობა წმინდა ადგილების დაცვა იყო. IX საუკუნიდან კი თანდათან ორნამენტული დანამატის სახე მიიღეს. ასეთივე დატვირთვა მიიღო ქვის ფარნებმა (ishidōrō), რომლებიც ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

მეორე მსოფლიო ომამდე შინტო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან. მეიჯის რესტავრაციის შემდეგ მთავრობამ შინტოს სახელმწიფო რელიგიად გადაქცევა დაიწყო და გააცოცხლა IX საუკუნემდელი ეროვნული სალოცავების სისტემა. ამას მოჰყვა შინტოს აღორძინება, რომლის საფუძველსაც ნაციონალური სტრუქტურის პროპაგანდა წარმოადგენდა. წამოიწყეს „დიდი გამავრცელებელი მოძრაობა," (1869-84წ.წ) მათი წევრები იმპერატორს როგორც კამს ისე მიაგებდნენ პატივს. მიუხედავად იმისა, რომ 1889 წლის იაპონური კონსტიტუცია გარკვეულ პირობებში რწმენის თავისუფლებას უზრუნველყოფდა , ფაქტობრივად პრიორიტეტი შინტოს მიენიჭა. ეროვნული დღესასწაულების უმეტესობა დაუკავშირდა შინტოისტურ დღესასწაულებს. დაწყებით სკოლებში დაიწყეს შინტოიზმის სწავლება. შინტოს ამ სახეს სახელმწიფი შინტო ეწოდა და დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროში სალოცავების ბიუროს კონტროლს. იგი განიხილებოდა როგორც სახელმწიფი კულტი და ეროვნული ეთიკა და არა როგორც „რელიგია".

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მოკავშირე ძალების უზენაესმა სარდალმა იაპონიის მთავრობას შინტოს დაშლა უბრძანა.

1947 წლის კონსტიტუციით სახელმწიფი შინტო გაუქმდა ამის შემდეგ კი დაიწყო ცალკეული შინტოს სექტების აღმოცენება.

დღესდღეობით შინტოიზმი ბუდიზმთან ერთად იაპონიის სახელმწიფი რელიგიაა. გამოდინარე იქედან, რომ იაპონიის მოსახლეობა ერთდროულად რამდენიმე რელიგიის მიმდევარიც შეიძლება იყოს, რის საშუალებასაც შინტოიზმის ბუნება იძლევა. იგი არ უარყოფს სხვა რელიგიებს, ამიტომაც შინტოისტი ერთდროულად შინტოს და

პირობითად ბუდიზმის მიმდევარიც შეიძლება იყოს. ყოველივე ეს ართულებს შინტოს მიმდევართა ზუსტი რაოდენობის დადგენას. 2010 წლის მონაცემებით იაპონიის მოსახლეობის 83.9% შინტოისტი იყო, 2012 წლის მონაცემებით 79.2% 2017 წლის მონაცემებით 70.4, 2018 წლის მონაცემებით 69.0%

ამ სტატისტიკაზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს შინტო დიდი პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგას, რადგანაც „ღმერთების გზაზე“ მიმავალი იაპონელების რიცხვი დღითიდღე სულ უფრო და უფრო მეტად იკლებს.

ნიკოლოზ მაკალათია, ჯეიმარ ბოლქვაძე

აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი ქართველი ბერებისათვის

აღმოსავლეთი ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებდა კულტურული, ლიტერატურული და რელიგიური თვალსაზრისით. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ენის ფუნქციურ ლეგიტიმაციად იქცა ღვთის სიტყვის ქადაგება. ამისთვის კი მაშინდელი ენების უმეტესობა მზად არ იყო, მათ შორის ქართული ენა. წამყვანი პოზიცია დაიკავა ძველმა ბერძნულმა ენამ. ჩვენთან და სხვა ქვეყნებშიც წირვა ლოცვები მიმდინარეობდა ბერძულ ენაზე. ამის შემდგომ განვლო დრომ და საქართველოში დაიწყო ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. თუმცა ამ უფლებისა და პატივის მოპოვება მარტივი არ ყოფილა.

უპირველეს ყოვლისა ქართულმა ენამ მოიპოვა ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაცია. ანუ ენამ შეძლო გამხდარიყო გამოყენებადი ვაჭრობაში, წირვა ლოცვების დროს, ლაპარაკის დროს და ა.შ. ყველაზე რთული ბერძნებისთვის ქართული ენის თვისობრივი ლეგიტიმაციის აღიარება აღმოჩნდა. მათ არ მიაჩნდათ , რომ ქართული ენა იყო მზად გრამატიკულად, ლექსიკურად, ფონეტიკურად ბერძნულიდან გადაეტანად ღვთისმსახურების ტექსტები. ,,ამ სირთულეების დაძლევის, ქართულ თარგმანთა ბერძნულ ორიგინალთან მაქსიმალური დაახლოებისა და ტერმინოლოგიის დახვეწის მცდელობით ქართული ენა ისტორიული განვითარების ახალ საფეხურზე გადადის: ბერძნულთან თვისობრივი გატოლება, თვისობრივი ლეგიტიმაცია.“ გარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა, ბერძნები ამბობდნენ, რომ ბერძნული ენა იყო ღრმა უფსკრულივით, ქართული მასთან ახლოს ვერ მივიდოდა, ჩვენ ამაზე პრეტენზია არ გვქონია, რადგან არ ვცდილობდით ქართული ენა ბერძნულის მოქიშპე გამხდარიყო უბრალოდ გვინდოდა ეღიარებინათ ბერძნებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომ ქართული ენა მზად იყო ყოველივესთვის.

ქრისტიანობის გავრცელებას თან მოჰყვა წერა კითხვის გავრცელება, ადამიანების წიგნიერი სამყაროსკენ გახედვა და ცივილიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. ჩვენთან ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, ხოლო აღმოსავლეთში, მაგალითად წმინდა მიწაზე, უკვე არსებობდა სამონასტრო კერები, სადაც ღვიოდა განათლება და შემეცნებითი მსახურება. იმისთვის, რომ ქართველებს შეგვძლებოდა გვქონოდა ქართულ ენაზე თუნდაც წმინდა წერილი საჭირო გახლდათ მთარგმნელობითი საქმიანობის არსებობა, რაც მაშინდელ საქართველოში არ არსებულა, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელამდე. თუ აღმოსავლეთში არსებობდა სინას მთა, შავი მთა, სადაც ბერები ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას არა მხოლოდ ბერძნულ ენაზე არამედ სირიულზე და არაბულზე, საქართველოში მსგავსი კერა გრიგოლ ხანძთელამდე არ არსებულა, მან დაარსა შემდგომ ტაო-კლარჯეთში სამონასტრო კერები და ტიპიკონიც სწორედ აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა. რა თქმა უნდა ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას ,რომ ამ დრომდე ქართულ ენაზე არაფერი გადმოუთარგმნიათ. ქართველი ბერები და სასულიერო პირები ხშირად მიდიოდნენ წმინდა მიწის მოსალოცად, შემდეგ კი რჩებოდნენ აღმოსავლეთში არსებულ მონასტრებში და ქართულად თარგმნიდნენ იმ დროისათვის ყველაზე საჭირო საეკლესიო და ლიტურგიკულ ტექსტებს, შემდეგ საქართველოში აგზავნიდნენ. ასეთი კერები მრავალი იყო აღმოსავლეთში, მაგალითად სირიაში. ,,ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ადრეული კერა ჩრდ. სირია იყო. სირიის მეუდაბნოეთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი და არაერთი მოწესე შემოიკრიბა სვიმეონ მესვეტემ. სირიულმა ქრისტიანულმა სკოლებმა და განსაკუთრებით კი ნისიბინის სკოლამ დიდი გავლენა იქონია ადრეული ქრისტიანული აზროვნების განვითარებაზე. ქართველმა ასკეტებმა ამ სივრცეს მეექვსე საუკუნეში

მიმართეს, როდესაც სირიულ ბერმონაზვნობას სათავეში ანტიოქიის მახლობლად ანუ შავ მთაზე დამკვიდრებული სვიმეონ მესვეტე უმცროსი ჩაუდგა. ამას ხელს უწყობდა თვით ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულება ანტიოქიის საპატრიარქოზე. მეექვსე საუკუნეში საქართველოში ანტიოქიიდან ჩამოვიდა 13 ასურელი მამაც. სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია ბევრ დოკუმენტს ქართველთა VI-X საუკუნეში შავ მთაზე მოღვაწეობის შესახებ, ვარაუდის დონეზე ქართული ხელნაწერებით შეგვიძლია მსჯელობა. დადასტურებულია ის, რომ XI- XIII საუკუნეში დანამდვილებით არიან აქ ქართველები და მოღვაწეობენ აქტიურად. მეთერთმეტე საუკუნის 60-იან წლებში შავი მთის სავანეებში მოღვაწეობდნენ: გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, გიორგი შეყენებული, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, საბა სულაისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოანე დვალი და სულ 60 ქართველი. ქართველები ჩანან შავი მთის 8 მონასტერში : სვიმეონწმინდა, რომანწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი. ამ მონასტრების არსებობის შესახებ კი ბიზანტიელებისთვის ცნობილი ქართული ხელნაწერებით გახდა.

აღმოსავლეთში რწმენისა და ცოდნის კიდევ ერთ-ერთ უდიდეს კიდობნად ათონის მთარგმნელობითი სკოლა იქცა. X საუკუნეში ათანასე ათონელისა და იოანე ათონელის (სამცხელი დიდგვაროვნების) თაოსნობით იწყება ქრისტიანობის ახალი სამონასტრო ცენტრის ათონის მშენებლობა. მათ დაარსეს ათანასეს ლავრა, ხოლო მერე იოანე და მისი ვაჟი ექვთიმე საფუძველს უყრიან ერთ-ერთ პირველ მონასტერს ათონზე-ივირონის მონასტერს. სწორედ აქ მოღვაწე ქართველი ბერები თარგმნიდნენ და ითვისებდნენ სრულიად ბიზანტიურ ლიტერატურას და ყველაფერს თუ იყო დავით კურაპალატთან და თუ იყო ტაოში აგზავნიდნენ. ექვთიმე ათონელი იყო ათონის სალიტერუტო სკოლის მამამთავარი , მის შესახებ ცნობები მოგვეპოვება მისივე მოწაფის გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაში. ექვთიმე იოანე ათონელის უმცროსი ვაჟი გახლდათ, როცა იოანემ საერო ცხოვრებაზე თქვა უარი და ბერად აღიკვეცა ოლიმპოს მთაზე, საქართველოში ცოლ-შვილი სიმამრს დაუტოვა, პატარა ექთვიმე კი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა იმპერატორის კარზე. ეს, რომ იოანემ გაიგო ექვთიმე მასთან აიყვანა მონასტერში, პატარა ექვთიმეს ძალიან კარგად სცოდნია ბერძნული, თუმცა ქართული არ ესმოდა. ერთ დღესაც ავად გამხდარა, ღვთისმშობელი გამოცხადებია და მისთვის ქართული ენის ცოდნა შთაუგონებია. გაღვიძებულმა ექვთიმემ ბერძნულიც და ქართულიც ერთნაირად იცოდა. ამის შემდეგ იოანემ ექვთიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ოლიმპოს მთა დატოვა და ათონზე ,ათანასეს ლავრაში გადასახლდა. წამოზრდილ ექვთიმეს იოანემ უთხრა, რომ მას შეეძლო ქართველთათვის ეთარგმნა ბევრი ისეთი რამ, რაც არ ჰქონდათ, ასე რომ ექვთიმეც შეუდგა საქმეს. იგი მარტო ბერძნულიდან ქართულად კი არა, ქართულიდან ბერძნულადაც თარგმნიდა. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა არამარტო ათონის მონასტრის წინამძღოლი, არამედ

სხვა მონასტრებიც ჩააბარეს და ძალაუნებურად თარგმანთა სიხშირემაც იკლო. იოანე ათონელისა და ექვთიმეს თარგმანები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, შესაბამისად მათ უდიდესი როლი ითამაშეს მაშინდელი საქართველოსთვის არა მხოლოდ რელიგიური, არამედ კულტურული და ლიტერატურული თვალსაზრისით. იოანე თარგმნიდა არა მხოლოდ სასულიერო და ლიტურგიკულ წიგნებს , არამედ ისეთებსაც, რაც საჭიროდ მიაჩნდა ერის განვითარებისთვის. ექვთიმე კი ცდილობდა მთლიანად აეთვისებინა ბიზანტიური ლიტერატურა, რადგან იცოდა ბერძნები ყოველივე საუკეთესოს გადმომტანები იყვნენ მხოლოდ.

დღესდღეობით აღმოსავლეთის ქვეყნები ჩვენთვის სიძველესთან ასოცირდება , თუმცა თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს ის უდიდესი ისტორია და კავშირი, რაც საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჰქონდა. ის დახმარების ხელი, რაც თავის დროზე გამოგვიწოდეს, შეიკედლეს და მიიღეს ქართველი ბერები, რომლებიც სირიელების , არაბებისა და ბერძნების გვერდით ცდილობდნენ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასა და სამშობლოს დახმარებას მათი მოღვაწეობით. ქართველმა ბერებმა არა მხოლოდ გადარჩენა და იდენტობის შენარჩუნება, არამედ იქ დამკვიდრება ,სხვების ჩაყვანა ,გაფართოება , საკუთარი ქართული კერებისა და მონასტრების აშენება დაიწყეს. მათ შექმნეს ისეთი კულტურული კერა ,რამაც მხოლოდ ლიტერატურულად კი არ გაამდიდრა ქართული ენა , სარწმუნოება , არამედ შემოინახეს უძველესი აღმოსავლეთის კულტურული ისტორიებიც. ამას მოწმობს ის ფაქტიც ,რომ ქართულ ენაზე არის ბევრი ისეთი ბიზანტიური ტექსტი ,რისი ორიგინალიც მათ საკუთარ ენაზე არ მოეპოვებათ. ბიზანტიურობას კი თვითონ ტექსტში არსებული ინფორმაციით ვიგებთ ,რაც კიდევ უფრო დიადსა და აზრიანს ხდის იმ შეხედულებას ,რომ აღმოსავლეთი, რწმენისა და ცოდნის კიდობანი იყო ქართველი ბერებისათვის.

თამთა ცერცვაძე

ლიტერატურა

ჩიტი აღმოსავლეთიდან

XX საუკუნის ეგვიპტური პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო რომანი ,,ჩიტი აღმოსავლეთიდან“ თავფიქ ალ-ჰაქიმმა 1938 წელს გამოაქვეყნა. რომანი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთმიმართების საკითხს ეძღვნება და პოსტკოლონიური მეთოდითაა შექმნილი, სადაც დასავლეთი განიხილება, როგორც მატერიალიზმის, ხოლო აღმოსავლეთი, როგორც სულიერების სიმბოლო.

,,ჩიტი აღმოსავლეთიდან“ ავტობიოგრაფიული მოტივებით დაწერილი ნაწარმოებია, რაც განაპირობა ალ ჰაქიმის ცხოვრებაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხშირმა მონაცვლეობამ. მასში მკაფიოდ წარმოჩნდება ევროპაში განათლების მისაღებად წასული ახალგაზდა ეგვიპტელი მუჰსინის ტრანსფორმაცია და თვითგანვითარების გზა, სადაც იგი ორი კულტურის ურთიერთდაპირისპირების იდეოლოგიიდან ჰიბრიდული კულტურის მოზიარე ხდება. პერსონაჟის მდგომარეობა კი მერყეობით, სულიერი კრიზისითა და განვლილი რთული და წინააღმდეგობრივი გზებით აღიბეჭდა რომანში. მასში განვითარებული სასიყვარულო ისტორია მწერლის ცხოვრების რეალურ ფაქტებს ასახავს. თავფიკ ალ-ჰაქიმს პარიზში, ოდეონის თეატრის მოლარე შეუყვარდა, რომელიც პიესად გამოსცა 1926 წელს სახელწოდებით ,,სალარო სარკმლის წინ“.

მუჰსინი ერთდროულად მოექცა მაშრიყისა და მაღრიბის იდეური, კულტურული და ტრადიციული განსხვავებულობის გზა-გასაყარზე. მაშინ, როცა იგი წვიმაში სალაროს წინ დგომასა და საყვარელი ქალის შორიდან ცქერას ულამაზეს წუთებს უწოდებს, ფრანგი მეგობარი ანდრეი ფანტაზიორ კაცად და რეალობას მოწყვეტილ ადამიანად აღიქვამს ეგვიპტელს. თუ მუჰსინი ,,ათას ერთი ღამის“ კოშკიდან მომზირალ მზეთუნახავად აღიქვამს სუზის, ანდრეი უბრალოდ ამ მონაყოლს ,,აღმოსავლურ ფილოსოფიას“ უწოდებს და შემდეგ სიტყვებს ამბობს: *,,ისეთივე გოგოა, როგორც სხვა ყველა“.*

პარიზში ახალმოხვედრილი მთავარი პერსონაჟისთვის მიუღებელი იყო პარიზელი შეყვარებულების საჯაროდ ხვევნა-კოცნა ისე, როგორც ეს პარიზელებს სჩვევიათ. მას ვერ წარმოედგინა ქუჩებსა და მოსახვევებში გრძნობების გამოფენა. თუმცა დროის ცვლილებამ და მუჰსინის ჰიბრიდულ კულტურას ზიარებამ შეცვალა მისი ხედვა და აზროვნება. როცა თავად გახდა სუზის შეყვარებული სხვა გოგო-ბიჭების მსგავსად ისიც საჯაროდ ეხვეოდა და კოცნიდა საყვარელ ქალს. უკვირს და საკუთარ თავს ეკითხება თუ რა შეიცვალა? მაგრამ თავადვე პასუხობს: „სიყვარულის გემო, აი, რა შეიცვალა“.

იწყება პერსონაჟის შინაგანი ,,მეს“ , წარსულთან კავშირის ძიების პროცესი. მწვავედ დგება პრობლემა თუ რა უნდა შეინარჩუნოს თავისი კულტურული წარსულიდან და რა უნდა მიიღოს ახალ, მულტიკულტურულ გარემოში? ცვლილებები და ტრანსფორმაცია დასავლეთში ცხოვრების ტემპმა თავისებურად მოუტანა მუჰსინს. მოხიბლულია

დასავლური ხელოვნებითა თუ მუსიკით. ყოველთვის, როცა დიდებულ ოპერაში უსმენს ბეთჰოვენს, ერთადერთი ტერმინი, რომელიც ახსენდება არის „დიდი დასავლური ცივილიზაცია“ და მას აღარ სურს აღმოსავლეთში გამგზავრება. ნაწარმოები ერთდროულად წარმოჩნდება ისტორია და აწმყო, დასავლეთი და აღმოსავლეთი, სიყვარული და სიძულვილი, რწმენა და ურწმუნობა, განათლება და ცრურწმენები, იმედი და იმედგაცრუება.

ეს არის რომანი, სადაც დასავლეთში მოისაზრება ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა, ხოლო აღმოსავლეთში მისი მშობლიური ეგვიპტე და არაბული სამყარო. მუჰსინი თავის მხრივ, კოსმოპოლიტი ადამიანი იყო, რადგან მას სურდა, რომ ეცხოვრა ისეთ ლამაზ რესპუბლიკაში, სადაც ყველა ერთ მუშტად შეკრული იქნება.

აღსანიშნავია, რომ ,,ჩიტი აღმოსავლეთიდან“ იმ იშვიათ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც დედნის გამოცემიდან დიდი პაუზის შემდეგ გამოიცა განმეორებით 2004 წელს.

თაკო ბერომე

თურქული ლიტერატურა აბდულ-ჰამიდ II-ის მმართველობისას:

ზულუმის რეჟიმი და "Servet-i Fünün"

XIX საუკუნის 60-იან წლებში ოსმალეთში თანზიმათის რეფორმებითა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება თანდათან ძლიერდებოდა. საზოგადოების მოწინავე ნაწილი ახალგაზრდა ინტელიგენციის სახით ძალ-ღონეს არ იშურებდა აღნიშნული სიტუაციიდან თავის დასაღწევად და ცდილობდა ამისათვის გზები კონსტიტუციური მოძრაობის დაწყებით მოეძიებინათ. ამ ინტელიგენციას "ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოება" წარმოადგენდა, რომლის მიზანსაც კონსტიტუციური მონარქიის შემოღებით ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება შეადგენდა. ქყვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ საკონსტიტუციო მოძრაობის გაძლიერება გამოიწვია. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა მითჰად ფაშა, რომელიც სულთან აბდულ-აზიზის დიდი ვეზირი გახლდათ. მან მიზნად დაისახა კონსტიტუციის შემოღება, რათა იმპერიაში დიდი ხნის წინ დაწყებული სტაგნაციის პროცესი შეეჩერებინა.

სულთანი აბდულ-ჰამიდ II

XIX საუკუნის 70-იანი წლები საკმაოდ მნიშნელოვანია თურქეთის ისტორიისათვის. ულემთა თანხმობით 1876 წლის 31 აგვისტოს მურად V გადააყენეს და იმპერიის ტახტზე ავიდა სულთანი აბდულ-ჰამიდ II. იმისათვის, რომ სულთანს ტახტი შეენარჩუნებინა თავი კონსტიტუციის მომხრედ მოაჩვენა. 1876 წელს მართლაც შეიქმნა ოსმალეთის იმპერიის პირველი კოსტიტუცია. აღნიშნული კონსტიტუციის 113-ე მუხლის თანახმად სულთან აბდულ-ჰამიდ II-ს მიეცა უფლება იმპერიის ფარგლებიდან გაეძევებინა პირები, რომელთა შეხედულებები და საქმიანობაც წინააღმდეგბაში მოვიდოდა სულთნის ინტერესებსა და შეხედულებებთან.

სულთან აბდულ-ჰამიდ II მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა. იგი მხოლოდ სიმტკიცესა და ძალაუფლებას აფასებდა. მისი სულთნობის ხანა ოსმალეთის ისტორიაში ცნობილია ტირანიის, ძალადობის, დესპოტიზმისა და შავბნელი რეაქციის "ზულუმის" ხანად. ოსმალეთის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები მას "სისხლიან სულთანსა" და "წითელ სულთანსაც" უწოდებდნენ.

სულთანმა უმკაცრესი და რეპრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო პრესის წინააღმდეგ. ამის გამო მწერლებს შეეზღუდათ ღიად თავიანთი აზრის დაფიქსირების

შესაძლებლობა. იმპერიაში დაიწყო რეპრესიები, რამაც თურქეთის განვითარება შეაფერხა.

აჰმედ იჰსან თოქგოზი

აბდულ-ჰამიდსა და მის დესპოტურ რეჟიმს არაერთი თურქი მწერალი მოიხსენიებს და აკრიტიკებს თავის ნაწარმოებში. მათ შორის არის თანზიმათის პერიოდის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ნამიქ ქემალი. იგი თავის ერთ-ერთ ლექსში, "Hürriyet Kasidesi", აღნიშნავს, რომ ოსმალეთის იმპერია, რომელიც რეპრესიებისა და გადასახლებების შედეგად განიცდიდა მოაზროვნე ადამიანების ნაკლებობას, დაემსგავსა ლომს, რომელიც გალიაშია გამოკეტილი და მძიმე ჯაჭვებითაა დაბმული.

მიუხედავად იმისა, რომ აბდულ-ჰამიდის მმართველობის დროს მიმდინარეობდა ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ და ცენზურა ეხებოდა ჟურნალ-გაზეთებს, თურქული ლიტერატურის ისტორიაში ჩნდება ახალი მოძრაობა სერვეთი ფუნუნი (Servet-i Fünun). თავდაპირველად დაიწყო ჟურნალ „Servet-i Fünün“-ის გამოცემა, რომელიც მოგვიანებით გახდა ამ პერიოდის ლიტერატურული საზოგადოების ჩამოყალიბების საძირკველი და ამავე საზოგადოებისათვის სახელწოდების მიმნიჭებელი.

ჟურნალი გამოიცემოდა 1891 წლის 27 მარტიდან 1944 წლის 26 მაისის ჩათვლით, ძირითად თემას წარმოადგენდა მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა. მთავარ რედაქტორთან, აჰმედ იჰსან თოქგოზთან (Ahmet İhsan Tokgöz) ერთად გამომცემლობას ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი ხელოვანებიც, როგორებიც იყვნენ თევფიქ ფიქრეთი (Tevfik Fikret), ჰუსეინ ჯაჰით იალჩინი (Hüseyin Cahit yalçın) და ჰალიდ ფაჰრი ოზანსოი (Halit Fahri Ozansoy).


რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემი

Servet-i Fünün, როგორც სახელიდანვე ჩანს, თავდაპირველად იყო ჟურნალი, რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, შემეცნებითი ხასიათის სტატიები ქვეყნდებოდა. მოგვიანებით, რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემისა და აჰმედ იჰსანის შეთანხმებით ჟურნალი ლიტერატურულად გადაიქცა, თევფიქ ფიქრეთი კი ჟურნალის "მთავარი მწერალი", ანუ მთავარი რედაქტორი გახდა. ამის შემდეგ სერვეთი ფუნუნი მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი გახდა. იმ პერიოდში მოღვაწე მწერლებმა მხარი დაუჭირეს რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემს და თავიანთი მოღვაწეობა სერვეთი ფუნუნთან ერთად განაგრძეს. ამგვარად დაიწყო თურქულ

ლიტერატურაში სრულიად ახალი ეპოქა, რომელმაც სერფეთი ფუნუნის ლიტერატურის (Servet-i Fünûn edebiyatı) სახელი მიიღო.

რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემმა ჟურნალ „Servet-i Fünün“-ის მფლობელებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა „სერვეთი ფუნუნის ლიტერატურულ საზოგადოებას“, რომელიც პირველი იყო თურქული ლიტერატურის ისტორიაში. ის ხელოვანები, რომლებიც მაგალითს დასავლეთისაგან იღებდნენ და რომლებიც დამარცხდნენ თაობათა შორის ბრძოლაში, გაერთიანდნენ ჟურნალ „Servet-i Fünün“-ის გარშემო. მათგან გამოსარჩევია: რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემი, ჰალიდ ზია უშაკლიგილი, მეჰმეთ რაუფი, ალი ექრემი, აჰმედ რეშიდი და სხვანი.

სერვეთი ფუნუნის ლიტერატურულის საზოგადოების წარმომადგენლები ახალგაზრდა მწერლები იყვნენ. მათი საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. ეს ახალგაზრდა ხელოვანები, რომლებიც ჟურნალ Servet-i Fünün-ში (ცოდნის საგანძური) თავიანთ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ, კარგად საუბრობდნენ ფრანგულად და კითხულობდნენ ფრანგი მწერლების ნაწარმოებებსაც ორიგინალში. ამგვარად, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სერვეთი ფუნუნის მწერლები ფრანგული ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყვნენ, რაც კარგად აისახა მათ ნაწარმოებებშიც--ხშირია ფრანგული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი გამოთქმები და ფორმები. ისინი თავს შორს იჭერდნენ აღმოსავლური კულტურისა და ლიტერატურისაგან და უარს აცხადებდნენ ცხოვრების აღმოსავლურ წესზე, რამდენადაც საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების ერთადერთ, უპირობო საშუალებად დასავლურ სტილს აღიარებდნენ. სერვეთი ფუნუნის მოღვაწეებისათვის ზულუმის რეპრესიული რეჟიმი ერთგვარ "შთაგონებას" წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის მსგავსმა ფორმამ სერიოზული ზიანი მიაყენა ახალგაზრდა მწერლების სულს. მათი უმეტესობა თავის თავში ჩაკეტილი, დეპრესიული იყო და პესიმიზმით უყურებდა მომავალს. მძიმე სულიერი მდგომარეობა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა, რომლის ქვეშაც გამუდმებით იყვნენ ზულუმის პერიოდის საზოგადო მოღვაწეები, ზედმიწევნით აისახა მათ შემოქმედებაში. თუმცა, ზემოთ აღნიშნული მახასიათებლები და პერიოდი, რომელიც სერვეთი ფუნუნის მწერლებს ერთი ბედის ქვეშ აერთიანებდა და, როგორც აღინიშნა, მათ შემოქმედებაშიც ჰპოვა ადგილი, მაინც არაა იდენტური ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი მწერლისათვის. ისინი ბოლომდე ინარჩუნებენ ინდივიდუალურობას და განსაკუთრებული სტილით, მანერით გადმოგვცემენ თავიანთ განცდებს: თუ თევფიქ ფიქრეთის ლექსებში სიმბოლური გზით გადმოცემულ ღრმა, შეფარულ აზრზსა და ისეთ თემებს ვაწყდებით, როგორიცაა პესიმიზმი, მელანქოლია და ა.შ. ყველაფერთან ერთად აზრი საკმაოდ რთული გასაგებია, ჰალიდ ზია უშაკლიგილის რომანებში რეალიზმი და ნატურალიზმი იჩენს თავს, ავტორი ადამიანის "მე-ს" წარმოაჩენს, მნიშვნელობას ანიჭებს პერსონაჟის ინდივიდუალურობას.

Servet-i Fünün-ის პერიოდში მოღვაწე მწერლების სტილმა მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები ერთგვარად დააშორა მანამდე თურქული ლიტერატურის ისტორიაში არსებულ ტენდენციებს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ პერიოდის მწერლებმა მაქსიმალურად უარყვეს აღმოსავლური კულტურა. ისინი პროდასავლური კურსის მომხრეები იყვნენ, რაც მათ ნაწარმოებებშიც გამოჩნდა. რომანებში ვხვდებით რეალიზმსა და ნატურალიზმს, პოეზიაზე კი გავლენა პარნასიზმმა და სიმბოლიზმმა მოახდინა. სერვეთი ფუნუნის ლიტერატურა ელიტარული ლიტერატურაა, რომელსაც სალონურ ლიტერატურასაც უწოდებენ. ის მიმართავს საზოგადოების ზედა ფენას და სწორედ მასთანაა დაკავშირებული. ნაწარმოებები საკმაოდ მრავალფეროვანი, თუმცა ზოგჯერ ზედმეტად მხატვრული და გაუგებარიც კია. ვხვდებით უჩვეულო ასოციაციებს. ძირითად თემებს პესიმიზმი, სევდა, მელანქოლია, ინტროვერსია და ესკაპიზმი წარმოადგენს. ლექსის თემატიკა საკმაოდ ფართოა, ხელოვანები მიიჩნევენ, რომ პოეზიის საგანი ნებისმიერი ლამაზი რამ შეიძლება გახდეს.

სამწუხაროდ, სერვეთი ფუნუნის წარმომადგენლები აბდულ-ჰამიდის რეპრესიული დამოკიდებულების გამო ვერ გასცდნენ ინდივიდუალურ საკითხებს. მართალია, თანზიმათის პერიოდის მწერლებმა წარმატებას მიაღწიეს დივანის პოეზიის შინაარსის შეცვლაში, მაგრამ სერვეთი ფუნუნის შემოქმედებმა მთლიანად შეცვალეს დივანის ლიტერატურის ლექსის ფორმები და თურქული პოეზია სრულიად ახალ გზაზე დააყენეს. რა თქმა უნდა, პოეზია არ ყოფილა ის ერთადერთი სფერო, რომელშიც ცვლილებები აღინიშნა. ხელშეუხებელი რომანიც არ დარჩენილა. სერვეთი ფუნინის მწერლებმა თავიანთ რომანებში პირველად გამოიყენეს ელიფსური და შებრუნებული წინადადებები და ცდილობდნენ ფრანგული ენის სტრუქტურის გამოყენებას თურქულ ენაზე. თანზიმათის რომანისაგან განსხვავებით, ავტორები ცდილობდნენ არა კონკრეტული ტიპის, არამედ ინდივიდუალური პერსონაჟების შექმნას. ისინი თავიანთ პიროვნულობას ასახავდნენ ნაწარმოებებში. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი ყოველთვის სტამბოლში ვითარდება. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პირველად რომანები, რომლებიც დასავლური აღქმისათვის იყო შესაფერისი.

მოკლედ, ამ პერიოდმა მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია თურქულ ლიტერატურასა და მის მოდერნიზაციაში, ჩამოაშორა რა ის დივანის ლიტერატურის ჯერ კიდევ შემორჩენილ ჩარჩოებს.

სერვეთი ფუნუნი, როგორც ლიტერატურული პერიოდი, 1901 წელს, 5 წლიანი არსებობის შემდეგ დასრულდა. სერვეთი ფუნუნის მწერლებს შორის კონფლიქტი დაიწყო. ისინი ერთმენთის ნაკლსა და უარყოფით მხარეებს უსვამდნენ ხაზს, რამაც მათ შორის არსებული უთანხმოება კიდევ უფრო გაამწვავა. მალე საზოგადოებას მისი მნიშვნელოვანი წევრები ჩამოშორდნენ. მეგობრებს პირველი ალი ექრემი გამოეყო, მის

კვალს კი აჰმედ რეშიდი, სამიფაშაზადე სეზაი და მენემენლიზადე თაჰირიც გაყვნენ. ამგვარად, სერვეთი ფუნუნის ლიტერატურულმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ტრავმა მიიღო. ამ ყველაფერს დაემატა კონფლიქტი აჰმედ იჰსანსა და თევფიქ ფიქრეთს შორის. მას შემდეგ, რაც ფიქრეთმა ჟურნალი დატოვა, სერვეთი ფუნუნი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ რედაქტორობა თავის თავზე ჰუსეინ ჯაჰიდმა აიღო, მაგრამ "Servet-i Fünün" მალევე (1901 წლის 16 ოქტომბერს) აბდულ-ჰამიდ II-ის ბრძანებით დაიხურა, რადგან ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია საფრანგეთის რევოლუციის შესახებ. ჟურნალის რედაქტორები და სტატიის ავტორები გაასამართლეს. მას შემდეგ, რაც სასამართლომ ჟურნალი სერვეთი ფუნუნი უდანაშაულოდ სცნო (1901 წლის 5 დეკემბერი), გამოცემა განახლდა, თუმცა ჰუსეინ ჯაჰიდმა რედაქტორის პოსტი და სერვეთი ფუნუნის საზოგადოება დატოვა. ამ ყველაფრის ფონზე შეწყდა ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემაც. ამასობაში თურქული ლიტერატურის ისტორიაში ახალი მწერლების თაობა გამოჩნდა და ახალი პერიოდიც დაიწყო. ასე დასრულდა თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვნესი პერიოდი, რომელსაც სერვეთი ფუნუნი, ანუ ცოდნის საგანძური ეწოდებოდა. ჟურნალი გამოცემას 1944 წლის 24 მაისამდე განაგრძობდა, ვიდრე მისი ბოლო, 2461-ე ნომერი არ გამოიცა.

ანა ციყელაშვილი, ანა შალუტაშვილი

აბუ ნუვასი და ღვინო არაბულ პოეზიაში

ღვინის და ვაზის კულტურა უძველესი პერიოდიდან არსებობდა და სხადასხვა ხალხში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგალითად: ასურეთში ის იყო უზენაესთან მიახლოების საშუალება, ძველ კოლხეთში კი სიმდიდრის და სიძლიერის სიმბოლო, რაც აისახა ცნობილ მითში, არგონავტების შესახებ, ხოლო ძველ ეგვიპტეში ღვინოს აიგივებდნენ ღვთაება ოსირისთან. რაც შეეხება ქრისტიანულ რელიგიაში, იგი შეიძლება იყოს, როგორც დიდი მადლის, ასევე დიდი რისხვის სიმბოლოც. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით პირველად ღვინო დაწურა ნოემ.

ღვინის მოტივებს სხადასხვა ხალხის ლიტერატურაში ვხვდებით უძველესი პერიოდიდან, მაგალითად ბერძნულ ლიტერატურაში ძვ.წ VIII-VIსს-ში და ასევე „ანაკრეონტისეულ“ პოეზიაში, რომელიც გავრცელებული იყო ეგვიპტესა და

პალესტინაში, ხოლო არაბულ პოეზიაში ღვინისადმი მიძღვნილ ლექსს ეწოდება ხამრიათი.

ისლამამდელ პოეზიაში გავრცელებული იყო ლექსის ორი ფორმა, კიტყა და კასიდა. კიტყა არის მცირე ზომის ლექსი, რომელიც არის ერთ თემიანი და მარტივი შინაარსის მქონე, ხოლო კასიდა არის შედარებით დიდი მოცულობის ლექსი, დაახლობით 20-დან 100 ბეითამდე, მრავალთემიანი და რთული შინაარსის მქონე, სწორედ კასიდის შემადგენელი ნაწილია ხამრია, მაგრამ არასავალდებულო.

ჯაჰილიის პერიოდში ღვინოზე ლექსებს წერდნენ: ტარაფა, ანთარა, ალ-'აშა, იბნ ქულსუმი და ადი იბნ ზაიდი. ადი იბნ ზაიდი არის ქრისტიანი პოეტი და მისი ხამრია უკვე დამოუკიდებელი ნაწარმოებია და არა კასიდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

VII საუკუნეში, არაბეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა ახალი რელიგია, ისლამი, რომელმაც შეცვალა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მსოფლმხედველობა. ისლამმა მოიტანა ძალიან ბევრი ცვლილება არაბი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, მათ შორის მუჰამადმა აკრძალა ღვინის სმა და ასევე ღვინოზე ლექსების წერაც. მუჰამადი არ სწყალობდა პოეტებს და დევნიდა მათ, მაგრამ ამის მიუხედავად ახალი რელიგიის გავრცელებასთან ერთად უფრო აქტუალური ხდება ღვინის გამოყენება არაბულ პოეზიაში.

იმის მიუხედავად, რომ ისლამი კრძალავს ღვინის სმას, ის თავის თავთან მოდის წინააღმდეგობაში, რადგანაც მაშინ, როდესაც მუსლიმთათვის ღვინის სმა დიდ ცოდვად ითვლება, ყურანში ღვინო მიჩნეულია სამოთხის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად და ღვთიურ სასმელად, რომლის დალევას მხოლოდ ღვთისმოსავნი თუ იმსახურებენ. ორთოდოქსი მუსლიმების მოსაზრებით ღვინოში ნაგულისხმებია „ნაბიზი", როგორც წყალი დამტკბარი წვენით. ასევე არის აიები, სადაც ღვინო ცოდვად და ეშმაკის ხელობად ითვლება.

ომაიანთა პერიოდში ხალიფები ხალხისგან მალულად მაინც სვამდნენ ღვინოს, რადგან ის მათი თავშეყრის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა. პირველი ვინც ომაიანთა პერიოდში დაიწყო ღვინოზე ლექსების წერა იყო ალ-ალხტალი, ის ხოტბას ასხამდა ღვინოს, მის ფერს და ჭურჭელს, მაგრამ ამის მიუხედავად ის დამოუკიდებელი ლექსი მაინც არ იყო აბასიანთა პერიოდამდე.

რაც შეეხება აბასიანთა მმართველობის პერიოდს, აქ დაიწყო რელიიგის ახლებური გაგება, თითქოს ისლამი არ კრძალავდა ღვინის სმას და ასევე მასზე ლექსების წერას, ამავე პერიოდში გავრცელდა თავისუფალი ცხოვრების სტილი, რომელმაც ხელი შეუწყო ხამრიის დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბებას. სწორედ აბასიანთა პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ხამრიათის ცნობილი წარმომადგენელი, აბუ ნუვასი (761-813). ის აბულ ათაჰიასა და აბულ ალა ალ-მარრისთან ერთად მიეკუთვნება ე.წ

ნეოკლასიკოსებს, ანუ ახალი სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც არ იყვენენ მხოლოდ წარსულზე ორიენტირებულნი და ეძებდნენ სიახლეებს.

აბუ ნუვასი დაიბადა სპარსეთში, ხუზისტანის პატარა სოფელში, დედამისი იყო სპარსი, ხოლო მამამისი იყო დამასკოდან და მსახურობდა ომაიანთა ჯარში. ის ძალიან პატარა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და დედამ გაჭირვების გამო, შვილი სურნელოვანი ზეთებით მოვაჭრეს მიაბარა გასაზრდელად. აბუ ნუვასი ათი წლის იყო, როდესაც დაიწყო სწავლა ყურანის კითხვით და ის გამოირჩეოდა გონიერებით, რადგანაც მას შეეძლო ყველაფრის დამახსოვრება ჩაწერის გარეშე. ამ პერიოდში ასევე მოღვაწეობდა პოეტი ალ-ჰუბაბი, რომელიც ხოტბას ასხამდა თავისუფალ ცხოვრებას და მას გაჰყვა აბუ ნუვასი სხვადასხვა ქვეყნებში სამოგზაუროდ. როდესაც აბუ ნუვასი ჩამოყალიბდა სრულყოფილ ლიტერატორად და მეცნიერად, მან მზერა მიაპყრო ბაღდადს, სადაც პოეტებს დიდი გულუხვობით აჯილდოვებდნენ. ბაღდადში ის სასახლის კარის პოეტი იყო, დაუახლოვდა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდს და ამ მეგობრობის წყალობით ის ჰარუნ არ-რაშიდთან ერთად გახდა 1001 ღამის ზღაპრების ერთ-ერთი მთავარი გმირი.

აბუ ნუვასს ეკუთვნის ლექსების კრებული, რომელიც მოიცავს 12000 ბეითს, აქ ხამრიასთან ერთად წარმოდგენილია: პანეგირიკა, სასიყვარულო ლირიკა, სატირა, ნადირობის აღწერა, ელეგია და სხვა. ის ტრადიციულ ჟანრებს ხშირად გამოუვალი მდგომარეობის გამო იყენებდა, ეს თვითონ პოეტსაც არ მოსწონდა. ამ ყველა ჟანრში იგრძნობა აბუ ნუვასის ნოვატორობა, მაგრამ დიდი წარმატება მას ხამრიათებმა მოუტანა. მას უნდოდა რომ ლიტერატურა აესახა რეალურ ცხოვრებაში და მათ შორის რაიმე ზღვარი არ ყოფილიყო გავლებული.

აბასიანთა ხანაში გამძაფრებული დაპირისპირება არაბებსა და არაარაბებს - შუ'უბიებს შორის ხაზს უსვამდა აბუ ნუვასის დაბალ წარმომავლობას, მას არ მოსწონდა არცერთი არაბული გვარი და ხოტბასაც არ ასხამდა მათ, ასევე მეცნიერებასა და ლიტერატურაშიც ისეთი ჟანრები მოსწონდა და იზიდავდა, რაც არაბებისათვის უცხო იყო. ის ასევე ვერ ეგუებოდა არაბების ტრადიციულ აზროვნებას, რადგანაც თვლიდა, რომ გარშემო ყველაფერი იცვლება და ხალხს მისთვის ფეხი უნდა აეწყო. ამიტომაც ის იყენებდა ახალ გამომსახველობით საშუალებებს.

აბუ ნუვასი თავის ლექსებში ყველაფერს რეალურად აღწერდა: თრობის მდგომარეობას, ღვინის ჭურჭელს და ფერს, ასევე ნადიმის სურათს და მუსიკოსებს. მის შემოქმედებაში თითქმის არ ვხვდებით გამეორებებს, რაც ხაზს უსვამს მის ნიჭს და ნოვატორულ ბუნებას. მას უყვარდა ყველაფერი, რაც უკავშირდებოდა ღვინოს, მისთვის ღვინო იყო კერპი. მისი ნაწარმოებების ერთი ნაწილი ღვინოზე ჰიმნებსაც კი წარმოადგენდა და აბუ ნუვასი თვლიდა, რომ ღვინო არის დარდის გაქარვების ერთ-ერთი მთავარი წამალი.

الداء هي كانت باللتي داوني

„მიმკურნალე იმით, რაც თავად სენია“.

აბუ ნუვასი ღვინის დასახასიათებლად იყენებს მრავალ ეპითეტს, მაგალითად: „ვარდივით წითელი“, „იაგუნდი“, „კუპრივით შავი ღამე“ და ა.შ.

აბუ ნუვასი ხშირად დასცინოდა და ირონიით უყურებდა ძველ ლიტერატურულ პოეტურ ფორმებს და იმ პოეტებს, როლმებიც მიჰყვებოდნენ ამ პოეტურ ტრადიციებს.

ის ნასიბის ატლალის საპირისპიროდ აღწერს ხოსროიანთა დანგრეულ დუქნებს და ირონიით უყურებს იმას, ვინც მისტირის თავის წარსულ სიყვარულს.

جلس كان لو ضر ما اقفا و درس رسم على يبكي لمن قل

„უთხარი მას, ვინც (კარვის) წარხოცილ ნაკვალევს დასტირის მდგომარე, არ აწყენდა, რომ დაჯდეს“.

აბუ ნუვასი რელიგიასაც ირონიით უყურებს და მის ლექსებში ღვინო გაიგივებულია ისლამის გმობასთან. მის ხამრიათში იგრძნობა გამომწვევი ტონი, სასაცილოდ აგდება ისლამის წესთა, ჰაჯისა, მარხვისა, თვით ალაჰის სახელის კადნიერად მოხსენიება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისლამში ღვინის სმა არ არის ნებადართული და ამის საპირისპიროდ ის ამბობს, რომ ალლაჰი არის იმდენად მოწყალე, რომ შეუძლია ყველანაირი ცოდვა მოგიტევოს, ამიტომ ამ ქვეყნად რაც შეიძლება მეტი ცოდვა უნდა ჩაიდინო, რადგან იმ ქვეყნად ალაჰი მას აუცილებლად შეგინდობს.

اثن على الخمر با لاها و سماها احسن اسمائها

„ხოტბა შეასხი ღვინოს მისი სიკეთისთვის

და უწოდე მას საუკეთესო სახელები.“

საბოლოოდ, იმის თქმა შეიძლება, რომ აბუ ნუვასმა არაბული პოეზია გაათავისუფლა მონოტორულობისაგან, შემატა მას სიმსუბუქე, ლაკონურობა, მუსიკალურობა და იუმორისტული ხასიათი. აბუ ნუვასის თავისუფლებისმოყვარეობა, იუმორი, გონებამახვილობა და ცოცხალი ხასიათი მის შემოქმედებაზეც ბუნებრივად აისახა.

თიკო გოგოხია, მარიკა ირემაძე, ანი ჩარიგოგდიშვილი

პოლიტიკა

თურქული ფემინიზმი

დღესდღეობით, ქალთა უფლებების დაცვა და თანასწორობის იდეის გატარება ძალიან ბევრ ქვეყანაში აქტუალურია და წარმოადგენს საკითხს, რომელსაც ღრმა წვდომა და გაანალიზება სჭირდება. ფემინიზმის მიზანი, სწორედ ყველა სფეროში ქალთა უფლებების აღიარება და კაცების უფლებებთან გათანაბრებაა. საუკუნეთა მანძილზე, ნამდვილად გახდა საჭირო შექმნილიყო ეს მიმდინარეობა. საჭიროება კი, გამოიხატება იმაში, რომ მიმდინარეობდა და დღესაც მინდინარეობს ქალთა დისკრიმინაცია. ვფიქრობ, მრავალი ქვეყნიდან, თურქეთი ერთ-ერთი ის სახელმწიფოა, სადაც საჭიროა ფემინიზმის არსებობა და ქალთა ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებების დაცვა. ჩემი ნაშრომის მთავარ თემას, სწორედ თურქული ფემინიზმი წარმოადგენს.

ფემინისტურმა აზრებმა და თეორიებმა გავრცელება ჰპოვა, არა მარტო ევროპის, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ყველა ქვეყანაში ფემინიზმი გამოვლინდა იმის შესაბამისად, თუ როგორი იყო ამავე ქვეყნის საზოგადოება, კულტურა და ისტორია. ამიტომ, თითოეულ სახელმწიფოში ფემინიზმი ინდივიდუალურია.

თურქეთში ფემინისტური აზრების გავრცელება საკმაოდ რთულ და კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში არ არსებობს მკვეთრად გამოხატული ფემინიზმი, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი კვლევა და ქალთა საკითხებზე მუშაობა ცხადყობს, რომ ეს მიმართულება ნამდვილად საჭიროა და განვითარებასაც საჭიროებს.

1923 წელს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, რამაც გამოიწვია მრავალი ცვლილება და გატარდა რეფორმები ქალის სტატუსთან დაკავშირებით. მუსტაფა ქემალ ათათურქმა გადაწყვიტა ყურადღება მიექცია იმ ფასეულობებისთვის, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში არსებობდა და ქალები ამ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ქემალისტების სურვილს ევროპული საზოგადოების შექმნა წარმოადგენდა, ამიტომაც ქალს მიენიჭა უფლება, კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გამოსულიყო. ცხადია, ეტაპობრივად ისლამური კანონები დასავლური ღირებულებებით იცვლებოდა.

გარდა ამისა, 1926 წელს, მიიღეს კოდექსი, რომელმაც ქალის სტატუსი კიდევ უფრო აამაღლა და მიანიჭა მრავალი უფლება. კოდექსი, სხვა მრავალ უფლებასთან ერთად, ითვალისწინებს იმასაც, რომ ქალი მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში იღებს ქმრის გვარს, ასევე, გაყრის შემდეგ ქონება ნაწილდება და ბავშვებზე თანაბარი უფლებები აქვს ორივე მშობელს. ამასთან ერთად, 1934 წელს, ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

1880-1990 წლები ქალთა საკითხების კვლევისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდია. თითქოს, ეს წარმოადგენს დროს, როდესაც თურქულ საზოგადოებაში ფემინისტური იდეები იჭრება. ამ დროს შეიქნა „კულტურული კლუბი“ , სადაც განიხილავდნენ სხვადასხვა საკითხებს, მსჯელობდნენ არსებულ პრობლემებზე და ფემინისტრური კუთხით აფასებდნენ სხვადასხვა საკითხებს. ამ დროისთვის, ფემინიზმის აღმოცენება სამმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა გამოიწვია: ქვეყანა განთავისუფლდა სავაჭრო და პოლიტიკური ორგანიზაციებისგან და მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებისგან. ასევე, ლიბერალური პოლიტიკა , რომელიც წამოიწყო პრემიერ მინისტრმა თურქუთ ოზალმა და მესამე ფაქტორი, ეს იყო სოციალური ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ფემინიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

მნიშვნელოვანი იყო 80-იანი წლები თურქეთში იმისათვის, რომ ქალთა ხმა ამაღლებულიყო და გაჟღერებულიყო საჯარო სივრცეში. თურქულმა ფემინისტურმა მოძრაობამ დაიწყო კამპანია „იისფერი ქინძისთავი“, რომელიც მიმართული იყო სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ. ამის შემდეგ, ქუჩებში იმართებოდა აქციები, საზოგადოება აპროტესტებდა ქალთა მიმართ ძალადობას, მათი სლოგანი კი, ჟღერდა ასე: „ ჩვენი სხეულები ჩვენ გვეკუთვნის, შეაჩერეთ სექსუალური ძალადობა“. სტამბოლში ფემინისტებმა მორჩატის ქალთა ფონდიც დაარსეს, სადაც ხდებოდა იმ ქალების დახმარება, რომლებმაც განიცადეს ძალადობა და სჭირდებოდათ დახმარება.

ფემინიზმმა თურქეთში ეტაპიბრივად დაიწყო განვითარება. ფემინისტებმა დაარსეს ბიბლიოთეკა, სახელად “Kadın Eserleri Kütüphanesi ve Birliği Merkezi” , სადაც თავმოყრილი იყო ნაწარმოებები და პუბლიკაციები ქალთა შესახებ.

აგრეთვე, ქალთა კვლევის ცენტრების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში. თავდაპირველად ეს ცენტრები მხოლოდ ანკარისა და სტამბოლის უნივერსიტეტებში არსებობდა, ხოლო დღესდღეობით, არსებობს სტამბოლის, მარმარას, ანკარისა და ეგეოსის უნივერსიტეტებში, სადაც შექმნილია სამაგისტრო პროგრამები გენდერის კვლევის საკითხში.

1990-იან წლებში ეგალიტარულმა ფრმინიზმმა დაარსა „KADER“ ასოციაცია, რომელიც მხარს უჭერდა ქალთა , როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ და სოციალურ უფლებებს. 1999 წელს საპარლამენტო არჩევნებში კი, 24 ქალი იქნა არჩეული, რაც საკმაოდ კარგი შედეგი იყო იმ დროისთვის.

ვფიქრობ , მნიშვნელოვანია 2009 წელს მომხდარ მოვლენებზე საუბარი. ამ დროს ფემინისტებმა დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რომ ბეიღლუ-სტამბოლის არჩევნებში მონაწილეობა ფემინისტს უნდა მიეღო, რადგან , მათი აზრით, ეს იქნებოდა გონივრული ნაბიჯი წინსვლისთვის. პირველ რიგში, ფემინისტები გაუთანაბრდებოდნენ სხვა

პოლიტიკურ აქტორებს და ასევე, ეს არჩევნები შეუწყობდა ხელს იმას, რომ ფემინიზმი ყოფილიყო უფრო ახლო და ნაცნობი საზოგადოებისთვის. ქალები შეძლებდნენ ესაუბრათ იმ რეალობაზე, რომელშიც იმყოფებოდნენ და ყურადღება გაემახვილებინათ პრობლემებზე და საკითხებზე, რომელიც საჭიროებდა მოგვარებას. ეს იყო ერთგვარი კამპანია, რომლის დროსაც , ფემინისტები პირველად გამოვიდნენ ქალაქის ტრანსფორმაციის თანმიმდევრული გეგმით და აჩვენეს თუ როგორი იყო მათი სივცრე იმ დროისთვის.

ნეზიჰე არაზი აღნიშნავს : „ის, რომ ქალი ხართ, უკვე ნიშნავს, რომ დამნაშავე ხართ, თუ შეძელით და ქალთა საკითხი დღის წესრიგში დააყენეთ და ცოტა წარმატებასაც მიაღწიეთ, ორმაგად დამნაშავე ხართ. მე რეალისტის თვალით ვუყურებ ქალთა საკითხს და ჩემი მეგობრების შეფასებას, რომ „მე ქალურ ზღაპრებს ვყვები", არ ვეთანხმები. მიმაჩნია, რომ თურქეთში ეს საკითხი უფრო ღრმა კვლევის საგანი უნდა გახდეს" [Karaca, 2006:231]. ვფიქრობ, ქალთა უფლებები მართლაც არის საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა განიხილებოდეს ყველა ქვეყანაში, რადგან ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ქალები დაცვას არ საჭიროებენ და ფემინიზმი არის მიმდინარეობა, რომელსაც არ უწერია განვითარება.

როგორც თავშივე აღვნიშნე, ფემინიზმი ყველა ქვეყანაში ინდივიდუალურია და თურქეთში, ევროპის ქვეყნების მსგავსად, ჩამოყალიბდა ფემინიზმის სხვადასხვა მიმდინარეობები: რადიკალური, ლიბერალური და სოციალისტური (მარქსისტული) ფემინიზმი.

1-რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლები მოითხოვდნენ , რომ პატრიარქალური იდეაოლოგია უნდა გადაფასებულიყო, რადგან ისინი ახდენდნენ ქალების დისკრიმინაციას სხვადასხვა სფეროებში, სახლში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, პროფესიულ ცხოვრებაში და სხვ. რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლების ლოზუნგი ასე ჟღერს: „ თუ მომავალი ჩვენი იქნება, მაშინ მომავალი ქალშია“

2-ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები მოითხოვენ ყველა სფეროში კაცებისა და ქალების თანასწორობას. თვლიან, რომ ქალები მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უნდა მოიპოვონ ეკონომიკური თავისუფლება, რათა შეძლონ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება.

3-სოციალისტური ფემინიზმის (მარქსისტული) წარმომადგენლები ქალთა დისკრიმინაციას ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირებენ. ეწინააღმდეგებიან კაპიტალისტებს, რადგან თვლიან, რომ სწორედ კაპიტალიზმმა განაპირობა ქალების მხოლოდ ოჯახის სფეროში ადგილის მიჩენა, ხოლო კაცების საზოგადოებაში

ინტეგრირება. მათი სლოგანი ჟღერდა ასე: „ პირადი არის პოლიტიკური“ . სოციალისტური ფემინიზმის წარმომადგენლები ებრძოდნენ ოჯახში არსებულ სტერეოტიპებს და მათი აზრით, თურქულ კულტურაში აუცილებელია გადაფასდეს, თუნდაც სქესობრივი ნორმები იმისთვის, რომ ქალები თავისუფლად გრძნობდნენ თავს.

დღესდღეობით, ფემინიზმი ავითარებს ტენდენციას, რომლის თანახმად ხდება ქალების სეპარაცია კაცებისგან და ზოგადად, იმ საქმიანობისგან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მამრობით სქესზეა მორგებული. ფემინიზმს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო საზოგადოებია ჩამოყალიბებაში. თურქეთი გარდამავალი განვითარების საფეხურზე მყოფი ქვეყანაა, რომელშიც უთანასწორობა ყოველთვის არსებობს და ჩნდება მოთხოვნები, რომელიც ახალ-ახალი ფემინისტური მოძრაობის ნიადაგს ქმნის.

ვფიქრობ, ისე როგორც მრავალ ქვეყანაში, თურქეთშიც საჭიროა მოხდეს საზოგადოებისთვის იმ საკითხების გაცნობა და გაანალიზება, რომლის მოგვარებასაც ეს მიმდინარეობა ემსახურება. თურქეთში არაერთი კვლევა ქალთა საკითხებზე, სხვადასხვა პროგრამები უნივერსიტეტებში , არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა სახის კამპანიები მოწმობს, რომ ფემინიზმმა ამ ქვეყანაშიც ჰპოვა განვითარება. ვფიქრობ, საჭიროა საზოგადოებაში მოხდეს ფემინიზმის სწორი გაგება და გათავისება, რადგან ეს მიმდინარეობა მოიცავს იმ თეორიებსა და იდეოლოგიებს, რომლის მიზანია წინა პლანზე წამოწიოს ქალის როლი საზოგადოებაში და დაიცვას მათი სოციალური,პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

ვიკა ჯაჯანიძე